ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№232(12607) 3 ოქტომბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი




# კონტრშეტევა სწორი არჩევანი იყო

»»» 3

# კუპერმა 22 ჩამოთვალა

## ორი დებიუტანტი: საიმედო მეკარე და მნიშვნელოვანი კაცი ფრონტის ხაზიდან




## როგორ უნდა მოუგოს საქართველომ კვიპროსს

ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი გმირი თემურ ქეცბაიაც იყო. მისმა „ანორთოსისმა“ „პანათინაიკოსის“ დამარცხება შეძლო - 3:1. მესამე ტურში თემურს თვით ჟოზე მოურინიოსთან მოუწევს ჭიდილი. ქეცბაიამ გუშინ „ლელოს“ კითხვებს უპასუხა:

- თემურ, გილოცავთ გამარჯვებას! როგორ შეაფასებდით მატჩს? მაინც რის ხარჯზე მოიგეთ?

- დიდი მადლობა. ვფიქრობ, თავდაჯერების, მეტოქის კარგად შესწავლის, სწორი ტაქტიკისა და მონდომების ხარჯზე გავიმარჯვეთ. კონტრშეტევითი ტაქტიკა რომ არ აგვერჩია, სამ ქულას ვერ ავიღებდით. სწორად თამაში ბევრს ნიშნავს. ალბათ, უფრო ეს იყო გადამწყვეტი ფაქტორი.

»»» 2

# ლევან ყენიას ევროდებიუტი

## ორი საგოლე მომენტით

**ლევან ყენიამ** უეფას თასზე პირველად მოირგო „შალკეს“ ფორმა. ეს მოხდა გუშინ, როცა გელზენკირხენელებმა კვიპროსულ აპოელ-ს უმასპინძლეს და ფრეს (1:1) დასჯერდნენ (პირველი მატჩი „შალკეს“ 4:1 ჰქონდა მოგებული).

ლევანი მოედანზე 65-ე წუთზე, **ჯერალდ ასამოას** ნაცვლად შევიდა. მოგვიანებით (79-ე წუთი) თამაშში ჩაერთო **ლევან კობიაშვილიც**, რომელმაც ერთადერთი გოლის ავტორი **კრისტიან პანდერი** შეცვალა. „კიკერის“ ინფორმაციით, **ფრედ რუტენმა** შეტევის გაძლიერება სწორედ ყენიას შეყვანით სცადა, მაგრამ „შალკემ“ მაინც ვერაფერი გააწყო. არადა, ლევანი აქტიურად ჩაერთო თამაშში და გუნდს კინაღამ მოაგებინა კიდეც: მე-80 წუთზე მან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა და **კურანის** საგოლე შანსი მისცა, მაგრამ გერმანიის ნაკრების ფორვარდი სიტუაციაში ვერ გაერკვა. 88-ე წუთზე კი თავადაც შეეძლო გატანა, მაგრამ კობიაშვილის გადაცემა ვერ გამოიყენა - ბურთი წინ გაექცა და შანსი ხელიდან გაუშვა.

**მერაბ მამულაშვილი**




# კაპიტანი დაშავდა



გუშინ უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩში **კახა კალაძე** დაშავდა. „მილანი“ „ციურიხს“ სტუმრობდა. 29-ე წუთზე საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, სავარაუდოდ, მარცხენა მუხლის მყესები გაიწყვიტა. კალაძემ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. „მილანის“ ექიმები მალე დაადგენენ, თუ რამდენად სერიოზულია კალაძის ტრავმა და როდის შეძლებს მოედანზე დაბრუნებას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უახლოეს მატჩებში კაპიტანი ეროვნულ გუნდს ვერ დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ საქართველო 11 ოქტომბერს კვიპროსს, 15-ში კი ბულგარეთს უმასპინძლებს. კალაძეს ციურიხში დავუკავშირდით და ტრავმაზე ვკითხეთ:

*„ხრტილია დაზიანებული. სამი წლის წინ ბათუმში ტრავმა რომ მივიღე, სწორედ ის ადგილია. თუმცა ჯერ ვერ ვიტყვი, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. ეს ხვალ (ანუ დღეს - რედ) უფრო გამოჩნდება, როცა ექიმთან მივალ და ფეხზე სურათს გადავიღებ. არადა, ძალიან მინდა ამ ორ შესარჩევში თამაში... მოკლედ, ვნახოთ, რას მეტყვის ექიმი“.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# კუპერის სია ორი დებიუტანტით

## ლომაია დაბრუნდა, ასათიანი და მუჯირი ნაკრებს მიღმა

გუშინ ეროვნული ნაკრების თავკაცმა **ექტორ კუპერმა** 11 და 15 ოქტომბერს კვიპროსსა და ბულგარეთთან გასამართი თბილისური მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა. არგენტინელმა 22 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები - **გიორგი ლომაია** (ლოკომოტივი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გრიგოლ ბედიაშვილი** (ვიტ ჯორჯია);

მცველები - **კახა კალაძე** (მილანი, იტალია), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **ლაშა სალუქვაძე** (რუბინი, რუსეთი), **მათე ღვინიანიძე** (მიუნხენ 1860, გერმანია), **გიორგი შაშიაშვილი** (შტურმი, ავსტრია), **ლექსო კვახაძე** (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები - **ლევან კობიაშვილი**, **ლევან ყენია** (ორივე შალკე, გერმანია), **დავით კვირკველია** (რუბინი, რუსეთი), **ზურაბ მენთეშაშვილი** (ვენტსპილსი, ლატვია), **დავით ოდიკაძე**, **გიორგი მერებაშვილი**, **ლევან ხმალაძე** (ყველა დინამო თბილისი), **ლუკა რაზმაძე** (ვიტ ჯორჯია);

თავდამსხმელები - **ალექსანდრე იაშვილი** (კარლსრუე, გერმანია), **ლევან მჭედლიძე** (პალერმო, იტალია), **რატი ალექსიძე** (ლოკომოტივი), **დავით სირაძე** (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი), **ბექა გოცირიძე** (ზესტაფონი).

კუპერის სიაში არაერთი სიახლეა. თვალშისაცემია ის, რომ მწვრთნელმა ნაკრებში გამოიძახა „ლოკომოტივის" მეკარე **გიორგი ლომაია**, რომელიც, კლუბში ჩატარებული ბოლო მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, ეროვნულში დაბრუნებას ნამდვილად იმსახურებდა. არგენტინელის სიაში ორი დებიუტანტია, თანაც ორივე „ვიტ ჯორჯიიდან" - მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი** და ნახევარმცველი **ლუკა რაზმაძე**.

გამოძახებულთა შორის არაა კიევის „დინამოში" გადასული **მალხაზ ასათიანი**. შეგახსენებთ, რომ მან ირლანდიასთან თამაშის შემდეგ ახალ გუნდთან ადაპტაციის მოტივით მწვრთნელს გათავისუფლება სთხოვა. ასათიანმა კუპერისგან თანხმობა მიიღო და კიევს მიაშურა.

არ არის „ზესტაფონის" მცველი **უჩა ლობჟანიძეც**, რომელმაც კუპერის ფორმაციის ნაკრებში სამივე თამაში ჩაატარა. სიახლეა ნახევარმცველებშიც: კუპერმა პირველად უხმო დინამოელ **გიორგი მერებაშვილს**. ამჯერად, სანაკრებო სიაშია ვერ ვხედავთ **დავით მუჯირს** (მოსკოვის „ლოკომოტივი"), **გოგიტა გოგუასა** (ნალჩიკის „სპარტაკი") და **ირაკლი კლიმიაშვილს** („ვიტ ჯორჯია"), რომლებიც კუპერს ირლანდიასა და იტალიასთან თამაშებისთვის ჰყავდა გამოძახებული.

**დავით ცაბაძე**

U 17

# რა შანსი გვაქვს ელიტრაუნდში გასასვლელად

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ელიტრაუნდში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ დარჩა, თუმცა ეს შანსი მცირეა და ჩვენი ბედი ოქტომბერში, ევროპის სამ ქვეყანაში გასამართ ტურნირებზეა დამოკიდებული. უეფა-ს ოფიციალურ რეგლამენტში ვკითხულობთ:

**2009 წლის ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტრაუნდში გადის 13 ჯგუფის 2-2 გამარჯვებული და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი. საუკეთესო მესამეადგილოსნის გამოვლენის წესი ასეთია: გუნდებს ეთვლებათ მხოლოდ პირველ და მეორე ადგილზე გასულ მეტოქეებთან აღებული ქულები. ელიტრაუნდში 13 მესამეადგილოსნიდან გადის ორი საუკეთესო, რომლებიც გამოვლინდებიან: ა) მეტი ქულის მიხედვით; ბ) ბურთების უკეთესი შეფარდების მიხედვით; გ) მეტი გატანილი ბურთის მიხედვით; დ) „ფეარ პლეის" ქულების მიხედვით (აქ ითვლება ჯგუფის ყველა მატჩის „ფეარ პლეის" ქულები) და ე) კენჭისყრის მიხედვით.**

ამ წესის მიხედვით, **გელა შეყილაძის** გუნდს ეთვლება მხოლოდ ორი მატჩის შედეგი: ფრე უნგრეთთან - 2:2 და მარცხი ჩეხეთთან - 2:3. ანუ, საგზურისთვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრებს 1 ქულა, ხოლო ბურთების შეფარდება 4:5 აქვს. მოკლედ, ელიტრაუნდში 13 მესამეადგილოსნიდან მხოლოდ ორი გადის. 13 ჯგუფიდან 10-ში შესარჩევი მატჩები დამთავრებულია და საქართველოს ნაკრები ჯერჯერობით მეორეა, რაც იმას ნიშნავს, ელიტრაუნდში გასვლის შანსს კიდევ ვინარჩუნებთ. იმ ჯგუფებიდან, სადაც უკვე დასრულდა ასპარეზობა, მხოლოდ მე-4 ჯგუფის მესამეადგილოსანი ყაზახეთი გვჯობნის. მათ მეორე ადგილზე გასული უელსის დამარცხება შეძლეს - 2:0. ესე იგი, მათ საუკეთესო მესამეადგილოსნის გამოსავლენ კონკურსში 3 ქულა აქვთ. სხვა ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა: 1 ჯგუფი. **ჩრდილოეთ ირლანდია - 0 ქულა; 2. ისრაელი - 0; 5. ირლანდია - 1 ქულა, ბურთები 1:2; 7. უკრაინა - 1 ქულა, ბურთები - 0:4; 8. ბულგარეთი - 0; 10. მაკედონია - 1 ქულა, ბურთები 1:2; 11. სლოვაკეთი - 1 ქულა, ბურთები - 2:4; 12. რუსეთი - 1 ქულა, ბურთები - 3:4.**

მესამე ჯგუფში ჩვენ ვითამაშეთ, ხოლო მეექვსე, მეცხრე და მეცამეტე ჯგუფებში ასპარეზობა ჯერ არ დაწყებულა. მეექვსე ჯგუფს 20-25 ოქტომბერს ხორვატია მასპინძლობს, იქ ხორვატია, სერბეთი, შვედეთი და მოლდოვა ითამაშებენ. მეცხრე ჯგუფი იტალიაში გაიმართება - ჰოლანდია, იტალია, კვიპროსი და ლატვია. მე-13 ჯგუფში ინგლისი, ესპანეთი, სომხეთი და ესტონეთი შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მოკლედ, 28 ოქტომბრამდე, ვიდრე იტალიაში ჯგუფური ეტაპი არ დასრულდება, არაფერიც არ გაირკვევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლუკა რაზმაძე



გრიგოლ ბედიაშვილი

დებიუტანტები

# საიმედო მეკარე და მნიშვნელოვანი კაცი ფრონტის ხაზიდან

**ექტორ კუპერი** მოწყალე თვალით უყურებს ეროვნულ ჩემპიონატს, ნაკრების მომდევნო შეხვედრებისთვის საქართველოს პირველობიდან ორ დებიუტანტს უხმო - 28 წლის **გრიგოლ ბედიაშვილს** და 24 წლის **ლუკა რაზმაძეს**.

რით არის გამორჩეული ბედიაშვილი? ის არ აკეთებს ეფექტურ ნახტომებს, ვერ იტყვი, რომ თვალისმომჭრელი მეკარეა, მაგრამ საიმედოა, „ვიტ ჯორჯიის" მცველები ყოველთვის გრძნობენ, რომ ძლიერი ზურგი აქვთ.

ბედიაშვილი არ უშვებს უხეშ შეცდომებს. ზოგადად, თამაშს ერთი კაცი არ აგებს, მაგრამ მეკარის წაფორხილება გუნდს განსაკუთრებით ძვირად უჯდება. არასდროს მომხდარა, „ვიტ ჯორჯიას" მეკარის ცუდი თამაშის გამო წაეგოს.

ბედიაშვილზე იმასაც ვერ იტყვი, ხაზზე უკეთ თამაშობს, ვიდრე გამოსვლებზეო. ის გაწონასწორებული მეკარეა. როცა თანაგუნდელებს მითითებებს აძლევს, მაშინაც კი კორექტული და აკურატულია.

ჰქონდა კი კუპერს საკმარისი დრო ბედიაშვილის შესასწავლად? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ არგენტინელი მწვრთნელი უბრალოდ იძულებულია, ექსპერიმენტებს მიმართოს, განსაკუთრებით, მეკარის შერჩევისას. ბედიაშვილი მართლაც არ არის ურიგო მეკარე, ნაკრებში მისი გამოძახება ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. წლების განმავლობაში მას „ვიტ ჯორჯიაში" უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა აქვს. ის საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე გუნდში თამაშობს და ევროტურნირებზე მიღებული გამოცდილებითაცაა შეიარაღებული. ბედიაშვილი „ვიტ ჯორჯიაში" ოთხი წლის წინ მივიდა, მანამდე რუსთავის „გორდას" კარს დარაჯობდა. მისით მაშინ თბილისის „ამერიც" დაინტერესდა, თუმც „ვიტ ჯორჯია" არჩია.

ბედიაშვილის დარად რაზმაძეც 2004 წელს მივიდა „ვიტ ჯორჯიაში". ლუკა გორელია და მანამდე მშობლიური ქალაქის გუნდში („დილა") თამაშობდა. *„ერთი მხრივ, ნაკრებში გამოძახება ჩემთვის მოულოდნელი იყო, თუმც ამაზე ალბათ ყველა ფეხბურთელი ოცნებობს და იმედიც აქვს, რომ ადრე თუ გვიან გამოიძახებენ"* - გვითხრა რაზმაძემ.

ის „ვიტ ჯორჯიის" ვარჯიშზე მცხეთაში ყოველდღე გორიდან დადის. ლუკას არ აქვს მანქანა, თუმც მისი თანაგუნდელი **ამირან ყველაშვილიც** გორელია და მის ავტოში ადგილი რაზმაძისთვისაც მოიძებნება. დღეში, მათ დაახლოებით 130 კილომეტრის დაფარვა უწევთ.

რაზმაძე გუნდში მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. მისი მნიშვნელობა „ვიტ ჯორჯიაში" უფრო იმიტომაც გაიზარდა, რომ ვიტელები საშინაო მატჩებს ახლა გორში მართავენ და ლუკას ხათრით მატჩებზე ათეულობით იქაური დადის, „ვიტ ჯორჯიასაც" მისი ხათრით ქომაგობენ.

რაზმაძე ცენტრალური ნახევარმცველია. მას ბურთის ამოტანა, შეტევის დაწყება ევალება, არც პლეიმეიკერია და არც კლასიკური საყრდენი ნახევარმცველი, ორივე ფუნქციას თანაბრად ეჭიდება, თუმც უფრო საყრდენისკენ იხრება.

წინა სეზონის პირველ წრეში „ვიტ ჯორჯიამ" რაზმაძის პენალტით მოუგო „დინამოს" **დუშან უჰრინის** გუნდს ჩემპიონატში პირველი მარცხი აგემა. მეორე წრეში, როცა მასპინძელი უკვე „ვიტ ჯორჯია " იყო, რაზმაძეს ისევ 11-მეტრიანით შეეძლო „დინამოსთვის" სამქულიანი გოლის გატანა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოარტყა. იმ შეხვედრაში პენალტის გარდა რაზმაძემ კიდევ ორჯერ გაარტყა ბურთი ძელს, ორივე - საჯარიმო დარტყმით.

ყოველივე ეს კუპერს არ უნახავს და, ალბათ, არც არავინ მოუყვებოდა. არგენტინელს არც „ვიტ ჯორჯიის" წლევანდელი ევროთამაშებისთვის მოუკრავს თვალი. მაგრამ ლუკას ამბებს, ალბათ, მოუთხრობდნენ. სლოვაკურ „ტრნავას" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რაზმაძემ გოლი იქაც (2:2) გაუტანა და აქაც (1:0).

შეძლება ითქვას, რაზმაძე ეროვნულ გუნდში ფრონტის ხაზიდან მოხვდა. *„როცა გორი პირველად დაბომბეს, იქ ვიყავი და ჭურვი ჩემი სახლიდან დაახლოებით ხუთას მეტრში აფეთქდა"* - გვითხრა ლუკამ.

**დავით თავართქილაძე**

# კონტრშეტევა სწორი არჩევანი იყო

<< 1

**- ამ მოგების შემდეგ ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გაგიჩნდათ...**

- ასეა, მაგრამ მთავარია, ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. წინ კიდევ რთული მატჩები გველის. ყველა თამაშის მოსაგებად ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რაც გამოვა, გამოვა. მესამე ადგილზე გასვლის შემთხვევაში უეფაზე გავაგრძელებთ ასპარეზობას. მომდევნო ორ მატჩზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

**- ალბათ, ფამაგუსტაში სახალხო ზეიმიც იყო...**

- კი, ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. შეძახილები, ყიჟინა... ზეიმი დილამდე გაგრძელდა.

**- თქვენი გუნდის გამარჯვება მთელმა საქართველომ იხილა...**

- ვიცი და ბევრმა მომილოცა კიდეც საქართველოდან, სხვათა შორის, უცხოეთიდანაც დამირეკეს - ინგლისიდან, შოტლანდიიდან, საბერძნეთიდან...

**- მოურინიო ქეცბაიას წინაალმდეგ. კარგად ჟღერს, არა?**

- სჯობს, ასე ვთქვათ: „ინტერი" „ანორთოსისის" წინაალმდეგ. ეს ორი მატჩი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. „ინტერი" გააფთრებული დაგვხვდება. ჯერ ერთი, შინ თამაშობს და 3 ქულა უნდა, მეორეც - საკუთარ მოედანზე „ვერდერი" ვერ დაამარცხა და ახლა აღარაფერს დათმობს.

**- ახლა სანაკრებო თემაზე გკითხავთ. 11 ოქტომბერს საქართველო თბილისში კვიპროსს ეთამაშება. ამ გუნდს კარგად იცნობთ. რას უნდა ველოდოთ 11 ოქტომბერს?**

- აქ ყველა ინტერესით ელის ამ თამაშს. ბევრმა მკითხა კიდეც აზრი. კვიპროსელები ამბობენ, საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია, კარგი მწვრთნელი და ცნობილ კლუბებში მოასპარეზე ლეგიონერები ჰყავსო... თუ ჩვენ ძლიერი შემადგენლობა გვეყოლება, მწვრთნელის დავალება შესრულდება და თითოეული მოთამაშე მაქსიმუმს გაიღებს, მაშინ გამარჯვებაც მოვა. ისე, კვიპროსსაც კარგი გუნდი ჰყავს. ნახეთ, ალბათ, იტალია რა დღეში ჩააგდო. მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ: ამ ნაკრების დამარცხება ჩვენს ძალებს ნამდვილად არ აღემატება. მთავარია, სწორად ვითამაშოთ.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**;
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამოკიდებული






- ძლივს არ მოგიგე!
- (დუმილი)
- შენ ხომ კარგად იცი, რა შეუძლია რატის?
- (ისევ რჩეულ ოქროდ აღიარებული დუმილი)

სანამ მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია გაიმართებოდა, „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ „ვიტ ჯორჯიის“ დამრიგებელ რამაზ მუმლაძეს სიტყვა გადაუკრა. მუმლაძე შეფიქრიანებული იყო. ხანდახან სევდა შვენის კიდეც მწვრთნელს...

რატიმ კი ისე ითამაშა, სულ სხვანაირ სევდას მოჰგვრიდა კაცს. ის რატი გამახსენდა, თერთმეტი წლის წინ „დინამო 2“-ის ფეხბურთელი რომ იყო და „ჩელსიში“ სტაჟირებაზე წავიდა. თბილისში დაბრუნებული რატი „ჩელსიში“ მასთან ერთად წასულ არჩილ სახვაძესთან მოვინახულე. ბიჭებმა ლონდონური ფოტოები დამათვალიერებინეს. ერთ-ერთ ფოტოზე „ჩელსის“ მაშინდელ თავმჯდომარე კენ ბეითსს რატიზე ხელი აქვს გადახვეული. კარგად მენიშნა ეს ფოტო, რომელმაც თითქოს დამაჯერა, რომ რატი კიდევ წავიდოდა „ჩელსიში“...

დრო მალე გავიდა. მას მერე ძალიან ბევრი რამ მოხდა. „ვიტ ჯორჯია“-“ლოკომოტივის“ მატჩიც თითქოს ცდილობს, დაგვაჯეროს, რომ რატი კიდევ მოიგდებს ზურგზე ტვირთს და იქნებ, დაკარგული წლები რამენაირად აღიდგინოს. ის კარგი მებრძოლია, ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი კი სად გადის, ღმერთმა უწყის. რატის ამბავი საინტერესოა. ოთხი წელი ჩამოშორებული იყო ფეხბურთს, ახლა კი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდია. „პერუჯაში“ თამაშისას პაოლო როსი ტოტალიზატორის სკანდალში რომ გაეხვა, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და 1982 წელს ფეხბურთს ისე დაუბრუნდა, მუნდიალის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. რატის ამბავიც რაღაცით ჰგავს როსისას, მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბები სულ სხვაა...

ამასწინათ, „ვიტ ჯორჯიის“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და „ზესტაფონის“ ყოფილი ფეხბურთელი ედიკ საჯაია მახაჭყალის „ანჟიში“ გადავიდა და „ლელოს“ უთხრა - ძლივს მოვშორდი საქართველოს ჩემპიონატსო. ჩვენი ჩემპიონატის ცოდვა-მადლი ძალიან კარგად ვიცით, ოღონდაც, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ახლა ამ ჩემპიონატში თამაშობენ ლონდონის „ჩელსისა“ და „ვოლფსბურგის“ ყოფილი ფეხბურთელები - რატი ალექსიძე და ლევან ცქიტიშვილი. კიდევ რამდენიმე ისეთიც, საჯაიაზე ბევრად მეტი მატჩი რომ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში და ოდესღაც მოსკოვური „ტორპედოს“ სათადარიგო მოთამაშეზე უკეთ რომ შეუძლიათ ფეხბურთის თამაში.

იქნებ, საჯაია მართალიც არის. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე თქვა სათქმელი. კარგია, როცა ადამიანი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ახლა იმდენი სიყალბით გვიჭედავენ ყურებს, იუმორის გრძნობა ჭარბად გაწვება და თან განსაკუთრებით გენატრება სინამდვილე, ნამდვილი თავისუფლება. აგერ, ნინამ თავის მშვენიერ სიმრგვალეებს აზღუდად საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა შეურჩია. ბრიტანული „სანის“ მესამე გვერდის გოგოებს სულაც პროტესტანტული წმ. გიორგის ჯვრით დამშვენებული საცვლები აცვიათ და ინგლისის ეროვნულ ნაკრებს ქომაგობენ. იქ ეს თავისებური სუბკულტურაა, აქ კი... თუ ხელისუფლება არ ჩაერია, ქართული ფეხბურთი ვერც სუბკულტურას შეიქმნის, ვერც ფულს იშოვის და ვერც გულშემატკივარს. ძალიან დამოკიდებულები ვართ ხელისუფალზე და ეს არ არის კარგი. ტონი ადამსმა ავტობიოგრაფიული წიგნი რომ დაწერა, სათაური ასეთი შეურჩია: ADDICTED, ჩვენებურად - „დამოკიდებული“. ადამსი ალკოჰოლზე იყო დამოკიდებული და გამოსწორდა, ჩვენს გამოსწორებას კი არ უჩანს კარგი პირი.

ლევან მჭედლიძეს დებიუტი ჰქონდა სერია A-ში, დავით თარგამაძეს „ფრაიბურგში“, ზაქარია ბეგლარიშვილს „აიაქსის“ მეორე გუნდში - ბიჭები გზას იკაფავენ. თემურ ქეცბაია კი „ანორთოსისში“ სასწაულებს ახდენს...

ექტორ კუპერი საქართველოში მოგზაურობს. გორში კარვების ქალაქიც მოინახულა და იქაური ბავშვებიც გაახალისა. დილმის ბაზაზე მივიდა და ლობის აქედან უყურა „დინამოს“ ვარჯიშს, ოღონდაც, ეგ არის, რომ კუპერის გაწვრთნილ ნაკრებს ჯერაც ბევრი კოპი აზის.

...რატიც, ალბათ, რაღაც-რაღაცებზე იყო დამოკიდებული და დღეს ხელახლა ცდილობს, შექმნას საკუთარი თავი.

## ბეგლარიშვილი სწრაფ ბიჭებთან



საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის“ აღზრდილი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემტევი შუახაზელი ზაქარია ბეგლარიშვილი ამსტერდამის „აიაქსის“ სარეზერვო გუნდში სტაჟირებაზე მეორედ რომ მივიდა, ადრეც გაუწყეთ. რამდენიმე დღის წინ კი მას დებიუტიც ჰქონდა. „აიაქსი“ ამხანაგურად გაეჯიბრა „ქუიკ ბოიზს“ (სწრაფი ბიჭები) და ფრეს დასჯერდა - 1:1.

ბეგლარიშვილმა სრულად ითამაშა - პირველ ტაიმში უკანდახეულ ფორვარდად, მეორეში კი მარცხენა გარემარბად. მისი გარჯით „აიაქსის“ მწვრთნელები კმაყოფილნი დარჩნენ. ჩვენებური საგოლე პასითაც გამოირჩა.

## საქართველოს ჩემპიონთა ლიგაში JAKO გაიყვანს

JAKO

მაისში მინი-ჩემპიონთა ლიგა რომ გაიმართება და მასში ქართული გუნდიც ითამაშებს, ეს საქმე „ფონდი არველაძემ“ გაჩარხა. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ქართული გუნდის სპონსორი სპორტული ნაწარმის გერმანული ფირმა JAKO იქნება.

ტურნირი ამსტერდამში გაიმართება და ევროპული გრანდების 10-12 წლის ბავშვები ითამაშებენ. „ფონდი არველაძე“ ამ ასაკში საქართველოს საუკეთესო ბავშვებს მოუყრის თავს და ეს ნაკრები ტურნირში რომელიმე კლუბის სახელით ითამაშებს.

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ ოთარ კორღალიძესთან

# სამ ფორვარდს დავაყენებთ და ტაქტიკას უფრო შემტევი გვექნება

## რომელ დონეზეა ლაპარაკი, როცა ფეხბურთელები კი არ დარბიან, მოედანზე დადიან...

ბოლნისის „სიონში“ წლეულს საჩემპიონო შემადგენლობა შეიკრიბა. თავის დროზე საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, თბილისის „ამერის“ დასუსტებით ყველაზე მეტად ბოლნისელებმა ისარგებლეს და ერთდროულად 6 ფეხბურთელი გადაიბირეს: ზურაბ ქვაჩახია, ლადო კაკაშვილი, არჩილ ალავიძე, გივი დიდავა, სულიკო დავითაშვილი და რევაზ გოცირიძე. ცხინვალის „სპარტაკიდან“ დაიმატეს გამოცდილი მცველი რევაზ ქემოკლიძე, ახალციხის „მესხეთიდან“ ნახევარმცველი ალეკო კოშკაძე (რომელიც წლეულს საუკეთესო ფორმაშია და გუნდის ლიდერადაც გადაიქცა), გუნდი ზუგდიდის „მგლებიდან“ გადმოსულმა გელა ხუბუამაც გააძლიერა, აღარაფერს ვამბობთ სანდრო იაშვილზე, რომელიც, იმედია, ნელ-ნელა ათამაშდება...

მიუხედავად ასეთი სოლიდური მატებისა, ოთხი ტურის შემდეგ „სიონი“ მხოლოდ მეექვსე ადგილზეა. თუმცა ბოლნისელთა მთავარ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს მიაჩნია, რომ გუნდი ახლა იქოქება და საგანგაშო არაფერია...

**- ბატონო ოთარ, ქულების მოპოვება და გოლები ძალიან გიჭირთ. რა ხდება „სიონის“ თავს?**

- ვერ ვიტყვი, რომ გუნდი მოიკოჭლებს. ეს მცდარი აზრია, პირიქით, ბევრისგან მსმენია, რომ „სიონს“ უკვე აქვს საკუთარი ხელწერა. უბრალოდ, რაღაც ხდება, ბურთი არა და არ გადის. ჩვენი დიდი მინუსი ის არის, რომ მოსამზადებელი ეტაპის შემადგენლობიდან, რომელიც შეთამაშებული იყო, სამი ფეხბურთელი ჩემპიონატის დაწყების წინ გამოგვაკლდა.

**- აზერბაიჯანში ლევან სილაგაძის გადასვლა ცნობილი ამბავია, დანარჩენ ორში ვის გულისხმობთ?**

- ირაკლი შენგელიასა და გივი დიდავას.

**- დიდავამ ხომ ითამაშა ბოლო ტურში?**

- ითამაშა, მაგრამ აქამდე კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი და ვერ გვეხმარებოდა. სამი ფეხბურთელი დიდი ძალაა. სხვებსაც ჰქონდათ პრობლემები. მაგალითად, გოცირიძე წონაში მთელი ხუთი კილოთი იყო მომატებული, სანდრო იაშვილი ფორმაში არ იყო და პირველი თამაშისთვის განაცხადშიც ვერ შევიყვანეთ... ახლა თავად გამოიტანეთ დასკვნა, თუ რა პრობლემების წინაშე ვიდექით. ამის მიუხედავად, ზუგდიდში მოვიგეთ და ეს სულაც არ იყო ჩვეულებრივი გამარჯვება. იქ სტუმრებს მოგება ყოველთვის უჭირთ. „მესხეთთან“ მხოლოდ ქულა ავიღეთ, არადა, ახალციხელები ცენტრს არ გადმოსცილებიან... ნელ-ნელა დავალაგებთ თამაშს. დღეს სანახაობრივი ფეხბურთი არ გამოგვდის. მთავარი ისაა, რომ გუნდის შენების საშუალებას გვაძლევენ და ჩემპიონობასა თუ უეფას თასზე გასვლას დღესვე არავინ გვთხოვს. შემდეგ ტურში „გაგრას“ ვხვდებით. იმედია, ნავსს გავტეხთ, გოლებსაც გავიტანთ და მოვიგებთ კიდეც. არ შეიძლება ასეთი უიღბლობა დიდხანს გაგრძელდეს. ჩვენ მაღალი დონის ფეხბურთელები გვყავს, ამდენად, პრობლემებს კლასის ნაკლებობას ვერ დავაბრალებთ.

**- მაინც რას მივაწეროთ უგოლო სერია? იქნებ, მოთამაშეები ფსიქოლოგიური წნეხის გამო ვერ იხსნებიან?**

- არავითარი ზეწოლა მათზე არ არის, პირიქით, „მესხეთთან“ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ კარგი ფეხბურთისთვის მადლობა გადაგვიხადა. სხვა საქმეა, რომ ბიჭები ვალდებულნი არიან, გაიტანონ. მაგრამ, როცა წონაში ხუთი კილოთი ხარ მომატებული, როგორ გაიტან? არაა გამორიცხული, მომდევნო შეხვედრებში უფრო შემტევი ტაქტიკა ავირჩიოთ.

**- ანუ...**

- ალბათ, „გაგრასთან“ სამ თავდამსხმელს დავაყენებთ.

**- კი, მაგრამ გყავთ ისეთი შრომისუნარიანი ნახევარმცველები, სამი თავდამსხმელის პირობებში დიდი მოცულობის „შავი სამუშაო“ რომ შეასრულონ? გახსოვთ, ალბათ, საქართველოს ნაკრებმა საფრანგეთთან თბილისში სამი ფორვარდით სცადა თამაში და რაც გამოვიდა აქედან, ყველამ იცის...**

- ნებისმიერი მწვრთნელი ტაქტიკას მოთამაშეთა კონტინგენტის მიხედვით ირჩევს. ჩვენ კი, დავითაშვილის, იაშვილისა და გოცირიძის სახით, სამი ისეთი თავდამსხმელი გვყავს, ნებისმიერი მათგანის სკამზე დასმა საცოდაობა იქნება. ისე, გეთანხმებით - როცა წინ სამი ფორვარდი გყავს, ამ დროს ნახევარდაცვისა და უკანა ხაზის გამართულ მოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ვნახოთ... სანაკრებო პაუზის დროს საკონტროლო მატჩებს ჩავატარებთ და ვეცდებით, სამფორვარდიანი ტაქტიკა კარგად დავამუშაოთ.

**- დამეთანხმებით, ეროვნული ჩემპიონატი ისე საინტერესოდ დაიწყო, ანალოგიურის გახსენება ჭირს...**

- მართალი ხართ, საინტერესო და არაპროგნოზირებადი მატჩებია. წინასწარ ვერ იტყვი, ვინ ვის მოუგებს... თუმცა 11-გუნდიანი ჩემპიონატი ზოგიერთ კლუბს უპირატესობას ანიჭებს და ეს არ მესმის. უმაღლეს ლიგაში „ამერიც“ რომ ყოფილიყო, ჩემპიონატი კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა. დღეს კლუბებში ფინანსური სიტუა-



ცია დაახლოებით ერთნაირია და ამიტომაცაა, რომ ყველა მატჩში ომი და ბრძოლაა.

**- თუმცა ისიც სათქმელია, რომ დაძაბულობის მიუხედავად, ჩემპიონატის დონე სასურველისგან ძალზე შორსაა...**

- რომელ დონეზეა ლაპარაკი, როცა ფეხბურთელები კი არ დარბიან, მოედანზე დადიან. ლიდერების მატჩს დავესწარი და გავგიჟდი - არ მოძრაობდნენ და რის ხარჯზე სურთ მოგება, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. თუმცა ჩვენზე ალბათ ვერავინ იტყვის, რომ დაბალ ტემპში ვთამაშობთ. ქართული საკლუბო ფეხბურთი რომ დაბალი დონისაა, ამას ყველა ხედავს. სამწუხაროდ, ასეა. შეიძლება ითქვას, ჩვენთან საშუალოზე დაბალი დონეა.

**- ექტორ კუპერზეც ვისაუბროთ. „სიონში“ თუ გეგულებათ ისეთი ფეხბურთელი, რომლის ნახვას ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ურჩევდით?**

- კუპერს მე ვერ ვეტყვი, ვინ უნდა გასინჯოს. ეს მისი გადასაწყვეტია, დადის თამაშებზე და საუკეთესოებს თავად არჩევს. ის დაესწრო „სიონი“-“ზესტაფონის“ მატჩს, მაგრამ იმ დღეს კარგად ვერ ვითამაშეთ. „მესხეთთან“ ჩვენი თამაში რომ ენახა, მაშინ კი ნამდვილად ამოარჩევდა რამდენიმე მოთამაშეს. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, რომ არიან საინტერესო ფეხბურთელები. მაგალითად, თუ დიდავა ფორმაში შევა, დარწმუნებული ვარ, ნაკრებისთვის საჭირო საყრდენი ნახევარმცველი იქნება. სანდრო იაშვილსაც დავასახელებდი, მაგრამ ჯერ კონდიციები უნდა აღიდგინოს. როცა ფორმაშია, ბევრი რამ შეუძლია...

მერაბ მამულაშვილი

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
IV ტურის მიმოხილვა

# განსაკუთრებული, მაგრამ ისევ უმაყურებლო...


დინამო-ოლიმპი. გიორგი მერებაშვილი ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო
ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტო

...ᲗᲣᲠᲛᲔ, ჩვენს ჩემპიონატშიც შეიძლება ისეთი მატჩების ნახვა, სადაც სანახაობაც არის და დრამატიზმიც; ინტრიგაზე აღარაფერს ვამბობთ - ჯერ ოთხი ტურია გასული და სენსაციები თუ მოულოდნელობები საიუბილეო ჩემპიონატის საფირმო ნიშნადაც იქცა. რა თქმა უნდა, დადებით ტენდენციად მიგვაჩნია გუნდების დონეთა გათანაბრების პროცესი, რის დასტურადაც სატურნირო ცხრილში არსებული სიმჭიდროვეც გამოდგება. თანაც, მოვლენები ისე კალეიდოსკოპურად იცვლება, გუშინდელი აუტსაიდერი დღეს, შესაძლოა, პირველ სამეულში აღმოჩნდეს, ხვალ - პირიქით, ისევ ქვემოთ და ასე შემდეგ. მოკლედ, ჩემპიონატის ახალმა ფორმატმა ჯერჯერობით გაამართლა, თუმცა მერე, რა და როგორ იქნება (განსაკუთრებით - დეკემბერსა და თებერვალში), ეს კი ნამდვილად ძნელი გასაჭვრეტია. ახლა კი ალბათ დროა, რომ ზოგადი ლაპარაკის ნაცვლად მეოთხე ტურის მატჩებზე შევჩერდეთ. მართლაც, განსაკუთრებული ტური იყო: ორი პრინციპული დაპირისპირება გველოდა და ორივე მატჩმაც მოლოდინი გაამართლა. სამწუხაროდ, რაც უნდა ინტრიგასა თუ ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალურ გაბრწყინებაზე ვიმსჯელოთ, ერთ საკითხში ისევ გვარიანად მოვიკოჭლებთ. ხვდებით, ალბათ, რომ სტადიონებზე ქომაგების ნაკლებობას ვგულისხმობთ. დიახ, სამწუხარო ფაქტია, და ალბათ, უფრო მეტიც - რომ ზესტაფონის გარდა, თითქმის ყველგან, მატჩები ცარიელი ტრიბუნების წინ მიმდინარეობს. აი, ახლაც, მეოთხე ტურში ორი პრინციპული მატჩი იყო და ორივე შეხვედრაში გულშემატკივართა საერთო რაოდენობამ ხუთასსაც ვერ გადააჭარბა.

...ალარც ვიცით, საიდან დავიწყოთ: „დინამო"-"ოლიმპის" მატჩით თუ „ვიტ ჯორჯია"-"ლოკომოტივის" შეხვედრით; ორივეგან დიდი ინტრიგა იყო: თბილისში წარუმატებელი სტარტის მქონე გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, გორში კი - ორი უდანაკარგო გუნდი. ორივეგან გამარჯვებული ბოლო წუთებზე გამოვლინდა, თუმცა სხვაობა მაინც იყო: თბილისში მასპინძელთა დომინირება უდავო გახლდათ, გორში კი მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ისე, ალბათ, დროა „პარალელური რეჟიმის" ნაცვლად თითოეულ შეხვედრაზე ცალკე ვისაუბროთ. მეოცე ჩემპიონატის სტარტის მთავარი მოულოდნელობა „დინამოს" ასპარეზობა იყო. „ლოკომოტივთან" წაგებული მატჩის მერე ბევრმა **რაინერ ცობელის** კომპეტენციაში ეჭვიც შეიტანა; არც გაემტყუნებოდათ - მოქმედი ჩემპიონი არც თამაშით ბრწყინავდა და ვერც იმას იტყოდა ვინმე, მწვრთნელის ხელი ეტყობაო. ზუსტად ვერ გეტყვით, თუ როგორ მიაგნო „დინამოს"გერმანელმა მწვრთნელმა სამ დღეში წარმატების „ფორმულას", მაგრამ ფაქტია: „ოლიმპთან" ისეთი გუნდი ვიხილეთ, ფავორიტებიდან ნაადრევად ჩამოსაწერი რომ არ არის. თანამედროვე ფეხბურთში „მოტივაცია" მოდური სიტყვაც არის და უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც: „დინამომ" ამ კომპონენტში მეტოქე აშკარად დაჩაგრა და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა. მოტივირებულზე მეტად თამაშობდა **გიორგი მერებაშვილი** - ორი ტაიმის განმავლობაში რამდენიმე დასამახსოვრებელი სოლო-რეიდი ხომ შემოგვთავაზა, ორჯერ ძელს გაარტყა ბურთი და ორჯერაც ზუსტი პასებით **მათე ვაწაძესა** და **დონალდ ჯიუსს** ჩინებული ასისტენტობა გაუწია. საგოლე პასები შემთხვევით არ გვიხსენებია - „ლოკომოტივთან" მატჩისგან განსხვავებით, მერებაშვილი გუნდურ მოთამაშედ წარმოჩინდა და ამით ფეხბურთელმაც იხეირა და „დინამომაც". მერებაშვილის უდიდესი პლუსი უნივერსალიზმიც არის - საყრდენის გარდა ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ნებისმიერ პოზიციაზე წარმატებით შეუძლია თამაში. „ოლიმპთან" გამარჯვება ცობელის აქტივშიც უნდა ჩაითვალოს: მატჩის დროს გუნდი ტაქტიკურად ორჯერ „გადააწყო" და შეცვლაც იღბლიანი გამოუვიდა.

აი, „ოლიმპზე" კი რაღა უნდა ვთქვათ, აღარც ვიცით; ეს, ალბათ, მოულოდნელობაზე მეტია, როცა ასეთი შთამბეჭდავი შემადგენლობით... გუნდი სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფება. რა თქმა უნდა, რუსთაველ კლუბს უმძიმესი კალენდარი აქვს, ორი წამყვანი მცველიც ტრავმის გამო გამოაკლდა, მაგრამ ეს მაინც ვერანაირი გამართლებაა. არანაკლებ უცნაურია, რომ საჩემპიონო ამბიციების მქონე გუნდს შედეგის გარდა... თამაშის ხელწერითაც ვერ გამოვარჩევთ; არადა, ნებისმიერ რგოლში ერთი-მეორეზე გამოცდილი და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე გამორჩეული ფეხბურთელები ჰყავს. თითქმის იგივე სიტუაციაა ქვემო ქართლის მეორე კლუბშიც: ბოლნისის „სიონიც" საკმაოზე მეტად გაძლიერდა ახალი სეზონის წინ და არავის გაუკვირვებია, **ოთარ კორღალიძის** გუნდიც ჩემპიონატის ფავორიტთა შორის რომ სახელდებოდა. თუმცა „ოლიმპისა" და „სიონის" შემთხვევებში დროის ფაქტორიც გასათვალისწინებელია - ორივე გუნდში ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალწვეულია და ერთმანეთში შესათამაშებლად გარკვეული პერიოდიც სჭირდებათ. განვლილ ტურში „სიონი" ბევრს კი ეცადა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხა ორგანიზებულად მოასპარეზე „მესხეთს". ამ ჩემპიონატის უდავო აღმოჩენა რომ ახალციხური კლუბია, ალბათ, საკამათო არავისთვის იქნება; თანაც, **კობა თედიაშვილის** გუნდს ერთი „კარგი" თვისებაც ჩამოუყალიბდა - ავტორიტეტებს არ ცნობს!

მეოთხე ტურში ერთი საინტერესო მატჩი ბორჯომში გაიმართა, სადაც მასპინძლებმა ამ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვეს. საინტერესო კი, პირველ ყოვლისა, იმით იყო, რომ „გაგრას" მწვრთნელ **ვლადიმერ ხაჩიძეს** ყოფილი კლუბის წინააღმდეგ უწევდა ასპარეზობა...

სამწუხაროდ, კვლავ ნული ქულა აქვს „სპარტაკს" - **კობა ჟორჟიკაშვილის** ახალგაზრდული გუნდი ამჯერად ზუგდიდში დამარცხდა. ისე, „მგლები" ერთობ რაციონალურად ასპარეზობს: უშუალო კონკურენტებთან ქულებს არ კარგავს და სეზონის უმთავრეს ამოცანას (უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება), ალბათ, ამ ხერხის მიღწევით შეეცდება.

დაბოლოს, ტურის მშვენება-მატჩზეც, სადაც ერთმანეთს ორი ერთპიროვნული ლიდერი ხვდებოდა. გავუსწრებთ მოვლენებს და, უპირველეს ყოვლისა, ფრიად დადებით მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას: „ვიტ ჯორჯიაც" და „ლოკომოტივიც" მოედანზე მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულის მოსაპოვებლად გამოვიდნენ. და ეს იმის მიუხედავად, რომ ორივე გუნდის მწვრთნელმა, ერთი შეხედვით, ფრთხილი ტაქტიკა აირჩია (ნახევარდაცვაში ხუთი ფეხბურთელის გამწესებას ვგულისხმობთ); თუმცა მატჩის შინაარსი აშკარად არაფრთხილი გამოდგა და შეხვედრაზე დამსწრე მცირერიცხოვანმა ქომაგმაც მშვენიერი სანახაობა იხილა. პირველ ტაიმში უფრო უკეთ ნომინალური მასპინძლები გამოიყურებოდნენ და ლოგიკურიც იყო, რომ ანგარიში **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა გახსნა. როგორც წინა მატჩებში, კვლავ აქტიურობდა ახალგაზრდა **ჯაბა ლიპარტია**, ვინც **ირაკლი კლიმიაშვილის** პასი შეირგო და ზუსტი დარტყმით ჩემპიონატში მეორე გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი" გააქტიურდა და ჯერ თამაში გაათანაბრა, მერე კი ძალთა თანაფარდობა ანგარიშშიც გამოიხატა. ამის მერე კი „გახსნილი თამაში" წავიდა და ორივე გუნდი მხოლოდ მოგებაზე თამაშობდა. იღბალმა კი უფრო „ლოკომოტივს" გაუღიმა - მატჩის ბოლო წუთზე **რატი ალექსიძემ** ახალგაზრდა თანაგუნდელის, **ირაკლი ჩირიკაშვილის** პასით გამარჯვების გოლი გაიტანა! ამ მოგებით კი „ლოკომოტივი" ის ერთადერთი გუნდია, ჩემპიონატში ქულა რომ არ დაუკარგავს...

**გია ტუხაშვილი**




## ტურის ფეხბურთელი

### რატი ალექსიძე

**ᲒᲣᲨᲘᲜᲐᲪ** და დღესაც ბევრი ვაქეთ გიორგი მერებაშვილი- „დინამოს" გამარჯვებაში ლომის წილი რომ დაიდო; თუმცა რა სჯობს, როცა ასარჩევად გვაქვს საქმე და ამ შემთხვევაშიც ჩვენი ფავორიტი რატი ალექსიძეა! „ლოკომოტივის" თავდამსხმელი საკუთარ გუნდს „დუბლით" შეეწია მანამდე უდანაკარგოდ მოასპარეზე „ვიტ ჯორჯიასთან". ალექსიძე ჩინებულ ფორმაშია და ნამდვილად არ არის შემთხვევითი, ბომბარდირთა დავაშიც რომ დაწინაურდა.

## ტურის მწვრთნელი

### რაინერ ცობელი

**ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ**, ბევრისთვის საკამათო იყოს, მაგრამ ჩვენი არჩევანი „დინამოს" მწვრთნელზე შეჩერდა. რა თქმა უნდა, „ლოკომოტივის" გორში გამარჯვება პატარა საქმე არ იყო, მაგრამ ვერც იმ ფაქტს ავუვლით გვერდს, „დინამომ" რომ სწორი ტაქტიკით აჯობა „ოლიმპს". მოკლედ, რაინერ ცობელმა, ეტყობა, სწორი დასკვნები გამოიტანა „გაგრასა" და „ლოკომოტივთან" წაგებული მატჩებიდან და შედეგიც სახეზეა.

## I ლიგა. V ტური

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| თბილისი-ვიტ ჯორჯია 2 | 0:3 |
| ამერი-ჰერეთი | 4:1 |
| გაგრა 2-ჩიხურა | 2:4 |
| სიონი 2-დინამო 2 | 2:2 |
| კახეთი-დილა | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 2. ვიტ ჯორჯ. 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 7-0 | 10 |
| 3. დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 10 |
| 4. ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 5. ჩიხურა | 5 | 2 | 2 | 1 | 11-6 | 8 |
| 6. სიონი 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 9-8 | 7 |
| 7. თბილისი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 8. ნ/დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 9. კახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 10. ჰერეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-9 | 3 |
| 11. გაგრა 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 5-14 | 0 |

### მომდევნო ტური

6 ოქტომბერი, ორშაბათი

დინამო2-კახეთი
ჩიხურა-სიონი2
ჰერეთი-გაგრა2
ვიტ ჯორჯია2-ამერი
ნორჩი დინამოელი-თბილისი

*დილა ისვენებს*

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| ბაია-ზესტაფონი 2 | 2:0 |
| სამტრედია-მერანი | 0:1 |
| მაღაროელი-ბათუმი | 3:0 |
| გურია-ტორპედო 2008 | 1:0 |
| კოლხეთი-მეშახტე | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 5 | 4 | 0 | 1 | 14-4 | 12 |
| 2. ბაია | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| 3. სამტრედია | 5 | 3 | 0 | 2 | 6-3 | 9 |
| 4. კოლხეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 5. მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 6. ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 7. გურია | 4 | 1 | 2 | 1 | 3-6 | 5 |
| 8. ზესტაფონი 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 1-5 | 4 |
| 9. ბათუმი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |
| 10. მეშახტე | 5 | 0 | 2 | 3 | 4-12 | 2 |
| 11. ტორპ. 2008 | 5 | 0 | 1 | 4 | 0-5 | 1 |

### მომდევნო ტური

6 ოქტომბერი, ორშაბათი

ტორპედო 2008-კოლხეთი ფოთი
დინამო ბათუმი-გურია
მერანი-ჭიათურა
ზესტაფონი 2-სამტრედია
ხობი-ბაია

*მეშახტე ისვენებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი



## რაინერ ცობელი:
# დინამოს მთავარი კონკურენტი მხოლოდ დინამოა

### რა საერთოა დინამოსა და ეროვნულ ნაკრებს შორის

გასული ტურის საუკეთესო მწვრთნელად „ლელომ" რუსთავის „ოლიმპის" მძლეველი თბილისის „დინამოს" თავკაცი რაინერ ცობელი დაასახელა. გერმანელ სპეციალისტს დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვეწვიეთ და ეროვნული ჩემპიონატის გარდა, სხვა საინტერესო თემებზეც გავესაუბრეთ.

**- ჰერ ცობელ, ჩვენმა გაზეთმა განვლილი ტურის საუკეთესო მწვრთნელად დაგასახელათ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- რა თქმა უნდა, მოხარული ვარ და მადლობელი. ჯერ მაინც ახალი მწვრთნელი ვარ და კიდევ დრო მჭირდება, რომ ჩემს ხელში გუნდმა სრულად აჩვენოს თავისი შესაძლებლობები. მჯერა, რომ ყველაფერი მალე დალაგდება და ბევრ მნიშვნელოვან გამარჯვებას მოვიპოვებთ. ერთსაც დავამატებდი - ბედნიერი ვიქნები, თუ ხშირად მარგუნებთ ტურის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულს (იცინის)... ჩვენ, მე და გუნდი, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

**- გავიხსენოთ „ოლიმპთან" თამაში. როგორ აფასებთ მატჩს?**

- პირველ ტურებში მნიშვნელოვანი ქულები გვქონდა დაკარგული და ამან „ოლიმპთან" მატჩს უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა. წინა შეხვედრებთან შედარებით „დინამო" უკეთ წარმოჩნდა, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ აღფრთოვანებული ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი ბურთით მოვიგეთ. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ. პირველ ნახევარში ვნახე, თუ როგორ თამაშობდა მეტოქე, გარკვეულ ტაქტიკურ გადაადგილებებს მივმართე, რამაც გაამართლა კიდეც. თუმცა უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო...

**- გამარჯვების გოლის ავტორი შეცვლით გამოიცანით. ასე ხშირად არ ხდება ხოლმე...**

- ბედის ამბავია. თუ გიმართლებს, შეცვლასაც იღბლიანს გააკეთებ.

**- ბევრს გაუკვირდა, როცა ბოლოს ჯიუსი შეცვალეთ. როგორც ტრიბუნიდან ჩანდა, მას ეს თავად არ უთხოვია...**

- მატჩი მთავრდებოდა და ამ შეცვლით ერთი წუთი მაინც მოვიგეთ. დონალდი ახალგაზრდაა და მას ეს შეცვლა არ დათრგუნავდა. ვანაძეს, მერებაშვილს ან სხვას რომ გაეტანა, მას შევცვლიდი და ამით დროს მოვიგებდი. ხომ გითხარით, მთავარი სწორედ დროის მოგება იყო.

**- „ოლიმპამდე" „დინამომ" ქულები დაკარგა. ეს კრიზისი იყო?**

- მოქმედ ჩემპიონს ეს ნამდვილად არ ეკადრებოდა. ამის გამო, ჩვენი კლუბის თითოეული წევრი, ხელმძღვანელობით დაწყებული და ტექნიკური პერსონალით დამთავრებული, ყველა დაძაბული იყო. წელანაც გითხარით, „ოლიმპთან" მატჩი ჩვენთვის ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი. გარდა იმისა, რომ მეტად საჭირო 3 ქულა მოვიპოვეთ, დავამტკიცეთ, რომ წნეხის პირობებშიც კი შეგვიძლია წარმატებით თამაში. „დინამოს" უფლება არ აქვს, ჩემპიონობისთვის არ იბრძოლოს. დიახ, ჩემპიონები ისევ ჩვენ უნდა გავხდეთ! მორჩა და გათავდა!

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- თბილისის „დინამოს".

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- „დინამომ" ოქროს მედლები უნდა მოიპოვოს. ვფიქრობ, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული და თუ მიზანს ვერ მივაღწევთ, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. სწორედ ამას ვგულისხმობდი.

**- წინ კიდევ ერთი რთული მატჩი გელით. კვირას „ზესტაფონს" სტუმრობთ. ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის პრინციპულია...**

- მართალი ხართ. საერთოდაც, საქართველოს ჩემპიონატში უკვე მომრავლდა ამ ტიპის მატჩები. ეს ჩინებული ტენდენციაა. ზესტაფონში მართლაც რთული თამაში გველის. ამ მხრივ, „ოლიმპთან" მოგება ჩვენთვის დიდი სტიმულია. აღსანიშნავია ისიც, რომ კალენდრის მიხედვით იმ გუნდებთან გვიწევს თამაშები, რომლებიც წინა ტურებში ისვენებენ. მაგალითად, „ზესტაფონს" მეოთხე ტურში არ უთამაშია. მომდევნოში „მესხეთი" ისვენებს, ხოლო იმის შემდეგ ახალციხეში ჩავდივართ. ეს მეტოქეს გარკვეულ უპირატესობას აძლევს.

**- რა აზრის ხართ საქართველოს ჩემპიონატზე?**

- დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატია. გათამაშების ფორმატმა კი გამაკვირვა. სამწრიანი ტურნირი ზოგიერთ გუნდს უკეთეს პირობებში აყენებს. თუ გაგიმართლა, შინ მეტ მატჩს ჩაატარებ, თუ არა და - ნაკლებს. ასე არ შეიძლება. იმედია, მომავალ სეზონში ეს სისტემა შეიცვლება. თუმცა დაძაბულობა სახეზეა და ეს უკვე კარგია. ძნელია რომელიმე წყვილში ფავორიტის გამორჩევა. სენსაციებიც მომრავლდა...

**- ერთი გულშემატკივრისგან საინტერესო ფრაზა მოვისმინე: „დინამო" საქართველოს ნაკრებს ჰგავს, ორივეს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ორივემ ქულები დაკარგა, ორივეს მწვრთნელი ჯერ კიდევ ფეხბურთელებს სწავლობს და ორივეს ცოტა დრო აქვსო... ქართულ ფეხბურთში მუშაობთ და, საინტერესოა ჩვენი ეროვნული გუნდის თქვენეული შეფასება.**

- საინტერესო პარალელებია... კიდევ ერთს დავამატებდი - „დინამოც" და ნაკრებიც მეორე ტაიმებს უკეთ თამაშობენ. იმის იმედიც მაქვს, რომ ორივე მალე ბევრად უკეთ იასპარეზებს. რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ გუნდს. ექტორ კუპერი გამოცდილი მწვრთნელია და მჯერა, მალე ხელშესახები შედეგებიც ექნება. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია ოქტომბრის მატჩები. 11 და 15 ოქტომბერს სტადიონზე ვიქნები და საქართველოს ნაკრებს ვუქომაგებ.

**- კუპერმა რომ მოგმართოთ, „დინამოდან" ნაკრებში რეკომენდაციას ვის გაუწევდით?**

- კუპერი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და თავად აკვირდება ფეხბურთელებს. ეს ძალიან კარგია. ის თავად გადაწყვეტს, თუ ვინ მიიწვიოს ნაკრებში. მაგრამ რადგან მკითხეთ, ასე გიპასუხებდით: კარგი იქნება, თუ კუპერი გურამ კაშიასა და გიორგი მერებაშვილს დააკვირდება.

**- ადრე ლაპარაკი იყო დონალდ ჯიუსის ნატურალიზაციაზე. ამ პროცედურას მინიმუმ 2 წელიწადი დასჭირდება. საინტერესოა, თქვენ რა პერსპექტივას ხედავთ მასში?**

- ჯიუსი ნიჭიერი ახალგაზრდაა და პერსპექტივა მართლაც აქვს. მაგრამ უმჯობესია, თუ საქართველოს ნაკრებში ქართველები ითამაშებენ. რალა შორს წავიდეთ, ცოტაც ვაცალოთ ვანაძეს და ნახავთ, რა დონეზე ითამაშებს. მასში დიდ ტალანტს ვხედავ და თუ სწორად განვითარდება, მაღალი კლასის ფორვარდად ჩამოყალიბდება.

**დავით ცაბაძე**

ტურის ფეხბურთელი

## რატი ალექსიძე:
# იარეთ სტადიონებზე, იმაზე უკეთეს ფეხბურთს ვთამაშობთ, ვიდრე თქვენ გგონიათ

### საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ თამაში შემიძლია. როგორ გამოიპარა ალექსიძე სომხეთიდან...

რატი ალექსიძემ შეუძლებელი შეძლო და ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ ნაკრებშიც დაბრუნდა, მიმდინარე პირველობაზე კი ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია, თუ არა - ყველაზე გამორჩეული. სხვებისგან განსხვავებით, თბილისის „ლოკომოტივმა" 3 მატჩი ჩაატარა და ალექსიძე, „ლელოს" ვერსიით, უკვე მეორედ გახდა ტურის საუკეთესო ფეხბურთელი. მეოთხე ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" გატანილი ორი გოლით მან „ლოკომოტივს" ლიდერობა მოუტანა...

**- რატი, „ლელომ" ტურის ფეხბურთელთად დაგასახელა, თან უკვე მეორედ. მოსალოცი ამბავია...**

- მე გავხდი ტურის მოთამაშე? კარგია... ტურის ფეხბურთელობა მოცემულ მომენტში მაქსიმუმია. დაფასება ძლიერ მახარებს.

**- სამ ტურში 4 გოლი მშვენიერი შედეგია. შენი აზრით, საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირობისთვის სეზონში რამდენის გატანაა საჭირო?**

- სეზონის ბოლოს ვნახოთ... წელს ბომბარდირობისთვის ვიბრძოლებ. ისე, ბოლო დროს რაც დავისახე მიზნად, ლამის ყველაფერი გამომივიდა და იმედია, ბომბარდირობასაც შევძლებ. ფეხბურთში დასაბრუნებლად ბევრი რამ დავთმე.



**- საინტერესოა, ოთხწლიანი უთამაშებლობის პერიოდში რას აკეთებდი?**

- მამა რომ გარდამეცვალა, უამრავი პრობლემა მქონდა, დეპრესიაში ვიყავი... იმის გახსენება აღარ მინდა...

**- საერთოდ არ ვარჯიშობდი?**

- არა... უფეხბურთოდ მიჭირდა და დეპრესიაშიც ამის გამო ჩავვარდი. ფეხბურთის გარეშე ყოფნა საშინელ დისკომფორტს მიქმნიდა. დილით გაღვიძებაც კი არ მინდოდა.

**- როგორც მახსოვს, ფეხბურთში დაბრუნება ზამთარში, სომხური „მიკადან" წამოსვლის შემდეგ გადაწყვიტე...**

- დაახლოებით ასე იყო. ამის შემდეგ აღმოვჩნდი „ლოკომოტივში".

**- მგონი, პირველად გიორგი დევდარიანმა სცადა ფეხბურთში შენი დაბრუნება...**

- არა, ჯერ გიორგი კიკნაძესთან ვვარჯიშობდი, მაგრამ ნევროზი მქონდა... მერე დევდარიანი დამეხმარა; მაგრამ კვლავ არაფერი გამოვიდა, ტრავმა მივიღე, ნერვებმა მიმტყუნა და კარგა ხნით გავჩერდი.

**- სომხურ კლუბში როგორღა აღმოჩნდი?**

- დევდარიანთან ვარჯიშის შემდეგ ცუდ მდგომარეობაში ვიყავი. ჩემი მეგობარი რატი მაისურაძე შემიჩნდა - საინტერესო ადამიანს გაგაცნობ, ოღონდ ფეხბურთს დაუბრუნდიო. მაშინ ყველა მეგობარი იმავეს მთხოვდა. ეს „საინტერესო ადამიანი" „მერიოტში" ვნახეთ, „მიკას" პრეზიდენტი აღმოჩნდა. დავთანხმდი ტრანსფერზე. ორ საათში „ჯიპში" ჩამსვეს და ერევანში წამიყვანეს. სიმართლე გითხრათ, მაშინ დარჩენაზე მეტად, მომზადების დაწყებაზე უფრო ვფიქრობდი. „მიკაში" თამაში არც მინდოდა. კარგად ვივარჯიშე, მშვენიერ პირობებში ვემზადებოდი, ბევრიც ვიმხიარულე, მწვრთნელზეც ვიცინოდი... კარგად მომზადებული ერევანში ჩავფრინდი. პირობებზე რომ დაიწყეს ლაპარაკი, გამეცინა - 1500 დოლარს დაგინიშნავთო. მაშინვე ვუთხარი, „ჩელსიში" ნათამაშებ ფეხბურთელს ასეთი წინადადება არ უნდა შესთავაზოთ-მეთქი და წამოვედი... ვარჯიშის დროს საპირფარეშოში გასვლა მოვიმიზეზე... ტაქსიში ფორმას გზადაგზა ვიცვლიდი და ასე ჩამოვედი თბილისში. მოკლედ, „მიკა" კარგად გამოვიყენე და „ლოკომოტივში" ჩავირიცხე.

**- ბოლოს „როსტოვთან" გქონდა კონტრაქტი. ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ეროვნულ ნაკრებში რომ ითამაშე, რუსებმა კომპენსაცია არ მოგთხოვეს?**

- „როსტოვისთვის" 900 ათას დოლარამდე მქონდა გადასახდელი. იქ ხომ საკონტრაქტო ავილე და ასე იოლად ვინ გამიშვებდა? ჩემთვის მოულოდნელად ნოდარ ახალკაცი დამეხმარა - ოღონდ შენ ითამაშე და პრობლემას მოგიგვარებო. ნოდარმა იმხელა სიკეთე გამიკეთა, ამას რა დამავიწყებს? არადა, როგორ მოახერხა, დღემდე არ ვიცი.

**- ფორმა უკვე აღიდგინე, თუ ისეთი დაბალი დონის პირველობაა, რომ კლასის ხარჯზე ყველაფერი ადვილად გამოგდის?**

- არა, ისეთი დაბალი დონეც არაა, ბევრს რომ ჰგონია. სხვათა შორის, წლევანდელი ჩემპიონატი მართლა მომწონს, სულ ბრძოლა და დაძაბული თამაშებია. ვერ გაიგებ, რა მოხდება, ვინ დაწინაურდება და ვინ აუტსაიდერებში დაეშვება. რა თქმა უნდა, ეს არ არის საუკეთესო ჩემპიონატი, მაგრამ წინსვლა ნამდვილად დაეტყო. უკეთესი იქნებოდა, ხარისხიან მოედნებზე რომ ვთამაშობდეთ. გაცილებით ლამაზი ფეხბურთი გამოგვივიდოდა. გული იმაზეც მწყდება, მაყურებელი რომ არ დადის. ჩვენთან ფეხბურთი ძალიან უყვართ და ალბათ, ადრე თუ გვიან, ქომაგი ტრიბუნებზე დაბრუნდება. მეც მინდა, ხალხს ვთხოვო - იარეთ სტადიონებზე, იმაზე უკეთეს ფეხბურთს ვთამაშობთ, ვიდრე თქვენ გგონიათ.

**- „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩზე რას იტყოდი?**

- მძიმე თამაში იყო, მეტოქეც ძალიან მომეწონა. გული იმაზე დამწყდა, რომ ოთხიდან მხოლოდ ორი გოლი ჩამითვალეს.

**- ფორვარდი ხარ და ესეც უნდა გკითხო: საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე მეტად რომელი მეკარე მოგწონს?**

- ყველაზე ძლიერი ჩვენი ლომაიაა. „დინამოსაც" კარგი მეკარე ჰყავს (ოვონო - ავტ).

**- 30 წლისას უცხოეთში გადასვლა რეალურად მიგაჩნია?**

- შემიძლია გარანტია მოგცეთ, რომ უცხოეთში ვითამაშებ. მეტი მონდომება, მიზანდასახულობა და თუ მართლა კაცი ხარ, ბევრს შეძლებ. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ მარტო ფეხბურთელობისა კი არა, საკუთარი პიროვნებისაც ვირწმუნე. თურმე, შემძლებია, გადავახტე საკუთარ თავს. და ეს იმიტომაც, რომ ფეხბურთი უზომოდ მიყვარს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როცა ნიანგი დროგბას გავს

# კლუჟი და ფამაგუსტა

ძალიან მაგარი გუნდი ჰყავს **თემურ ქეცბაიას**. გაცილებით მაგარი, ვიდრე გვეგონა და ვიდრე ამ გუნდის ქალაქის სახელწოდებას შეეფერება. ფამაგუსტა ვერ ჟღერს ისე, როგორც მაგალითად ათენი, მილანი ან ბრემენი, მაგრამ ფაქტი ერთია: ორი ტურის შემდეგ, ქართველი მწვრთნელის სამწყსო ჯგუფში პირველ ადგილზეა და იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც „ინტერს", „ჩელსის", „იუვენტუსს", „ბაიერნს", „არსენალს" და „მანჩესტერს". ესეც თქვენი ფამაგუსტა!

...და ესეც თქვენი „კლუჟი", რომლის სახელიც ასევე ძალიან პროვინციულად ჟღერს. „რომას" ხომ მოუგეს? ახლა „ჩელსისთან" ითამაშეს ფრე და მესამე ტურისთვის „ბორდოსთან" ფავორიტებად იქნებიან შერაცხულები. „კლუჟი" და ფამაგუსტა - ეს ყველაფერი ხუმრობას აღარ ჰგავს!

„ბორდო"-„რომა" - ერთი მატჩი და ორი, ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებული ტაიმი. პირველ ნახევარში ფრანგები აბსოლუტური დომინანტის როლში იყვნენ, გოლიც გაიტანეს და მიუხედავად იმისა, რომ კაცნაკლულები დარჩნენ, შესვენებამდე იტალიელებს არაფერი გააბედინეს, მეორე ტაიმში კი, „რომამ" იბატონა და **ლუჩანო სპალეტიმ ლორან ბლანს** თამაში თვალსა და ხელსშუა შემოუტრიალა. **ტოტის** არყოფნაში, **ვუჩინიჩი** და **ბაპტიშტა** „ველად გაიჭრნენ". მოუწევს სპალეტის ამ უკანასკნელის ძირითადში გამწესება!

დაუჯერებელია, მაგრამ „კლუჟი"-„ჩელსი" მართლაც 0:0 დამთავრდა. **სკოლარის** გუნდი თავის თავს არ ჰგავდა. თავად განსაჯეთ, ლონდონელებმა 90 წუთის განმავლობაში ოდენ 3(!) ზუსტი დარტყმა განახორციელეს. ცნობისათვის, „კლუჟის" სტადიონს მხოლოდ სამი ტრიბუნა აქვს და ეს გუნდი, ჯგუფის ფავორიტებთან მატჩების შემდეგ ისევ დაუმარცხებელია.

„ვერდერმა" ბოლო მატჩისგან განსხვავებით, ოთხით ნაკლები გოლი გაიტანა, მაგრამ სამით ნაკლებიც გაუშვა - მილანიდან წაღებული ქულა ბრემენელთათვის სერიოზული მიღწევაა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში **პისარომ** გაათანაბრა, ბრემენელმა ფანებმა მას მაინც უსტვინეს - იმიტომ, რომ „ვერდერს" მოგებაც შეეძლო და რომ ვერ მოიგო, ეს სწორედ პისაროს ბრალია. მილანელ **მაიკონს** კი, რომელმაც ძალიან ეფექტური გოლი გაიტანა, დუბლის შესრულებაც შეეძლო და რომ ვერ შეასრულა, მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს. ზოგადად, „ნერაძური" ძალიან ამაყ კოლექტივს ჰგავდა, ან შეიძლება, ეს მოგვეჩვენა კიდეც - **მოურინიოს** გამო. ნაგება „მილანთან", ფრე „ვერდერთან" - „ინტერიც" სტვენით გააცილეს.

ჯგუფის ლიდერი კი „ანორთოსისია". „პანათინაიკოსმა" ქეცბაიას გუნდს ვერაფერი დაუპირისპირა. ფამაგუსტელები კი ისეთ მარტივ და დალაგებულ ფეხბურთს თამაშობდნენ, ოდესმე ქართულმა კლუბმა ასე რომ ითამაშოს, ქომაგები იმ ღამეს ნაღდად თეთრად გავათენებთ!

ტრადიციულად, სულელურად გამოიყურება „ბაზელი". „შახტართან" შინ ნაგების შემდეგ, შვეიცარიელები „სპორტინგთანაც" დამარცხდნენ. პირველ ტაიმს არა უშავდა, რაღაცას ცდილობდნენ, მაგრამ დაიწყო მეორე და... **რეტო ზანი** „ისევ გაშტერდა" და ბურთი თავის კარში შეაგდო. ცხადია, არ უნდოდა! ამის შემდეგ „ბაზელმა" გარისკა, მაგრამ შამპანური ვერ მიირთვა. პირიქით, ერთ-ერთ კონტრშეტევაზე **დერლეიმ** მეორეც გაიტანა.

აღმოსავლეთი ევროპა ესპანეთის წინააღმდეგ - 0:2. სამშაბათს, „რეალმა" პიტერში ცუდად ითამაშა, მაგრამ მოიგო. ოთხშაბათს კი, იგივე „ბარსელონამაც" გააკეთა, ოღონდ დონეცკში. უკრაინელებმა არაერთი მომენტი ვერ გამოიყენეს და რაც გამოიყენეს (**ილსინიო**), ისიც ვერ შეირგეს. **მესის** პირველი გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, ყვიროდა საფინალო სასტვენის შემდეგ დონეცკელთა მთავარი მწვრთნელი **მირჩა ლუჩესკუ** და ენასთან ერთად, ხელ-ფეხსაც იქნევდა, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა - დონეცკელს ბარსელონელთან როდის გასვლია მართალი?

„ლივერპულმა" „ენფილდზე" **სტევენსის** „ეინდჰოვენი" მოკლა - 3:1.

**რობი კინის** გოლი - შესაძლოა, ბევრისთვის დიდი არაფერი, მაგრამ პირადად ჩემთვის ზუსტად ისეთი, კარგ თავდამსხმელს რომ შეეფერება. სხვათა შორის, იმავეს ვიტყოდი **პისაროს** გოლზეც „ინტერის" კარში. **სტივ ჯერარდმა** კი, ამასობაში, მე-100 ლივერპულური შეაგდო. საინტერესო ფაქტი: 100-დან 72 მას **რაფა ბენიტესის** ხელმძღვანელობით აქვს გატანილი.

„ეინდჰოვენის" დარ დღეშია მარსელის „ოლიმპიკიც" - 0 ქულა. **გერეტსის** გუნდმა პირველ ტურთან შედარებით, უკეთ ითამაშა, მაგრამ ისევ უქულოდ დარჩა. აღსანიშნავია მადრიდელთა ბრილიანტის, **კუნ აგუეროს** ეფექტური გოლი და **მაქსი როდრიგესის** მცდელობა, გაეტანა ულამაზესი გოლი ქუსლით. მართალია, ვერ გაიტანა, მაგრამ მცდელობაც კი იმდენად შესანიშნავი იყო, რომ სასაუბროდ ღირს. სხვათა შორის, კარგი ბიჭი ჩანს **ნიანგიც**. **დროგბას** წააგავს რაღაცით. „წარმოშობით" დიდიეც ხომ მარსელიდანაა...

**გოტფრიდ ლენცი**





ჩელსიმ კლუჟს ვერაფერი მოუხერხა

ჩემპიონთა ლიგა. II ტური

# სკოლარიმ ორი ქულა და დროგბა დაკარგა

## ჯერარდის მე-100 და რობი კინის პირველი ლივერპულური გოლები

### A ჯგუფი

**კლუჟი-ჩელსი 0:0**

"ჩელსის" უსახური საღამო ჰქონდა. უგოლო ფრეს **დიდიე დროგბას** ტრავმაც დაერთო. კოტდივუარელი თავდამსხმელი მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. მან მუხლი იტკინა. ფეხბურთელის მინდორზე დაბრუნების თარიღი უცნობია.

**ფრენკ ლემპარდმა** ბევრი იშრომა, მაგრამ ვერას გახდა. "კლუჟის" დაცვამ შესაშური სიმტკიცე გამოიჩინა. რუმინელებმა ერთი ქულა დამსახურებულად მოიპოვეს. ორი ტურის შემდეგ დებიუტანტებს ოთხი ქულა აქვთ. ორი კვირის წინ "კლუჟმა" სენსაცია გამოაცხო. მან "ჯალოროსი" რომში დაამარცხა.

მატჩი მასპინძელთა შეტევით დაიწყო. **პეტრ ჩეხმა** კარი დროულად დატოვა და **სებასტიან დუბარბიერს** დაასწრო. "არისტოკრატებმა" **სალომონ კალუს** დარტყმით უპასუხეს. იერიში ლემპარდისა და დროგბას კომბინაციას მოჰყვა.

**ჯონ ტერიმ** და **ჯონ ობი მიკელმა** ერთობლივი ძალისხმევით რუმინელებს მორიგი შეტევა ჩაუშალეს. **ისოფ კონემ** 30 იარდიდან გადაწყვიტა ჩეხის დამწუხრება, მაგრამ ბურთი ტრიბუნაზე გადააგდო.

მიკელს მოედნის ცენტრის გაკონტროლება უჭირდა. "ჩელსი" უჩვეულოდ ხშირად კარგავდა ბურთს. **ფლორან მალუდას** შეცდომას "კლუჟის" შეტევა მოჰყვა. სტუმრების საბედნიეროდ, **კულიომ** დუბარბიერს ბურთი თამაშგარეში გადააწოდა.

ლონდონელთაგან ყველაზე აქტიური ლემპარდი იყო. **ჟოზე ბოსინგვა** ვითარების გამწვავებას მარჯვენა ფლანგზე ცდილობდა. რუმინელები არ ჩერდებოდნენ. **ალვარო პერეირამ** მარცხენა ფლანგიდან რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია. "ჩელსის" მცველები იძულებულნი გახდნენ, პირველ რიგში, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ეფიქრათ. პერეირამ კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნა. ბოსინგვა ურუგვაელ თავდამსხმელს ფეხებში ჩაუხტა და ბურთი ააცალა.

მეორე ტაიმში კალუ **ნიკოლა ანელკამ** შეცვალა. ფრანგი თავდამსხმელი უფრო სახიფათოდ ამოქმედდა. ბოსინგვას პასს დროგბამდე სულ ცოტა დააკლდა. ანელკამ ლემპარდს ახლო ძელთან გონივრული გადაცემა გაუკეთა. მაგრამ ამ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. ამასობაში, დროგბა **ანდრე სოუზას** შეეჯახა და თამაში ნაადრევად დაასრულა.

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** მალუდას ნაცვლად **ფრანკო დი სანტო** გამოიყვანა. ახალგაზრდა იტალიელს უმალ გოლის გატანა შეეძლო. მერე ლემპარდმა ანელკა ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ კლუჟის მეკარე **ედუარდ სტანჩოიუმ** იყოჩაღა. ანელკამ კი მეკარესთან უხეშობისათვის გაფრთხილება მიიღო.

„კლუჟის" მორიგ იერიშს **ალექსის** შეცდომა მოჰყვა. ჩეხმა დაზღვევაზე უნაკლოდ ითამაშა და კონეს ბურთის მიღების საშუალება არ მისცა. თამაშის მიწურულს მასპინძლებს კიდევ ერთი მომენტი ჰქონდათ. პერეირამ იერიში მოედნის სიღრმიდან წამოიწყო. მან ბურთი კონეს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა დაბალ კუთხეში დაარტყა. ჩეხმა ბურთი კუთხურზე გადააგდო.

**ბორდო-რომა 1:3**

"რომამ" ორი კვირის წინანდელი უსიამოვნება სწრაფად დაივიწყა. **ჟულიო ბაპტიშტამ** ფრანგებს ორი გოლი გაუტანა. "ბორდომ" თამაში ათი კაცის შემადგენლობით დაასრულა. იტალიელებმა უხეიროდ დაიწყეს. მათ ერთი საათის განმავლობაში ღირებული არაფერი გაუკეთებიათ. **იოან გურკუფის** გოლი არავის გაკვირვებია. სტუმრები მხოლოდ მეორე ტაიმში მოეგნენ გონს. ანგარიში **მირკო ვუჩინიჩმა** გაათანაბრა. ბაპტიშტამ კი 20 წუთში დუბლი გამოაცხო.

"ბორდო" ჯგუფის უიმედო აუტსაიდერია. **ლორან ბლანის** სამწვრთნელო კვალიფიკაცია ჩემპიონთა ლიგისათვის, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის. მისმა შეგირდებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. **ჟუსის** უკეთ გარჯა მართებდა. მან ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ შეაგდო.

გურკუფმა სტუმართა კარს მე-14 წუთზე შეუტია, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე წუთში ახალგაზრდა ნახევარმცველი უშეცდომოდ გაისარჯა. მან ჟუსის პასი მიიღო, მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა და 20 იარდიდან შორ კუთხეში შეაგდო.

ერთ წუთში ჟუსიმ ბარძაყის კუნთი დაიჭიმა და შეცვლა ითხოვა. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და **ენრიკეს** გასახდელისაკენ მიუთითეს. მან **სიმონე პეროტას** იდაყვი უთავაზა. ამიტომ გაძევება სამართლიანი სასჯელი იყო.

ბლანმა თამაში გადააწყო. მან აქტიური ნახევარმცველის, **გაბრიელ ობერტანის** ნაცვლად მცველი **მარკ პლანუსი** გამოიყვანა. "ბორდომ" ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ზრუნვა. მაგრამ ტაიმის მიწურულს მეორე გოლის გატანაც შეეძლო. გურკუფმა **ვენდელს** კარგი პასი მიაწოდა. მან კი თავით უხეიროდ დასცხო.

"რომას" რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მის რეალიზაციას ვერ ახერხებდა. მეორე ტაიმში ბაპტიშტამ **ჟერემი მენეზის** ადგილი დაიკავა. 64-ე წუთზე რომაელებმა პირველი გოლი გაიტანეს. **დანიელე დე როსიმ** კუთხური ახლო ძელთან მოაწოდა. ვუჩინიჩი **სულეიმან დიავარას** გაექცა და თავით გაიტანა. მეკარე **მატიო ვალვერდე** ვითარებაში ვერ გაერკვა და ადგილიდან ფეხიც კი არ მოუცვლია.

იტალიელები ხასიათზე მოვიდნენ. შვიდ წუთში "ბორდოს" კარში მეორე ბურთი მოკალათდა. ბაპტიშტამ საჯარიმო დარტყმით შეაგდო. მან ბურთი ცოცხალ კედელს ზედ გადაავლო და მეკარისაგან დაუცველ კუთხეში გაიტანა.

"ბორდოს" ცხვირი არ ჩამოუშვია. ფრანგებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს. ფერნანდომ რომაელთა კარში სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბაპტიშტამ მეორე გოლი მიითვალა და შეხვედრას წერტილი დაუსვა. საგოლე პასი **როდრიგო ტადეის** ანგარიშზე ჩაიწერა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 2. კლუჟი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 4. ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

**22 ოქტომბერი**

ჩელსი-რომა

ბორდო-კლუჟი

### B ჯგუფი

**ანორთოსისი-პანათინაიკოსი 3:1**

**თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" ბერძნული გრანდების რიცხვად იქცა. კვიპროსელებმა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში „ოლიმპიაკოსი" დაიბრიყვეს. ჯგუფურ ტურნირში კი „პანათინაიკოსს" სძლიეს. „ანორთოსისი" ლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს. გუნდს ორი ტურის შემდეგ ოთხი ქულა აქვს.

ერთი გოლი „პანათინაიკოსის" მცველმა **ხოსე სარიეგიმ** საკუთარ კარში გაიტანა. მეორე - **სინიშა დობრასინოვიჩის** ანგარიშზეა. სტუმრებმა მარტო ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. ეს **დიმიტრის სალპიგიდისმა** 11-მეტრიანი დარტყმით მოახერხა. თამაშს 78-ე წუთზე ერაყელმა თავდამსხმელმა **ჰავარ ტაჰერმა** დაუსვა წერტილი. მან „პანათინაიკოსს" თავით გაუტანა. ვინ იფიქრებდა, რომ ორი ტურის შემდეგ, ჯგუფში, რომელშიც „ინტერი" და „ვერდერი" ასპარეზობენ, პირველ ადგილზე ყველასათვის უცნობი კვიპროსული კოლექტივი იქნებოდა.

"პანათინაიკოსმა" მატჩი აქტიურად დაიწყო. პირველი მომენტი სალპიგიდისმა შექმნა. მაგრამ მოვლენები მოულოდნელი სცენარით განვითარდა. „ანორთოსისმა" გოლი მე-11 წუთზე შეაგდო. სარიეგი ბურთის მოგერიებას შეეცადა, მაგრამ ის საკუთარ კარში ჩაჭრა. მეკარე **მარიო გალინოვიჩი** უძლური იყო.

# უცხოური ფეხბურთი

მასპინძლების პირველი გოლი შეგვიძლია, იღბალს მივაწეროთ, მაგრამ მეორე მთლიანად ფეხბურთელების დამსახურება იყო. სავიომ მეტოქის საჯარიმოში საუცხოო პასი ჩააწოდა. დობრასინოვიჩი ყველაზე მაღლა ახტა და ძლიერი თავურით შეაგდო.

„პანათინაიკოსს" ძალიან აკლდა ფლეიმეიქერი **გიორგიოს კარაგუნისი**. გუნდი მომენტების შექმნას თითქმის ვერ ახერხებდა. 28-ე წუთზე კვიპროსელთა მცველმა **ჯეფრი ივაკაბესიმ** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. დაინიშნა პენალტი, რომელიც სალპიგიდისმა შეაგდო.

სტუმრები გააქტიურდნენ. მათ ანგარიშის გათანაბრება სურდათ, მაგრამ ამის ნაცვლად მესამე გოლი მიიღეს. ტაპერი პირველი ერაყელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა და გოლიც შეაგდო.

## ინტერი-ვერდერი 1:1

"ინტერმა" ორმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო. გასულ უქმეებზე **ჟოზე მოურინიომ** მილანური დერბი წააგო. ამჯერად, ვერც "ვერდერის" დამარცხება მოახერხა. "ნერაძურის" საპასუხო გოლი **მოურინიოს** ყოფილმა შეგირდმა, **კლაუდიო პისარომ** გაუტანა. შეგახსენებთ, ჟოზემ პერუელი ფორვარდი 2007 წლის ზაფხულში, "ბაიერნიდან" უკომპენსაციოდ წაიყვანა. პისარომ ინგლისში ერთი უფერული სეზონი დაყო და კლავ გერმანიას დაუბრუნდა.

"ინტერმა" თამაში აქტიურად დაიწყო და მე-13 წუთზე გაიტანა კიდეც. იტალიელები მეტოქეს ისეთი ძალით უტევდნენ, რომ მას ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა. მნახველი იფიქრებდა, რომ "ვერდერს" გარდაუვალი განადგურება ელოდა. მაგრამ გერმანელებმა თამაშში გარდატეხის შეტანა დაიწყეს და საბოლოოდ, მიაღწიეს კიდეც მიზანს. "მუსიკოსებმა" რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს. პისარომ, როგორც იქნა, მიაღწია მიზანს. თამაშის მიწურულს, მას ცოტა დააკლდა, რომ გამარჯვების გოლიც შეეგდო.

მატჩი 25 წამის დაწყებული იყო, როდესაც "ვერდერის" კართან პირველად ჩამოცხა. **ზლატანმა** ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. **ადრიანომ** ის მკერდით ჩამოიღო და მაკრატელა დაარტყა. ბურთი ხარიხას გადაევლო.

ორიოდ წუთში, ადრიანომ იბრას ხურდა დაუბრუნა. მან თანაგუნდელი 40 მეტრში დაინახა და უზუსტესი პასი მიაწოდა. შვედი თავდამსხმელი მახვილი კუთხიდან შეეცადა მეტოქის დამწუხრებას, მაგრამ ამაოდ.

"ინტერმა" გოლი მალე გაიტანა. ანგარიშის გახსნა ადრიანოს აქტიურობას მოჰყვა. **ფრანკ ბაუმანმა** ბრაზილიელის შეჩერება სცადა. მისგან ბურთი **მაიკონს** მიუგორდა. ამ უკანასკნელს დრო აღარ დაუკარგავს და **ტიმ ვიზეს** ის თავზე გადაუგდო.

ორ წუთში "ვერდერი" პირველად დაემუქრა მეტოქის კარს. **დიეგომ** ბურთი ორ ინტერელ მცველს შორის გააძვრინა, მაგრამ დარტყმა სუსტი იყო. ამიტომ **ჟულიო სეზარისათვის** პრობლემა არ შეუქმნია.

ტაიმის მიწურულს ვითარება ისე შეიცვალა, რომ "ვერდერი" მასპინძელთა ნახევარზე გადასახლდა და უკან მოხედვას აღარ აპირებდა. ამის მიუხედავად, "ინტერის" კართან რეალური მომენტები არ იქმნებოდა. იტალიელი მცველები მეტოქის იერიშებს აუღელვებლად უმკლავდებოდნენ.

37-ე წუთზე **დეიან სტანკოვიჩმა** ბრემენელთა კარს შეუტია და საუცხოო მომენტი გაანიავა. სერბი ნახევარმცველი მეკარე ვიზესთან პირისპირ გავიდა და **მარიო ბალოტელის** პასმაც არ დააყოვნა. მაგრამ სტანკოვიჩმა ბრიყვული შეცდომა დაუშვა და ბურთი ვერ შეიმაგრა. ხოლო როდესაც მას დაეწია, ისეთ მახვილ კუთხეში იდგა, რომ დარტყმას აზრი არ ჰქონდა.

ასეთი მომენტის განიავებისათვის "ინტერი" კინაღამ დაისაჯა. **სებასტიან პრიოდლმა** მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა. პისარომ ბურთი დაუბრკოლებლად მიიღო და დაარტყა, მაგრამ პერუელმა ძელი შეაზანზარა.

მეორე ტაიმი მშვიდად დაიწყო. "ვერდერმა", რომელმაც ბოლო ორ თამაშში ათი გოლი გაიტანა, ამჯერადაც მოახერხა მეტოქის დამწუხრება. ისევ პრიოდლი და ისევ პისარო: თავდამსხმელი ბურთს შორ ძელთან შეეგება და ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში შეაგდო.

შვიდ წუთში იბრაჰიმოვიჩს მეორე გოლის გატანა შეეძლო. შვედი თავდამსხმელი რიცხვმრავალ მოწინააღმდეგეს არ შეუშინდა და დაცვის ხაზის გარღვევა სცადა. საბოლოოდ, ბურთი ვიზეს მიუვიდა.

თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე იბრამ კიდევ ერთი მომენტი შექმნა. მან მეტოქის საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა. **ხულიო კრუსს** ბურთამდე სანტიმეტრები დააკლდა. მან რომ ბურთისათვის ფეხი შეეშვირა, გოლი გარდაუვალი იქნებოდა. იქვე მაიკონმა ბურთი ძელს გარედან გაარტყა. მაგრამ ბოლო მომენტი "ვერდერისა" იყო: სეზარმა **ნალდოს** საჯარიმო დარტყმა უხეიროდ მოიგერია. ბურთს პისარო დაეუფლა, მაგრამ ააცილა.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანორთოსისი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 1. ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ვერდერი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. პანათინაიკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**22 ოქტომბერი**

ინტერი-ანორთოსისი

პანათინაიკოსი-ვერდერი

## C ჯგუფი

## შახტარი-ბარსელონა 1:2

მატჩის დაბრულებამდე სამი წუთით ადრე უკრაინელები მინიმალური ანგარიშით იგებდნენ და სამი ქულა ფაქტობრივად ჯიბეში ჰქონდათ. 87-ე წუთზე **ლეო მესიმ** წონასწორობა აღადგინა. ხოლო მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე მეორედ აიღო მეტოქის კარი და კატალონიელებს დრამატულად გაამარჯვებინა.

ბარსას მესია ლეო მესია





ვერდერმა სასურველი ქულა მოიპოვა

"შახტარი" პირველი ტაიმის მიწურულს **ილსინიოს** გოლით დაწინაურდა. დონეცკელები თამაშს თითქმის სულ აკონტროლებდნენ. გამონაკლისი ბოლო წუთები აღმოჩნდა. "ბარსამ" ორიდან ორი მატჩი მოიგო და მერვედფინალის საგზურზე განაცხადა პრეტენზია.

თამაში უსახურად დაიწყო. 20 წუთის განმავლობაში მინდორზე არაფერი მომხდარა. **ტიერი ანრი** ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელიც რაღაცის გაკეთებას ცდილობდა. მეექვსე წუთზე უკრაინელთა მეკარე **ანდრეი პიატოვმა** ანრის დარტყმა მოიგერია. მასპინძლებმა მეტოქის კარისაკენ პირველად 24-ე წუთზე გაიხედეს. ბრანდაომ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთმა ხარიხას გადაუფრინა.

ორიოდ წუთში "ბარსამ" პირველი რეალური მომენტი შექმნა. **ჩავი ერნანდესმა** ანრის პასი მიიღო და მეკარესთან პირისპირ გავიდა. პიატოვი კარიდან გამოვიდა და მდგომარეობა განმუხტა. მომდევნო იერიშისას, პიატოვმა **დანი ალვეშის** 25 მეტრიდან დარტყმული ბურთიც უკუაგდო.

37-ე წუთზე ბარსელონელთა კართან ჩამოცხა. "შახტარმა" ბრაზილიური კომბინაცია გაითამაშა. **ბრანდაომ** მარცხენა ფლანგიდან ბურთი **ლუიშ ადრიანოს** გადააწოდა. ამ უკანასკნელმა ილსინიოს გაუგორა. ილსინიომ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთს **ვიქტორ ვალდესი** გადაელობა.

ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მასპინძლებმა მაინც მიაღწიეს მიზანს. ლუიშ ადრიანომ საჯარიმოში გრძელი პასი გააკეთა. ბურთი "ბარსელონის" ერთ-ერთ მცველს მოხვდა და ილსინიოს საუცხოოდ დააჯდა ფეხზე. ამ უკანასკნელს კარიდან რვა იარდი აშორებდა. ილსიონიომ ვალდესს ბურთი თავზე გადაუგდო.

შესვენების შემდეგ **ანდრეს ინიესტამ** 18 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ბურთმა ძელს ჩაუქროლა. 51-ე წუთზე საქმეში დანი ალვეში ჩაერთო. მას ბურთი დაბალ კუთხეში დაუმიზნა. პიატოვმა ის კუთხურზე გადააგდო.

59-ე წუთზე გვარდიოლამ ანრი მესით შეცვალა. ამ სვლას სასურველი ეფექტი არ მოჰყოლია. 75-ე წუთზე "შახტარს" მეორედ უნდა აეღო მეტოქის კარი. ვალდესმა **დარიო სრნას** სახიფათო დარტყმა უკუაგდო. საგოლე მომენტი ფერნანდინიოს საჯარიმოს მოჰყვა.

მესიმ პირველად მე-80 წუთზე შეუტია. დანი ალვეშმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. არგენტინელმა თავდამსხმელმა ყველას აჯობა და ბურთს თავი დაჰკრა, მაგრამ ააცილა. გვარდიოლამ **ბოიან კრკიჩიც** გამოიყვანა. თამაშის მიწურულს კატალონიელებმა მარწუხებს მოუჭირეს. 86-ე წუთზე "ბარსამ" დამსახურებული გოლი შეაგდო. გოლის თანაავტორი მეკარე პიატოვი გახლდათ, რომელსაც ჩავი ერნანდესის მიერ ჩაწოდებული ბურთი ხელიდან გაუვარდა და მესის საქმე გაუადვილა.

"ბარსელონა" კიდევ უფრო გააქტიურდა. მსაჯისაგან დამატებულ მეოთხე წუთზე მესიმ პიატოვს ბურთი თავზე გადაუგდო და თავისიანებს სამი ქულა მოუტანა.

## სპორტინგი-ბაზელი 2:0

"სპორტინგმა" პირველი გამარჯვება მიითვალა, მაგრამ შთამბეჭდავად არ უთამაშია. ორი კვირის წინ ამ გუნდებმა მარცხი იწვნიეს. ზედიზედ მეორე წაგებით "ბაზელმა" მდგომარეობა საგრძნობლად გაირთულა. "სპორტინგმა" კი მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა.

პირველი მომენტი სტუმრებმა შექმნეს. **იურგენ გიასულამ** მახვილი კუთხიდან დაარტყა. მეკარე რუი პატრისიუ ბურთს იოლად დაეუფლა. მე-10 წუთზე **ლეანდრო რომანიოლიმ** მარჯვენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. **დერლეიმ** ბურთს თავი დაჰკრა, მაგრამ ააცილა.

"სპორტინგმა" ზეწოლა გააძლიერა და ზედიზედ რამდენიმე კუთხური ჩააწოდა. ყველაზე სახიფათოდ **მიგელ ველოზომ** შეუტია. ბურთმა ძელს ახლოს ჩაუარა. ბაზელის მეკარე **ფრანკო კონსტანსო** თამაშში მე-40 წუთზე ჩაერთო. ის კარიდან გამოვიდა და რომანიოლის დარტყმა აილო.

მეორე ტაიმი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. **ჟოაო მოუტინიომ** ბურთი საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო და მაკრატელათი ჩააწოდა. მის პასს დერლეი გამოეხმაურა. ამ უკანასკნელის თავური შვეიცარიელთა ძელს შიგნიდან მოხვდა. მომენტი ამით არ დასრულებულა. "ბაზელის" მცველმა **დევიდ აბრაჰამმა** ბურთის გამოტანა სცადა. მაგრამ მან ის თანაგუნდელებს, **რეტო ზიანისა** და პორტუგალიელთა თავდამსხმელ რომანიოლის მოარტყა. რომანიოლისაგან ბურთი "ბაზელის" კარში შეგორდა.

63-ე წუთზე **ბენიამინ ჰუგელს** ანგარიშის გასათანაბრებლად საუცხოო შანსი მიეცა. ის მეკარე **პატრისიუსთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ გოლკიპერმა ბურთი კუთხურზე გადააგდო. ორ წუთში პატრისიუს კიდევ ერთი მომენტის განმუხტვა მოუხდა. გიასულამ საჯარიმოს შესრულება ითავა. ის მეკარის მოედანში აპირებდა ჩაწოდებას, მაგრამ ბურთი კარში წავიდა. პატრისიუს დროული რეაგირება რომ არა, სტუმრები ეფექტურ გოლს გაიტანდნენ.

76-ე წუთზე ველოზომ კუთხური მოაწოდა. დერლეიმ ბურთს თავი დაჰკრა. ის ჯერ **შტრელერს** მოხვდა, შემდეგ სტუმართა ხარიხას. ერთ წუთში დერლეიმ გოლი გაიტანა, რომელიც თამაშგარის გამო არ ჩაუთვალეს. 86-ე წუთზე თავდამსხმელმა მაინც მიაღწია მიზანს. ეს გოლიც კურიოზული გამოვიდა: მოუტინიოს პასისას დელრეიმ ბურთს ფეხი ააცილა, მაგრამ მაინც შეაგდო.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. შახტარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 2. სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**22 ოქტომბერი**

ბაზელი-ბარსელონა

შახტარი-სპორტინგი

## D ჯგუფი

## ატლეტიკო-მარსელი 2:1

"ატლეტიკომ" ორიდან ორივე მატჩი მოიგო და ფლეი ოფისაკენ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა. სამივე გოლი 22 წუთში გავიდა. **სერხიო აგუეროსა** და **რაულ გარსიას** გოლებს **მამადუ ნიანგმა** ერთით უპასუხა. "ატლეტიკოსაგან" განსხვავებით, უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა "მარსელი". ფრანგებმა ორივე მატჩი წააგეს და ჯგუფიდან გასასვლელად სასწაული სჭირდებათ.

მატჩის დაწყებამდე ტრიბუნებზე არეულობა მოხდა. დაპირისპირებამ მარსელელ გულშემატკივარსა და მადრიდელ პოლიციელებს შორის დაახლოებით ათ წუთს გასტანა. საბოლოოდ, ის რამდენიმე ქომაგის დაშავებითა და რამდენიმეს დაპატიმრებით დასრულდა.

"მარსელმა" პირველი მომენტი მე-20 წამზე შექმნა. **მატიო ვალბუენამ** დაბალ კუთხეში დაჰკრა, მაგრამ ააცილა. "ატლეტიკოს" შინ ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი მატჩი ათი წლის წინ ჩაატარა.

მასპინძლებს ანგარიშის გასახსნელად ოთხი წუთი დასჭირდათ. **მაქსი როდრიგესმა** ბურთი საჯარიმოში ჩააგდო. სერხიო აგუერომ ის მოხდენილად ჩამოიღო, მეურვეს დაუსხლტა და **სტივ მანდანდას** დაბალ კუთხეში გაუტანა. ორ წუთში აგუეროს მეორე გოლის გატანა შეეძლო. ის მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მანდანდა გადაელობა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ორივე გუნდი უტევდა. მე-14 წუთზე ნიანგმა წონასწორობა აღადგინა. გოლის თანაავტორად **ლორან ბონარტი** უნდა მივიჩნიოთ. მან ბოლომდე იბრძოლა. ბურთი პირით ხაზთან გააჩერა და შორ ძელთან ჩააწოდა. იქ მარსელელი თავდამსხმელი იყო ჩასაფრებული და **ლეო ფრანკოს** თავით გაუტანა.

ამ ანგარიშმა მხოლოდ რვა წუთს გასტანა. სტუმართა მცველმა **ტაიე ტაივომ** აგუეროს საჯარიმოს ხაზთან წესების დარღვევით შეაჩერა. "მარსელის" კარში საჯარიმო დაინიშნა. ბურთთან **მარიანო პერნია** მივიდა. მან დაბალი ჩაწოდება გააკეთა. შორ ძელთან ბურთს გარსია დაუხვდა და კარში მოათავსა.

მეორე ტაიმის დასაწყისში "მარსელს" წამყვანი ნახევარმცველი **ჰატემ ბენ არფა** დაუშავდა. იქვე **ერიკ გერეტსის** შეგირდები მესამე გოლს გადაურჩნენ. მაქსიმ მეტოქის დამწუხრება ქუსლით სცადა, მაგრამ ოდნავ ააცილა. "ატლეტიკო" მესამე გოლის გატანას ცდილობდა. მანდანდამ **ფლორან სინამა-პონგოლეს** დარტყმა კუთხურზე გადააგდო.

## ლივერპული-ეინდჰოვენი 3:1

"ლივერპულმა" "ეინდჰოვენი" კვლავ იოლად დაამარცხა. **სტივ ჯერარდმა** მერსისაიდელთა მაისურით მე-100 გოლი შეაგდო. **რობი კინმა** პირველად იხეირა. ოთხშაბათამდე, "ლივერპულის" შემადგენლობაში მას 10 მატჩი ჰქონდა ჩატარებული და 10-ვე უგოლოდ. თავი გამოიჩინა **დირკ კუიტმაც**. ჰოლანდიელი განსაკუთრებული ბომბარდირული თვისებებით არ გამოირჩევა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ხშირად იტანს. მერსისაიდელთა შემადგენლობაში ჩატარებულ 16 მატჩში ეს მისი მე-10 გოლი იყო.

**ხავიერ მასკერანო** გამოჯანმრთელდა, მაგრამ ის თადარიგში დატოვეს. მარცხენა მცველად **ანდრეა დოსენას** ადგილი **ფაბიო აურელიომ** დაიკავა. ეს ერთადერთი ცვლილება იყო, რომელიც მწვრთნელმა "ევერტონთან" დერბის შემდეგ განახორციელა. ცნობისათვის, **რაფა ბენიტესი** "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის რანგში 250-ე შეხვედრას ატარებდა.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ლივერპული | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 3. მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 4. ეინდჰოვენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**22 ოქტომბერი**

ეინდჰოვენი-მარსელი

ატლეტიკო-ლივერპული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კლარენს ზეედორფთან

# კარიერა მილანში უნდა დავასრულო




**კლარენს ზეედორფი „მილანში“ დიდად დაფასებული პერსონაა. ჰოლანდიელი „როსონერიში“ დიდი ხანია ასპარეზობს და გუნდთან ერთად არაერთი ტიტული მოიგო. სეზონის წინ კრიტიკოსებმა რამდენიმე სტატია მიუძღვნეს „მილანის“ სტაჟიან მოთამაშეებს და მათ პრობლემებს მოტივაციასთან დაკავშირებით, მათ შორის გახლდათ ზეედორფიც. თუმცა, დაიწყო სეზონი და სრულიად სხვა სურათი ვიხილეთ. ზემ განსაკუთრებით კარგად მილანური დერბი ითამაშა და „გაძეტას“ ჟურნალისტმაც მასთან გასაუბრება გადაწყვიტა. პირველივე შეკითხვაზე ჟურნალისტმა მოტივაციის თემაზე გაამახვილა ყურადღება.**

**- როგორ ახერხებთ მუდმივად ოპტიმალურ ფორმაში ყოფნას?**

- ამაში მოტივაცია, სტიმული მეხმარება. ვერ ვიხსენებ ერთ დღესაც კი, როცა ფეხბურთის თამაშის სურვილი არ მქონოდა. ამ სეზონს განსაკუთრებული ენთუზიაზმით შევხვდი, არ ვიცი რატომ, შესაძლოა მიზეზი ახალი „მილანი“ იყოს. ჩვენი გუნდი გაძლიერდა, თითქოს ახალი სისხლი გადაგვისხეს.

**- მიიჩნევთ თუ არა თავს გუნდის ლიდერად?**

- ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა ლიდერობა. ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ვგრძნობ, რომ გუნდის ნაწილი ვარ და მოედანზე ჩემი როლი მაკისრია. ლიდერობას სხვა თვისებები სჭირდება და გუნდში გვყავს ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ ტვირთს აიღებენ თავის თავზე.

**- ხომ ვერ დაგვისახელებდით?**

- პაოლო მალდინი გუნდის კაპიტანი და ნამდვილი ლიდერია. ის ჩემთვის კაპიტნის განსახიერებაა. სამწუხაროა, რომ მალე ფეხბურთს თავს დაანებებს. ჩემი ნება, რომ იყოს მას კიდევ ერთ წლით მაინც დავტოვებდი გუნდში. პაოლოს მოედანზე ყოფნა ფსიქოლოგიურადაც ძალიან ბევრს ნიშნავს, უფრო თავდაჯერებული ხდები.

**- „ინტერთან“ ანჩელოტიმ ახალი ფუნქცია მოგიძებნათ, ფაქტობრივად, პირლოს პოზიციაზე ითამაშეთ.**

- ცენტრალურ ნახევარმცველად ადრეც მითამაშია, მაგრამ აქ საქმე პოზიციაში არაა. მთავარია ის, რომ პირლოს ფუნქციის შესრულება მომიხდა. ერთ პოზიციაზე ფეხბურთელები განსხვავებულად თამაშობენ, მე კი პირლოს გასაკეთებელი გავაკეთე და საკუთარი თამაშით დიდი სიამოვნებაც მივიღე.

**- საყოველთაო აღიარებით, ბრწყინვალედ იასპარეზეთ და არ არის გამორიცხული, მომავალშიც საყრდენად ითამაშოთ.**

- ანჩელოტი შესანიშნავი ტაქტიკოსია და თავად მოიფიქრებს, რა იქნება უკეთესი გუნდისთვის. ანდრეა პირლო „მილანისთვის“ შეუცვლელი ფეხბურთელია და ის თავის ადგილზე დაბრუნდება, მე შესაძლოა მასთან ერთად გამამწესონ ცენტრში ან ჩვეულ მარცხენა ფლანგზე დამაბრუნონ - ამას დრო გვიჩვენებს და წინასწარ საუბარს აზრი არ აქვს.

**- „ინტერთან“ გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო, ასე არაა?**

- ასეა. იტალიის ჩემპიონატი ორი მარცხით დავიწყეთ და თითქოს ეს კოშმარული შარშანდელი სეზონის გაგრძელება იყო. ამან ძალიან ცუდ განწყობაზე დაგვაყენა, თუმცა მობილიზება შევძელით და გამარჯვებათა სერია გამოვაცხვეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, „ინტერთან“ მოგება გახლდათ - თუ რატომ, თავადაც კარგად იცით.

**- რონალდინიოს გატანილი გოლი პირველმა თქვენ მიულოცეთ.**

- დიახ, რონიმ ეს გოლი დაიმსახურა. ვერ წარმოიდგენთ, რა გახარებული იყო მატჩის შემდეგ. ემოციებს ვერ მალავდა და ბევრს ხუმრობდა. დარწმუნებული ვარ, ბრაზილიელი ახლო მომავალში ოპტიმალურ ფორმაში შევა და მერე, მისი გაჩერება შეუძლებელი იქნება. გაუჩოს ახალი სტიმული სჭირდებოდა, ახალი გამოწვევა და მან ის მიიღო. დიდებული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც „მილანში“ გადმოვიდა, აქ ის ბოლომდე გაიხსნება.

**- შევჩენკოზე რას იტყვით, თითქოს ჯერ კიდევ ეგუება გუნდს?**

- ანდრეის გუნდთან შეგუება არ სჭირდება. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ შევჩენკომ სერია A-ში პირველივე სეზონში გაიბრწყინა და უმალ გუნდის ლიდერად იქცა. დღეს მან ფიზიკური კონდიცია უნდა აღიდგინოს და ამ კუთხით აქვს სამუშაო. პროგრესი სახეზეა და წესით მალე ნამდვილი შევაც უნდა ვიხილოთ. საერთოდ, შევჩენკოს და რონალდინიოს გადაბირებით „მილანი“ მხოლოდ მოგებული დარჩება, შარშანდელი ფიასკოს შემდეგ ასეთი ტრანსფერები აუცილებელიც იყო.

**- მოურინიოზე რას იტყვით, მოერგება იტალიურ ფეხბურთს?**

- მოურინიო ტაქტიკოსია და წესით იტალიურ ფეხბურთს უნდა მოერგოს. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ჟოზე ინტელიგენტი ადამიანია, ამასვე მიდასტურებენ „ინტერის“ ფეხბურთელები. რაც შეეხება მის პროვოკაციულ განცხადებებს, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ყველა ერთნაირი ვერ იქნება და პორტუგალიელის ამ თვისებას ზედმეტი გალიზიანების გარეშე უნდა შევეგუოთ.

**- როგორ ფიქრობთ, სერია A პრემიერლიგასა და პრიმერა დივიზიონზე მაღლა დგას?**

- ძნელი სათქმელია. ასე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყოდი, თუმცა არც უმაგისობაა. დღეს სერია A-ში 12-13 გუნდი თამაშობს, რომელსაც საკუთარ მოედანზე გრანდებთან ტოლსწორად თამაში შეუძლია. ესპანეთშიც მაქვს ნათამაშები და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ იტალიაში გაცილებით რთულია ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი მონინააღმდეგის დამარცხება. ისე კი, ევროპაში სწორედ ინგლისის, ესპანეთის და იტალიის ჩემპიონატების გამორჩევა შეიძლება.

**- ჩემპიონთა ლიგა ბოლოს როდის გამოტოვეთ, არც გემახსოვრებათ, არ გიჭირთ ევროპის უპრესტიჟულესი ტურნირის გარეშე?**

- უეფას თასზე საკმარისი მოტივაცია გვაქვს და ვეცდებით, ამ ტურნირში გავიმარჯვოთ. „მილანს“ უეფას თასი არასდროს მოუგია და ეს ენთუზიაზმს გვმატებს. ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში კი მომავალ სეზონში დავბრუნდებით და დარწმუნებული ვარ, თასის მოგებისთვის ვიბრძოლებთ.

**- დაბოლოს, კარიერას „მილანში“ დაასრულებთ?**

- ამის დიდი სურვილი მაქვს. „მილანი“ ჩემი სახლია და აქედან წასვლის სურვილი არ მაქვს. ბედნიერი ვარ, რომ თავის დროზე „როსონერიში“ მოვხვდი და ამ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოვიგე. რაც მთავარია, გაჩერებას ჯერ არ ვაპირებ და იმედია კიდევ არაერთხელ გავახარებ გულშემატკივარს.

**ლაშა ნიკლაური**

მომავლის ტაქტიკა

# იტალიაში 4-3-3 დომინირებს

იტალიაში 4-3-3 სულ უფრო პოპულარული ხდება. ეს ტაქტიკა ვარირების საშუალებას იძლევა. მას რამდენიმე ფორმაცია აქვს და, ალბათ, ამადაც არის თანამედროვე მწვრთნელებისთვის ესოდენ საინტერესო. ის, რომ **ჟოზე მოურინიო** სწორედ 4-3-3-ს ანიჭებს უპირატესობას, ძველი ამბავია და ისეთი პირი უჩანს, პორტუგალიელი ამ სეზონში სწორედ ხსენებულ ტაქტიკას დაეყრდნობა. მის მიერ განხორციელებული ტრანსფერები ამის თქმის საბაბს ჩემპიონატის დაწყებამდეც იძლეოდა - **მანსინი** და **კვარეშმა** ხომ სწორედ იმ ტიპის ფეხბურთელები არიან, მოურინიოსეულ სტრატეგიას იდეალურად რომ ერგებიან.

4-3-3 სპეციფიკური განლაგებაა, მისი გამოყენება ყველას ნამდვილად არ შეუძლია. ამ სქემის ამუშავება უმაღლესი კლასის ფეხბურთელებს მოითხოვს და ამაში არაერთხელ დავრწმუნდით. სამი შემტევის პირობებში ნახევარდაცვაზე დიდი დატვირთვა მოდის, რასაც ყველა გუნდის შუა ხაზი ვერ გაუძლებს. შეგვიძლია „იუვენტუსის“ მაგალითი მოვიყვანოთ: **კლაუდიო რანიერიმ** აღნიშნული სქემა რამდენჯერმე გამოიყენა, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული ვერ გამოვიდა. ავიღოთ სერია A-ს მე-4 ტურის საშინაო შეხვედრა „კატანიასთან“. რანიერიმ შუა ხაზი **მარკიონი-მარკიზიო-პოულსენის** ტრიოს მიანდო და შედეგად მხოლოდ ქულას დასჯერდა. შეხვედრის შემდეგ მწვრთნელმა განაცხადა კიდეც - მოედნის ცენტრში მეტოქეს ვერაფრით ვაჯობეთ და ქულებიც, ძირითადად, ამიტომ დავკარგეთო.

სხვათა შორის, 4-3-3-ით თამაში **კლაუს ტოპმიოლერსაც** უყვარს და თუ „ლევერკუზენში“ ამ სქემას მეტ-ნაკლებად წარმატებით იყენებდა, ჩვენს ნაკრებში ამან სრული კრახი განიცადა. გავიხსენოთ ფრანგებთან თბილისური მატჩი და 0:3. მაშინ კლაუსმა 3 ფორვარდით შეუტია **რაიმონ დომენეკის** გუნდს, რამაც ცენტრი მთლიანად დააკარგვინა და შედეგიც შესაბამისი მიიღო. ერთი სიტყვით, აღნიშნულ ტაქტიკას მაღალი კლასის ფეხბურთელები სჭირდება, განსაკუთრებით - ნახევარმცველები. ცხადია, **ექტორ კუპერს** ეს კარგად ესმის...

დავუბრუნდეთ იტალიას, სადაც 4-3-3-ს სულ უფრო მეტი მწვრთნელი იყენებს. გუშინდელ „ლელოში“ გამოქვეყნდა **დელიო როსის** ინტერვიუ, რომელშიც „ლაციოს“ მთავარი მწვრთნელი სწორედ იმაზე საუბრობს, რომ უახლოეს პერიოდში მისი გუნდი საშინაო შეხვედრებს, ალბათ, ამ სქემით ითამაშებს. ეს კი მას მერე მოხდება, რაც **ტომაზო როკი** მომჯობინდება. მის არყოფნაში **პანდევი-სარატეს** დუეტი შესანიშნავად ირჯება („ლაციოს“ 13-დან 10 გოლი მათ ეკუთვნით) და მწვრთნელსაც სამი ფორვარდის დაყენების ამბიცია გაუჩნდა. სავარაუდოდ, როსი ახალ სქემას რომელიმე აუტსაიდერთან შეხვედრისას გამოცდის.

გუშინდელ „გაძეტა დელო სპორტში“ ჟურნალისტმა **ლუკა კალამაიმ** „ფიორენტინას“ ტაქტიკური მონახაზი გაარჩია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ არის გამორიცხული, 4-3-3-ს უახლოეს მომავალში **ჩეზარე პრანდელიმაც** მიმართოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ის კლუბის პრეზიდენტ **ანდრეა დელა ვალესაც** კი გაესაუბრა. „ვიოლას“ ბოსის კომენტარზე ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი კალამაის მოვუსმინოთ:

*„პრანდელიმ ზაფხულში ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გადაიბირა, რომელიც ამ სეზონში მას დიდად წაადგება. ვგულისხმობ ფაბიო ლივერანის, ფეხბურთელს, რომელიც მოედნის ცენტრში ტრადიციულად ძალიან პროდუქტიულია - შეტევის წამოწყებაც ძალუძს და ჩამშლელის როლსაც ითავსებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფლორენციულ გუნდში მონტოლივო, სანტანა და ალმირონიც ირიცხებიან, დავრწმუნდებით, რომ „ფიორენტინას“ საკმაოდ ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს. ძლიერი ნახევარმცველები კი პრანდელის ვარირების საშუალებას აძლევენ და არ არის გამორიცხული, ჩეზარემ სულ მალე 4-3-3-ზე შეაჩეროს არჩევანი. ასეთ შემთხვევაში, მუტუსა და ჯილარდინოსთან ერთად შეტევის წინა ხაზზე გამოჩნდება პაცინი, რომელზეც იტალიაში დიდ იმედებს ამყარებენ. „აძურინის“ ფორვარდი შესანიშნავ ფორმაშია და მეტ სათამაშო დროს იმსახურებს. როდის უნდა ველოდეთ სამფორვარდიან „ფიორენტინას“? თუნდაც სერია A-ს უახლოეს ტურებში“.*

და აი, დელა ვალეს დაპირებული კომენტარიც: *„პრანდელიმ თავად იცის, როგორი სქემით უნდა ათამაშოს გუნდი. ჩეზარეს ბოლომდე ვენდობით და მის საქმიანობაში ჩარევას არ ვაპირებთ. ისე კი, სამფორვარდიანი ტაქტიკა ძალიან მომწონს, რადგან შემტევი ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ. გეთანხმებით, ჩვენ გვყავს პაცინი და ოსვალდო, ისინი იტალიის ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელები არიან და დასანანია, რომ მოედანზე დიდ დროს ვერ ატარებენ. საინტერესო იქნებოდა მუტუ-ჯილარდინო-პაცინის ტრიო, მაგრამ მოდი, მწვრთნელის კომპეტენციაში ნუ ჩავერევით“.*

დაბოლოს, არ შეიძლება, იტალიის ეროვნულ ნაკრებსაც არ შევეხოთ. „სკუადრა აძურა“ ხომ ბოლო ხანებია სწორედ აღნიშნული სქემით თამაშობს. **მარჩელო ლიპიმ** ამ ტაქტიკით გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შეხვედრებში ითამაშა და ორ მატჩში 6 ქულა აიღო. კვიპროსსა და საქართველოსთან მან წინა ხაზზე **კამორანეზი-დი ნატალე-ტონის** ტრიო გაამწესა. ლიპი ამ სქემას მომავალშიც გამოიყენებს, ვის-ვის და მას არჩევანი მართლაც დიდი აქვს.

ერთი სიტყვით, 4-3-3 მომავლის ტაქტიკაა და დროთა განმავლობაში ამ სქემას სხვა მწვრთნელებიც გამოიყენებენ.

გვერდი მოამზადა









ინტერის შემტევი ტრიო: იბრაჰიმოვიჩი, მანსინი, ადრიანო

იუვენტუსი

# რანიერის სკამი შეერყა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში „იუვენტუსმა“ ბელარუსულ ბატე-ს ვერაფერი მოუხერხა და მხოლოდ ქულას დასჯერდა (2:2). მატჩის შემდეგ „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. ბევრმა მას პოსტის დატოვებაც კი ურჩია. გადადგომაზე რა გითხრათ, მაგრამ სკამი რომ შეერყა, ეს უდავოა.

სინიორ კლაუდიო კრიტიკის ობიექტი მხოლოდ ორი ქულის დაკარგვის გამო არ გამხდარა, მისი მატჩის შემდგომი კომენტარი იტალიაში აბსოლუტურად არაადეკვატურად მიიჩნიეს: *„ვიცოდით, რომ ძლიერ მეტოქესთან მოგვიწევდა დაპირისპირება, მაგრამ გახსნილი ფეხბურთი ვითამაშეთ და კინაღამ უქულოდ დავრჩით. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, ჩვენ ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მოვახერხეთ“.*

იტალიელი ჟურნალისტების აზრით, ეს განცხადება დამარცხებულის მენტალიტეტის მქონე ადამიანის ნააზრევს ჰგავს. ასეთი კაცის ადგილი კი „იუვენტუსში“ ნამდვილად არ არისო, ასკვნიან ისინი. ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელობა დუმს, მაგრამ თუ „იუვემ“ ასე გააგრძელა, რანიერის დიდხანს ნამდვილად არ გააჩერებენ.

მის ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელად „ფიორენტინას“ მწვრთნელ **ჩეზარე პრანდელის** ასახელებენ. მეორე ვარიანტია **ჩირო ფერარა**, „ვეკია სინიორას“ ლეგენდა, რომელიც გერმანიის მუნდიალზე **მარჩელო ლიპის** თანაშემწე იყო, ახლა კი რანიერის სამწვრთნელო შტაბში მუშაობს.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი სკანდალი

# ბაიერნი ზენიტთან 50 მილიონად გაიყიდა?

## რუსულ-გერმანული საიდუმლო, რომელსაც ფარდა ესპანეთში ახადეს

**ამონარიდი რუსი მაფიოზის სატელეფონო საუბრიდან: „ზენიტის“ 4:0 „ბაიერნთან“ 50 მილიონად ვიყიდე! იყიდა თუ არა რუსულმა მაფიამ უეფას თასის ფინალიც?**

1 მაისს მიუნხენის „ბაიერნმა“ უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩი, სანკტ-პეტერბურგში, „ზენიტთან“ 0:4 წააგო და ტურნირს გამოეთიშა (პირველი მატჩი: 1:1). ამ შედეგს მაშინვე ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა. გასაკვირი იყო არა იმდენად ის, რომ „ბაიერნი“ „ზენიტთან“ გავარდა (თუმცა არც ეს იყო მაინცდამაინც ლოგიკური), არამედ ის, რომ რეკორდმაისტერი 0:4 განადგურდა! ოთხშაბათს, ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესპანეთის გენერალური პროკურორი **ბალტასარ გარსონი** ამ მატჩით დაინტერესდა და მას აქვს მტკიცებულებები, რომელთა თანახმადაც, „ზენიტისა“ და „ბაიერნის“ დაპირისპირება მანიპულირებული იყო!

მტკიცებულება კი რუსული მაფიის ბოსის, **გენადიოს პეტროვის** სატელეფონო საუბრების ჩანაწერებია. ეს უკანასკნელი ივნისში ესპანეთში დააკავეს ფულის გათეთრების, იარაღისა და ნარკოტიკების ვაჭრობის ბრალდებით. როგორც ესპანური „ელ პაისი“ წერდა, ერთ-ერთ სატელეფონო საუბარში პეტროვი ამბობს, რომ მან „ზენიტის“ გამარჯვება 50 მილიონ ევროდ იყიდა. იქ ნათქვამი არ არის, თუ როგორ მოახერხა პეტროვმა მატჩის ყიდვა ან ვის გადაუხადა ზემოთ ხსენებული თანხა.

გაზეთი ABC წერს, რომ რუსულმა მაფიამ უეფას თასის ფინალიც იყიდა (ზენიტი-რეინჯერსი 2:0). ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, ფინალის ყიდვა მაფიოზებს გაცილებით იაფი დაუჯდათ - 20-დან 40 მილიონ ევრომდე.






ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ თუკი „ზენიტი“-„ბაიერნი“ ნაყიდი იყო, ამაში მიუნხენური კლუბიც უნდა იყოს გარეული. „ბაიერნის“ ოფიციალური კომენტარი ასეთია: *„ჩვენთვის, ისევე, როგორც მიუნხენის პროკურატურისთვის, არაფერია ცნობილი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქმეს ნათელი მოეფინოს.“*

„ზენიტის“ წარმომადგენლები ამ ბრალდებას შეურაცხყოფას უწოდებენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსულმა კლუბმა უკვე მიმართა ადვოკატებს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიება ჯერ არ დაწყებულა - გადაწყვეტილება ჯერაც მისაღებია.

გუშინვე პირველი კომენტარი გააკეთა „ბაიერნის“ თავდამსხმელმა **მიროსლავ კლოზემ**. მირო რეკორდმაისტერის პირველი მოთამაშე აღმოჩნდა, რომელიც ამ თემას გამოეხმაურა. თუმცა კლოზე საუბრის დროს ხუმრობის ხასიათზე იყო. *„არაფერი ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ მატჩის დასაწყისში კარგი მომენტი ვერ გამოვიყენე, ეს სპეციალურად გავაკეთე. დიახ, სპეციალურად არ გამოვიყენე მომენტი, რადგან ვიცოდი, რომ ის მატჩი უნდა წაგვეგო. როცა ვურტყამდი, თვალწინ დოლარის კუპიურები მელანდებოდა,“* - სიცილით უთხრა კლოზემ „ბილდს“.

თუმცა მერე კი დასერიოზულდა და ასეთი რამ განაცხადა: *„ასეთი ბრალდებები, უბრალოდ, სამარცხვინოა. ბიჭები ამ თემაზე ვლაპარაკობდით. თავიდან ნერვები აგვეშალა და ძალიან გავბრაზდით, მაგრამ მერე მხოლოდ ვხუმრობდით და გვეცინებოდა. აგერ, ვან ბომელმა „აღიარა“, 50-დან 49 მილიონი მე ავიღეო.“*

ხმა აიმაღლა რუსეთის სპორტის მინისტრმა **ვიტალი მუტკომაც**: *„განა ვინმე ფიქრობს, რომ შესაძლებელია ისეთი ლეგენდარული ფეხბურთელების ყიდვა, როგორებიც არიან კანი, კლოზე, ზე რობერტო ან ლუსიო?“* მუტკოს ინიციატივით, ამ ბრალდების წინააღმდეგ „ბაიერნმა“ და „ზენიტმა“ ერთად უნდა იბრძოლონ. მისი თქმით, აღნიშნული ბრალდება სასტიკი შეურაცხყოფაა როგორც „ზენიტისთვის“, ასევე „ბაიერნისთვისაც“.

ცოტა არ იყოს, დაუჯერებელია ის, რომ ისეთმა გუნდა, როგორიც „ბაიერნია“, უეფას თასის ნახევარფინალური მატჩი გაყიდა და „ზენიტთან“ განგებ 0:4 წააგო. ფაქტია ის, რომ ეს გახლდათ მიუნხენური გრანდის ყველაზე დიდი ანგარიშით წაგება ევროტურნირებზე ბოლო 31 წლის განმავლობაში. თანაც, ცოტა უცნაური იყო ისიც, რომ რეკორდმაისტერის შეფებს იმ წაგების შემდეგ ისეთი განგაში არ აუტეხიათ, როგორიც მაგალითად, გასულ შაბათს, „ჰანოვერთან“ (0:1) განცდილი მარცხის შემდეგ ატეხეს... ვინ იცის...

გოტფრიდ ლენცი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ბეკენბაუერი დემიკელისს მისდგა!



სამშაბათს, როდესაც მიუნხენის „ბაიერნმა" „ლიონისგან" გოლი გაუშვა (ჟუნიონიოს დარტყმულს **მარტინ დემიკელისმა** თავი დაუხვედრა, მიმართულება შეუცვალა და საკუთარ კარში გადაგზავნა), შესვენებაზე **ფრანც ბეკენბაუერმა** პირდაპირ ეთერში მთელი გერმანიის გასაგონად თქვა შემდეგი ფრაზა: „სკოლის გუნდის მოთამაშეს ასეთი რამ რომ დამართნოდა, მასწავლებელი აუცილებლად ეტყოდა, დაუკარი ფლეიტაზე ან პიანინოზე, ფეხბურთს კი ნუ ითამაშებო." ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, რეკორდმაისტერის არგენტინელი მცველისკენ იყო მიმართული, რომელსაც დაბრალდა კიდეც ის, რომ მიუნხენურმა გრანდმა „ლიონი" ვერ დაამარცხა.

მეორე დღეს, ჩვენი გერმანელი კოლეგები ბეკენბაუერს დაუკავშირდნენ და ჰკითხეს, რა უნდა ქნას დემიკელისმა, ფლეიტის ან პიანინოს დაკვრაზე უნდა გადავიდეს თუ მაინც ფეხბურთის თამაში უნდა გააგრძელოსო. კაიზერი: „მე მარტინის უაზრო მოქმედებამ განმაცვიფრა და გამაბრაზა. არც მცველივით მოიქცა და არც თავდამსხმელივით, რომელსაც ასეთი საქციელი კიდევ ეპატიებოდა. ჩემი აზრით, დემიკელისს თავი საერთოდ უნდა გაენია. ასეთ შემთხვევაში რენზინგი ბურთის მოგერიებას შეძლებდა. სხვა მხრივ, არგენტინელს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ იმ მომენტში ისეთი შეცდომა დაუშვა, რომ ყველაფერი წყალში ჩაყარა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ფეხბურთის თამაში უნდა გააგრძელოს, ოღონდ უფრო მეტი ყურადღებით."

აღსანიშნავია, რომ ბეკენბაუერი მაინცდამაინც „ლიონთან" წარუმატებელი მატჩის შემდეგ ბრაზდება ხოლმე. დაუვიწყარია მისი გამოსვლა 2001 წელს, საფრანგეთში 0:3-ზე წაგებული მატჩის შემდეგ. „ეს არ იყო ფეხბურთი, ასე მხოლოდ ბებრების გუნდები თამაშობენ. მე და უვე ზეელერი უკეთ ვითამაშებდით," - თქვა მაშინ კაიზერმა და სხვათა შორის, იმ წელს „ბაიერნმა" ჩემპიონთა თასი მოიგო.

„თუმცა საბოლოო ჯამში კატასტროფა არ მომხდარა. ორი თამაშის შემდეგ 4 ქულა გვაქვს და ეს ნორმალურია. მაგრამ იმისათვის, რომ „ბაიერნში" ყველაფერი მწყობრში ჩადგეს, საჭიროა, რომ შაბათს „ბოხუმს" მოვუგოთ," - ასეთია ფრანცის ბოლო სიტყვა.

თუ „ბოხუმსაც" ვერ მოუგეს, კარგად ყოფილა რეკორდმაისტერის საქმე...

**გოტფრიდ ლენცი**

განსაკუთრებული კაცი

# მოურინიო: წელიწადში 14 მილიონს ვილებ!

## გაბრაზებულ ჟოზეს ხელფასის ზუსტი ოდენობა წამოცდა

„ვერდერთან" მატჩის წინ გამართულ ოფიციალურ პრესკონფერენციაზე მილანის „ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** თავისი განცხადებებით ყურადღება მიიქცია. ყველასათვის მოულოდნელად, პორტუგალიელი თავის ხელფასზე ალაპარაკდა: „რატომღაც ყველა ამბობს, რომ წელიწადში ჩემი ხელფასი 9 მილიონ ევროს შეადგენს. არადა, ასე ცოტა ნამდვილად არ არის. წელიწადში 11 მილიონს ვილებ და სპონსორების შემოსავალსაც თუ დავამატებთ, 14 მილიონი ევრო გამომდის," - თქვა მოურინიომ.

ჟოზეს „ინტერთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. აქამდე ცნობილი იყო, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში ის მილანური კლუბისგან 27 მილიონს მიიღებდა, ანუ, წელიწადში 9 მილიონს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟოზეს ხელფასი დღეში 24 657 ევროა. მხოლოდ ეს თანხაა საკმარისი იმისათვის, რომ ის მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად მწვრთნელად იქნეს მიჩნეული.

ზემოთ ხსენებული კომენტარის შემდეგ „ინტერის" ხელმძღვანელებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს, სადაც ნათქვამია: „მოურინიოს ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამება. მას გაცილებით დაბალი ხელფასი აქვს. როგორც ჩანს, ჟოზემ პრესკონფერენციაზე იხუმრა."



სანამ ჟოზე ხელფასზე ალაპარაკდებოდა, ჟურნალისტები მას მაგრად უტევდნენ და შესაძლოა, პორტუგალიელმა საკუთარ თავზე კონტროლიც კი დაკარგა. ფაქტია, რომ ეს კაცი ჟურნალისტებს ვერ იტანს. მანამდე მოურინიო კიდევ ერთ იტალიელ ჟურნალისტს დაეტაკა და კრიტიკული შეკითხვის მოსმენის შემდეგ ასეთი რამ უთხრა: „როგორც ჩანს, თქვენ მწვრთნელობა გინდოდათ, მაგრამ ვერ „გაქაჩეთ" და ჟურნალისტად დარჩით!"

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შტუტგარტს მარინი უნდა!

„შტუტგარტს" რამდენიმე ფლეიმეიქერი ჰყავს. მაგალითად, **ილდირაი ბაშთურქი, იან შიმაკი** და **მარტინ ლანიგი**. შემტევი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება სხვა ნახევარმცველებსაც შეუძლიათ: **თომას ჰიტცლშპერგერს, რობერტო ჰილბერტს** ან **სამი ხედირას**. მოკლედ, ამ მხრივ შვაბთა თავკაც **არმინ ფეეს** საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს, მაგრამ როგორც ჩანს, არცერთი მათგანის დირიჟორული მონაცემები არ აკმაყოფილებს, რადგან როგორც „შტუტგარტერ ცაითუნგი" იტყობინება, დიდი შანსია, ზამთარში „მერსედესის" ქალაქში მიონხენგლადბახისა და გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა ტალანტი **მარკო მარინი** გადავიდეს.



ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მოლაპარაკებები დაწყებულია და თუ ზამთარში არა, მარინი „შტუტგარტში" ამ სეზონის დასრულების შემდეგ მაინც გადავა. მარინს „გლადბახთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და სავარაუდოა, რომ მას ამ გუნდში დიდხანს არავინ გააჩერებს. თუ კონტრაქტი არ გააგრძელა (და ალბათ არც გააგრძელებს), მაშინ „ბორუსიამ" ის ზაფხულში უნდა გაყიდოს, თორემ მერე ყოველგვარი საზღაურის გარეშე დაკარგავს. „შტუტგარტს" მარინის სანაცვლოდ სავარაუდოდ 6 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

**გოტფრიდ ლენცი**



ესპანეთი

# პრიმერაში იბადებოდნენ და იქვე კვდებოდნენ...

უკვე იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც ერთ კლუბში "იბადებიან" და იქვე "კვდებიან". ანუ, ამით იმის თქმა გვსურს, რომ დღეს იმ ბიჭებზე გვექნება ლაპარაკი, რომლებიც პრიმერა დივიზიონში ასპარეზობენ და პროფესიულ ფეხბურთში მისვლის დღიდან კლუბი არასოდეს შეუცვლიათ (საიჯარო ხელშეკრულებები არ იგულისხმება). რა თქმა უნდა, ამ თემაზე ლაპარაკისას აუცილებელი პირობაა, რომ მოთამაშე 30 წლის ან უფრო დიდი ასაკის იყოს. თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არ არის. თუ ერთგულებაზე საუბარი გვინდა, ფეხბურთელი ვეტერანი უნდა გახლდეთ, თორემ ახალგაზრდა ნებისმიერ წამს შეიძლება წავიდეს. პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ მათი რაოდენობა შთამბეჭდავი მართლაც არ არის. სხვისი არ ვიცით, მაგრამ ერთგული ფეხბურთელი ყოველთვის განსაკუთრებულ დაფასებას იმსახურებს.

მადრიდის "რეალს" ერთ-ერთ ყველაზე სახელოვანი ერთგული ფეხბურთელები ჰყავს. ისინი, რა თქმა უნდა, **რაული** და **გუტი** არიან. გონსალეს ბლანკოს სამეფო კლუბის მაისურით თითქმის 500 მატჩი აქვს ჩატარებული. ამ ხნის განმავლობაში მან 200-ზე მეტი გოლი გაიტანა. ერთი შეხედვით მან ვარდებით მოფენილი გზა გაიარა, მაგრამ ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს ისიც ახსოვთ, რომ "რეალის" კაპიტანს კარიერაში პრობლემებიც უხვად ჰქონდა. იყო დრო, როცა მას გალაქტიკოების გამო ეჭვის თვალით უყურებდნენ, თუმცა რაულს კლუბი მაინც არ შეუცვლია. ამ თვალსაზრისით გუტიმ უფრო დიდი განსაცდელი გამოიარა. ხოსე მარიას სამეფო კლუბში 350 ორთაბრძოლა აქვს ჩატარებული. არადა, 14 სეზონის განმავლობაში გაცილებით მეტი შეხვედრის ჩატარება შეიძლებოდა. უფრო მეტი კი ვერ მოახერხა, იმიტომ რომ შემადგენლობაში არ აყენებდნენ. სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გუტის შესაძლო გაყიდვაზე ინტენსიურად საუბრობდნენ. მიუხედავად ამისა, გუტიმ "რეალის" ერთგულება შეინარჩუნა და თავშესაფრის ძებნა არ დაუწყია.

ულალატო კაცი "ალმერიასაც" ჰყავს. **ხოსე ორტისი** ათ წელზე მეტია ანდალუსიურ კლუბს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობისას მას არაერთი საინტერესო წინადადება ჰქონდა, "ალმერია" არ მიუტოვებია. ანდალუსიას სხვა ერთგული ბიჭებიც ჰყავს. მაგალითად **კაპი** და **ხუანიტო**. ისინი "ბეტისის" კანტერაში აღიზარდნენ და დღემდე ამ გუნდში თამაშობენ.

ახლა "ვალენსიაში" გადავინაცვლოთ. "ღამურების" შემადგენლობაში მრავალი წელია **მიგელ ანხელ ანგულო** და **დავიდ ალბელდა** ასპარეზობენ. გახსოვთ, გასულ სეზონში მათ დიდი პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გუნდი არ დატოვეს. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ანგულომ და ალბელდამ "ვალენსია" 1996 წელს ერთი სეზონით დატოვეს. თუმცა ისინი "ვილიარეალში" იჯარის წესით გადავიდნენ და მეზობელ კლუბში ასპარეზობის მიუხედავად მაინც "ღამურებად" რჩებოდნენ.

ერთგულ ბიჭებს კატალონიაში რა დალევს. სასიხარულოა, რომ ულალატო ხალხი ორივე იქაურ კლუბს ჰყავს. "ესპანიოლს" **რაულ ტამუდო** ემსახურება, "ბარსელონას" კი **კარლეს პუიოლი**. "ბარსას" შემადგენლობაში სხვა მოთამაშეებსაც ვნახავთ, რომლებსაც "კამპ ნოუდან" ფეხი არ გაუდგამთ, მაგრამ ისინი ჯერ 30 არ გადასცილებიან და ამ სტატიაში მათთვის ადგილი არ მოინახება.

დასასრულს, "ოსასუნაზეც" ვილაპარაკებთ. პამპლონელებს ყველაზე მეტი, სამი ერთგული ვეტერანი ჰყავთ. **ხოსეჩოს, კრუჩაგასა და პუნიალს** სხვადასხვა დროს, ფაქტობრივად, ყველა ესპანური გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ ნავარიდან წასვლაზე ისინი ვერავინ დაითანხმა. ისინი მხოლოდ იჯარით წავიდნენ, თუმცა მალევე დაბრუნდნენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბილბაო

# ბასკური ერთგულება

## ეჩებერიამ მსხვერპლი გაიღო

დიახ, ის, რაზეც ახლა ვისაუბრებთ ერთგულებაა და სხვა არაფერი. წუხელ, ესპანურ საინფორმაციო პორტალებზე ძალიან საინტერესო ცნობა გაჩნდა. კერძოდ, გაირკვა რომ **ხოსება ეჩებერია**, 2009/10 წლების სეზონში „ბილბაოში" თამაშის სანაცვლოდ ხელფასს არ აიღებს. არ იფიქროთ, რომ ბასკური კლუბის ვეტერანმა ეს ნაბიჯი იძულებით გადადგა. პირიქით, ამ საინტერესო ინიციატივით ხოსებამ კლუბის ხელმძღვანელებს თავად მიმართა და მათი აღფრთოვანებაც დაიმსახურა. „ბილბაოს" შეფები ეჩებერიას კლუბის პატრიოტსა და გმირს უწოდებენ. თავად ფეხბურთელი კი მის გადაწყვეტილებაში გმირობას ვერ ხედავს: „იმაზე ლაპარაკი რომ დავიწყო, „ბილბაო" ჩემთვის რას ნიშნავს, რამდენიმე დღე არ მეყოფა. ამიტომ, მოკლედ ვიტყვი, რომ ამ კლუბმა აბსოლუტურად ყველაფერი მომცა, რაც გამაჩნია. ბევრი ვიფიქრე, მშობლიური „ბილბაოსთვის" მადლობა როგორ გადამეხადა და გადავწყვიტე, მომავალ სეზონში მის ინტერესებს უსასყიდლოდ მოვემსახურო. დაზოგილი თახით, სხვა საქმე გაკეთდება. ჩემი სურვილია, რომ ეს ფული ბავშვთა ფეხბურთისთვის დაიხარჯოს. „ბილბაოსთვის" საყმაწვილო სკოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს."

გუშინვე გაირკვა, რომ მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ ხოსება ეჩებერია პროფესიული ფეხბურთიდან წავა და სავარაუდოდ სხვა საქმეს მოკიდებს ხელს. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, ბიზნესს დაიწყებს, რამდენიმე წელი დაისვენებს, თუ ისევ მშობლიურ გუნდში იმუშავებს.

რეალი

# შუსტერმა პრეზიდენტი მოატყუა

## კალდერონი მწვრთნელის საქციელით გაოგნებულია




გასულ სამშაბათს, მადრიდის „რეალმა“ სანკტ პეტერბურგში „ზენიტი“ დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგაში პოზიცია გაიმყარა. ერთი შეხედვით, სამეფო კლუბის მესვეურებს მთავარი მწვრთნელის მისამართით სასაყვედურო არაფერი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ფრიად საინტერესო მიზეზის გამო ესპანური გრანდის დირექტორატი გერმანელი სპეციალისტის საქციელით ძალიან უკმაყოფილო დარჩა.

საჩემპიონთალიგო დაპირისპირების დაწყებამდე ერთი დღით ადრე **ბერნდ შუსტერმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და დაახლოებით 100 ჟურნალისტს განუცხადა, რომ „ზენიტთან“ მატჩის ძირითად შემადგენლობაში ზუსტად იმ 11 კაცს დააყენებდა, რომელმაც პრიმერა დივიზიონის წინა ტურში „ბეტისს“ მოუგო. მოკლედ, „რეალის“ დამრიგებელმა საზოგადოებას პირობა მისცა, რომ **რაულიც** პირველივე წუთიდან იასპარეზებდა, თუმცა მან სიტყვა არ შეასრულა და ძირითად შემადგენლობაში ცვლილება შეიტანა. გერმანელმა ყველა მოატყუა. პირველ რიგში მეტოქე, შემდეგ ჟურნალისტები და მათთან ერთად საკუთარი გუნდის გულშემატკივრები და რა თქმა უნდა, ხელმძღვანელებიც. სწორედ ეს გახდა დირექტორატის განაწყენების მიზეზი. მათთვის სრულიად გაუგებარია, რატომ დასჭირდა შუსტერს მთელი საფეხბურთო სამყაროს მოტყუება. ესპანური გრანდის ხელისუფლება წუხს, რომ ამგვარი ქმედებებით „რეალის“ დიად სახელს ჩრდილი მიადგება.

როგორც გაირკვა, შეხვედრის დაწყებამდე დირექტორატში არავინ იცოდა შუსტერი რომელ. ფეხბურთელებს გაიყვანდა მოედანზე. მათ შორის არც **რამონ კალდერონმა** და **პრედრაგ მიატოვიჩმა**. მართალია, კლუბის მმართველები მწვრთნელის საქმიანობაში არ ერევიან, მაგრამ როგორც წესი, მატჩის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე ისინი ბატონი ბერნდის მიერ შერჩეული ბიჭების სიას ითხოვენ, რათა ფართო საზოგადოებაზე ადრე შეიტყონ ინფორმაცია შემადგენლობის შესახებ. ამჯერად კი ეს სია არავის მოუთხოვია. მიზეზი მარტივია, მათ შუსტერს დაუჯერეს და იფიქრეს, რომ „ზენიტთან“ საბრძოლველად მართლაც იგივე შემადგენლობა გავიდოდა. რამონ კალდერონი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. განბილებულმა პრეზიდენტმა მომხდართან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: *„ჩემი აზრით, არანაირი პირობა და აუცილებლობა არ არსებობდა იმისთვის, რომ შუსტერს მთელი სამყარო მოეტყუებინა. არ ვიცი, შეიძლება, ჩვენმა მწვრთნელმა გეგმა ბოლო წამს შეცვალა, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს წინასწარი ჩანაფიქრი იყო. პირადად მე ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. უამრავ ადამიანს ვუთხარი, შემადგენლობაში ცვლილება არ მოხდება-მეთქი, მაგრამ როცა თამაში დაიწყო, შოკში ჩავვარდი. დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ხალხის მოტყუება მისასალმებელი არ არის. შუსტერი ჩვენი კაცია, მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილად ვერ გავამართლებ.“*

ამ სკანდალურ თემას პრედრაგ მიატოვიჩიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ისინი პრესტიჟულ კლუბს წარმოადგენენ, მათ ხალხი უსმენს და პატივს სცემს. მიატოვიჩის აზრით, საზოგადოების მიზნობრივად მოტყუება სირცხვილია და სხვა არაფერი. გენერალურმა დირექტორმა ბოლოს ისიც დასძინა, რომ მსგავსი გამოხდომებით სამეფო კლუბის რეპუტაცია ილახება.

### სერხიო რამოსი ვან ნისტელროისთვის ძეგლს ითხოვს

შუსტერის ქმედებამ პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. გერმანელი სპეციალისტის საქციელი უკლებლივ ყველამ უარყოფითად შეაფასა. საზოგადოებამ მიატოვიჩს კვერი დაუკრა და ჰერ ბერნდი ლიად გააკრიტიკა. საზოგადოებაში კი სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, გულშემატკივრები, ცნობილი ადამიანები, ყოფილი ფეხბურთელები და ჟურნალისტები იგულისხმება.

კიდევ კარგი, რომ „რეალს“ „ზენიტთან“ მატჩმა გამარჯვებასთან ერთად **რუუდ ვან ნისტელროის** რეკორდი მოუტანა. ამ ორი დადებითი ფაქტის წყალობით, შუსტერის სიტყვები, ალბათ, მალე აღარავის ემახსოვრება. საქმე ის არის, რომ ჰოლანდიელმა ფორვარდმა რუსების კარში ბურთის შეგდებით პრიმერა დივიზიონში გადასვლის შემდეგ 36-ე ეგრეთ წოდებულ საგარეო გოლს მოუყარა თავი. ჩატარებული შეხვედრებისა და გატანილი გოლების პროცენტული თანაფარდობის დაანგარიშების შემდეგ გაირკვა, რომ ასეთი მაჩვენებლით პრიმერა დივიზიონის ვერც ერთი მოქმედი ფეხბურთელი ვერ მოიწონებს თავს. ვან ნისტელროის მთლიანობაში 61 გოლი აქვს გატანილი, მათი 59 პროცენტი კი სწორედ გასვლით შეხვედრებზე მოდის. რუუდის შემდეგ სიაში **რაული, ვილია** და **ეტოო** არიან. მაგალითად ვილიას მასპინძელთა კარი 34-ჯერ დაულაშქრავს. ეტოოს 42-ჯერ, სამეფო კლუბის ცოცხალ ლეგენდას, რაულს კი სტუმრად 96 გოლი აქვს შეგდებული. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ამ სამივე მოთამაშეს ესპანურ ფეხბურთში მოღვაწეობის გაცილებით დიდი სტაჟი აქვს, ვიდრე ვან ნისტელროის. პროცენტულობა ამიტომაც ვახსენეთ.

რუუდს ერთი ფანტასტიკური უნარი აქვს. ის საჭირო დროს საჭირო ადგილზე ჩნდება და უმნიშვნელოვანესი გოლები გააქვს. ჰოლანდიელის ნიჭითა და მარიფათით **სერხიო რამოსი** იმდენად აღფრთოვანებულია, რომ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას ვან ნისტელროის ღვაწლის დასაფასებლად, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისი ძეგლის აღმართვას სთხოვს. ახალგაზრდა მცველი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ამ ნაბიჯის გადადგმით შეიძლება დიდი ფორვარდისთვის მადლობის გადახდა. ძნელი სათქმელია, შეუსრულებენ თუ არა რამოსს ამ უჩვეულო თხოვნას, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ ხელმძღვანელობა რუუდის შრომას დიდად აფასებს. წუხელ მას მიატოვიჩმა არაერთი საქებარი სიტყვა მიუძღვნა: *„რაც დრო გადის, უფრო კარგად ვხვდები, რომ „მანჩესტერიდან“ უძვირფასესი განძი ჩალის ფასად ვიყიდეთ. ვან ნისტელროის სანაცვლოდ სულ რაღაც 15 მილიონი ევრო გადავიხადეთ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მან არა მარტო საკუთარი სატრანსფერო თანხა ამოიღო, არამედ რამდენიმე ასეული პროცენტით მეტი ფული მოგვიტანა. რუუდი გენიოსია. ის სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს საფეხბურთო ისტორიაში.“*

ესპანიოლი

## იმპიჩმენტი არ შედგა

### პრეზიდენტი სავარძელს ინარჩუნებს

გემახსოვრებათ, რამდენიმე თვის წინ **ჟოან ლაპორტას** ოპოზიციის დიდი შეტევის გადატანა მოუხდა. „ბარსელონის“ პრეზიდენტს მეგობრებიც კი აუმხედრდნენ და მის გადასაყენებლად რეფერენდუმის ჩატარება სწორედ მათ მოითხოვეს. სოსიოებმა ხმათა უმრავლესობით პრეზიდენტს უნდობლობა გამოუცხადეს, მაგრამ იმპიჩმენტისთვის ხმათა 2/3 იყო საჭირო. მოკლედ, ამ ბატალიებს პრესა ყოვლისმომცველად აშუქებდა. აი, მეორე კატალონიურ კლუბ „ესპანიოლში“ მიმდინარე მოვლენებს კი აშკარად ნაკლები ყურადღება ეთმობა. არადა, არც ამ გუნდის პრეზიდენტს ჰქონდა დალხენილი ცხოვრება. სენიორ **დანიელ სანჩეს ლიბრეს** ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ოპონენტებმა მას ეგრეთ წოდებული მონოტონური პრეზიდენტი შეარქვეს. მონოტონურობაში ის იგულისხმება, რომ მისი მმართველობის განმავლობაში „ესპანიოლი“ არც პრიმერა დივიზიონიდან ვარდება და ვერც რაიმე ტიტულს იგებს. ამის გამო კლუბის აქციონერთა ერთმა ნაწილმა პრეზიდენტის გადაყენება მოითხოვა. სენიორ სანჩეს ლიბრე თავდაპირველად წასვლაზე სერიოზულად ფიქრობდა. თურმე მას მეუღლე და ერთი შვილი პენსიაში გასვლას ურჩევდნენ, მაგრამ მეორე ვაჟმა სთხოვა არ წახვიდე, ბრძოლის შუა გზაში მიტოვება რა ვაჟკაცის საქმეაო. სანჩეს ლიბრემ სავარძლის შესანარჩუნებლად ბრძოლა დაიწყო და მიზანსაც მიაღწია. წუხელ, „ესპანიოლის“ სოსიოების ყრილობა გაიმართა. გამოსვლების შემდეგ დანიელ სანჩეს ლიბრეს გადაყენებას კენჭი უყარეს, მაგრამ უმრავლესობამ მას დაუჭირა მხარი და საკითხი ჩავარდა. ამრიგად, 2011 წლამდე კატალონიურ გუნდს ძველი პრეზიდენტი გაუძღვება.

ატლეტიკო

## ფორლანი ბრუნდება

მიმდინარე სეზონი **დიეგო ფორლანისთვის** ძალიან უიღბლოდ დაიწყო. პსვ-სთან ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ურუგვაელმა ფორვარდმა ტრავმა მიიღო და იძულებით შვებულებაში გავიდა. ეს რამდენიმე კვირის წინ მოხდა. ფორლანს ექიმები თვალს არ აშორებდნენ [illegible]კრი ზედამხედველობის ქვეშ მკურნალობდნენ. მედიკოსების შრომამ მშვენიერი შედეგი გამოიღო. ფორლანი გაცილებით უკეთ გრძნობს თავს და მალე „ატლეტიკოს“ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას გეგმავს. წუხელ, სამხრეთამერიკელმა ტრავმის მიღების შემდეგ პირველად ივარჯიშა. ბუნებრივია, **ხავიერ აგირემ** ექიმების რეკომენდაცია გაითვალისწინა და შეგირდი არ დატვირთა. დაახლოებით ერთსაათიანი მუშაობის შემდეგ ფორლანი სამედიცინო კაბინეტში წაიყვანეს და საგულდაგულო გამოკვლევა ჩაუტარეს. ფეხბურთელს პრობლემა არ შექმნია. „როხიბლანკოს“ სამედიცინო შტაბი იმედოვნებს, რომ დიეგო მეშვიდე ტურში ძირითად შემადგენლობაში თამაშს შეძლებს.

ბეტისი

## რუის დე ლოპერა: გუნდს გავყიდი, ოღონდ პრეზიდენტად მამუშაავეთ

„ესპანიოლის“ არ იყოს, „ბეტისის“ უმაღლეს ხელისუფალსაც დიდი პრობლემები აქვს. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ეცოდინებათ, რომ **მანუელ რუის დე ლოპერა** სევილიური კლუბის მფლობელია და მას ერთპიროვნულად მართავს. რუის დე ლოპერა პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოველთვის მორჩილ ხალხს ნიშნავს და მათ საკუთარ პოლიტიკას თავს ახვევს. ერთპიროვნულობამ „ბეტისს“ სიკეთე ვერ მოუტანა. უარყოფით შედეგებს თავი რომ დავანებოთ, გუნდს ძალიან დიდი ვალი დაუგროვდა. ამ ყველაფერს გულშემატკივრები ძალიან კარგად ხედავენ და უკვე მერამდენე წელია რუის დე ლოპერას წასვლას ითხოვენ. ხალხის აზრით, მან გუნდი უნდა გაყიდოს.

წუხელ ბატონი მანუელის სახლთან ათასობით გულანთებული ქომაგი შეიკრიბა და მისი გადადგომა კიდევ ერთხელ მოითხოვა. უკმაყოფილება პიკს აღწევს. რუის დე ლოპერამ რაღაც უნდა მოიმოქმედოს. სხვათა შორის, ის კლუბის გაყიდვის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ აქციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაასხვისებს, თუ „ბეტისის“ ახალი მფლობელი მას პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობის საშუალებას მისცემს. რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ჩანაფიქრია. ამ კაცის წასვლას იმიტომ ითხოვენ, რომ გუნდი კრიზისში ჩააგდო და თუ პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდება, გაყიდვას რაღა აზრი ექნება? მოკლედ, ასეა თუ ისე, მანუელ რუის დე ლოპერა პირდაპირ ამბობს, რომ „ბეტისი“ მისი გულის ნაწილია და კლუბს მთლიანად არაფრის დიდებით არ ჩამოშორდება.

საფრანგეთის ნაკრები

## მამლებს ვიეირა და რიბერი დაუბრუნდნენ

საფრანგეთის ნაკრები 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩისთვის მზადებას მალე შეუდგება. **რაიმონ დომენეკმა** 11 ოქტომბერს მის ბიჭებს ბუქარესტში რუმინეთის ეროვნულ გუნდთან უნდა მოაგებინოს. „მამლების“ დამრიგებელმა სანაკრებო სია გამოაქვეყნა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შემადგენლობაში რამდენიმე სიახლეა. პირველ რიგში **პატრიკ ვიეირასა** და **ფრანკ რიბერის** დაბრუნება უნდა ვახსენოთ. ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავებმა სადებიუტო ორი ორთაბრძოლა გამოტოვეს. გემახსოვრებათ, ფრანგებმა ერთი შეხვედრა ვენაში გამართეს და ავსტრიასთან სენსაციური მარცხი (1:3) ინვნიეს. შემდეგ კი „სტად დე ფრანსზე“ სერბებს 2:1 მოუგეს.

კიდევ ერთი სიახლე კი **სინამას** გამოჩენაა. დომენეკის ეს გადაწყვეტილება გასაკვირი სულაც არ არის. სინამა „ატლეტიკოში“ არაჩვეულებრივად ასპარეზობს და გოლს გოლზე იტანს. ბუნებრივია, მთავარი მწვრთნელი ასეთ მოთამაშეზე უარს არ იტყოდა. ყველა თანხმდება, რომ ზემოხსენებული ტრიო საფრანგეთის ნაკრებს დიდ დახმარებას გაუწევს, თუმცა დომენეკს დანაკლისიც აქვს. ტრავმის გამო მას **სიდნი გოვუ** და **სამირ ნასრი** ვერ დაეხმარებიან. მილანელი ნახევარმცველი **ფლამინი** კი შემადგენლობიდან ტაქტიკური მოსაზრების გამო ამოვარდა. მწვრთნელმა მას ვიეირა ამჯობინა.

დომენეკის რჩეულთა სია ასე გამოიყურება:

მეკარეები - **სტივ მანდანა** (მარსელი), **უგო ლორისი** (ლიონი);

მცველები - **ერიკ აბიდალი** (ბარსელონა), **გაელ კლიში, ბაკარი სანია, უილიამ გალასი** (ყველა არსენალი), **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ფილიპ მექსე** (რომა), **სებასტიან სკილაჩი** (სევილია), **როდ ფანი** (რენი);

ნახევარმცველები - **პატრიკ ვიეირა** (ინტერი), **ლასანა დიარა** (პორტსმუთი), **ჟერემი ტულალანი** (ლიონი), **ფლორან მალუდა** (ჩელსი), **ალუ დიარა** (ბორდო), **ჟოან გურკუფი** (ბორდო), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **ჰათემ ბენ არფა** (მარსელი);

თავდამსხმელები - **ტიერი ანრი** (ბარსელონა), **ნიკოლა ანელკა** (ჩელსი), **ქარიმ ბენზემა** (ლიონი), **ფლორან სინამა პონგოლე** (ატლეტიკო).

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# რუსთავში NBA-მოვლილი კალათბურთელი ითამაშებს

## ენერჯი ლეგიონერებით შეივსო



პოლ მაკფერსონი



ბოიან ვუკადინოვიჩი



ნიკოლა ვასოიევიჩი

გუშინ რუსთავის „ენერჯის“ მთავარი მწვრთნელის **დავით უსტიაშვილისგან** მნიშვნელოვანი სიახლე შევიტყვეთ: გუნდს ორიოდე დღეში შეუერთდება სამი ლეგიონერი, რომელიც „ენერჯის“ 14 და 21 ოქტომბერს ევროჩელენჯის მატჩებში დაეხმარება. ერთია NBA-მოვლილი **პოლ მაკფერსონი**, მეორე - 22 წლის სერბი **ნიკოლა ვასოიევიჩი** და მესამე - ასევე სერბი **ბოიან ვუკადინოვიჩი**.

ვიდრე თითოეულ მათგანზე დეტალურად გესაუბრებოდეთ, მთავარი მწვრთნელის დავით უსტიაშვილის მოსაზრებას გავეცნოთ:

- ევროჩელენჯის მატჩებისთვის აქტიურად ვემზადებით. ადგილობრივ კალათბურთელებს ორიოდე დღეში შეუერთდებიან ლეგიონერები და ვიმედოვნებთ, რომ ოფიციალურ შეხვედრებამდე შეთამაშებას მოასწრებენ.

დავით უსტიაშვილი უცხოელებს რუსთავში ვერ დახვდება, რადგან მწვრთნელი უკრაინაში მიემგზავრება. იგი იქაური ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში მეტოქეს, „სუმიქიმპრომს“ დააკვირდება. დავით უსტიაშვილის ინტერვიუს მისი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შემოგთავაზებთ, ახლა კი შეგიძლიათ ლეგიონერების მწვრთნელისეულ დახასიათებას გაეცნოთ.

### პოლ მაკფერსონი

დავით უსტიაშვილის თქმით, გუნდის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული შენაძენი პოლ მაკფერსონია:

*- გამოცდილ ამერიკელ კალათბურთელს სხვადასხვა დროს NBA-ს ორ კლუბში უთამაშია - „გოლდენ სტეიტსა“ და „სიეტლში“. მას ამ გუნდებში ურიგო სტატისტიკა არ ჰქონია. მაკფერსონს 2 სეზონი იტალიურ „ლივორნოში“ აქვს გატარებული, ხოლო ბოლო სეზონში ფრანგული „ტულონის“ ღირსებას იცავდა. პოლი გამოცდილი კალათბურთელია და ყველაზე შედეგიანი მსროლელის პოზიციაზეა.*

ახლა უფრო კონკრეტულად პოლ მაკფერსონის შესახებ: იგი 1978 წლის 3 ივლისს ჩიკაგოში დაიბადა, 193 სმ სიმაღლისაა და შეუძლია თამაში როგორც მსროლელად, ასევე გამთამაშებლად. სხვადასხვა დროს პოლი ოთხი კოლეჯის ღირსებას იცავდა: „საუზ შორის სასწავლებელში“, „თოლეჰასის იუნიორთა კოლეჯში“, „დეპოლის“ უნივერსიტეტსა და „კენედი-კინგის“ კოლეჯში.

2001 წელს პოლ მაკფერსონი NBA-ს კლუბ „ფინიქს სანსში“ ჩაირიცხა და ამ გუნდის მაისურით 33 მატჩში მიიღო მონაწილეობა. იგი საშუალოდ 9.3 წუთში 3.4 ქულას აგროვებდა. შუა სეზონში მაკფერსონი „გოლდენ სტეიტ უორიორზში“ გადავიდა და 22 შეხვედრის ჩატარება მოასწრო. „მეომართა“ რიგებში პოლის წუთობრივმა მაჩვენებელმაც იმატა და ქულობრივმაც: 13.0 წუთში 6.8 ქულა.

მაკფერსონი ევროპულ კლუბებში, „ლივორნოსა“ და „ტულონში“ ლიდერი იყო და სტატისტიკაც გაცილებით ეფექტური ჰქონდა. რას იზამს „ენერჯის“ მაისურით, ეს 14 და 21 ოქტომბერს გამოჩნდება.

### ნიკოლა ვასოიევიჩი

ამ კალათბურთელზე ბევრი სათქმელი არ გვაქვს. მას მწვრთნელი დავით უსტიაშვილი ასე გვაცნობს:

- ნიკოლა ახალგაზრდა კალათბურთელია, 22 წლისაა და სერბული სკოლის აღზრდილია. იგი 192 სმ სიმაღლისაა და მაკფერსონის დარად, უკანახაზელია. ნიკოლა ვასოიევიჩი შარშან რუმინული „ტიმის“ ღირსებას იცავდა. ვფიქრობ, „ენერჯის“ ისიც გააძლიერებს.

### ბოიან ვუკადინოვიჩი

ბოიანი მაკფერსონის დარად 1998 წელსაა დაბადებული და საკმაოდ გამოცდილი კალათბურთელია. 30 წლის სერბს არაერთი კლუბი აქვს მოვლილი. მის შესახებაც დავით უსტიაშვილი გვესაუბრება:

- ბოიანი 205 სმ სიმაღლისაა და თანაბრად კარგად შეუძლია თამაში როგორც მძიმე ფორვარდის, ასევე ცენტრის პოზიციებზე. იგი ბოლოს ირანის ჩემპიონატში ასპარეზობდა, თუმცა, 2007-08 წლების სეზონი კვიპროსის „ეთაში“ ჩაამთავრა და კუნძულელთა თასის ფინალიც ითამაშა.

დაველოდოთ ბოიან ვუკადინოვიჩის, ნიკოლა ვასოიევიჩისა და პოლ მაკფერსონის რუსთავში ჩამოსვლას...



ვიქტორ სანიკიძე

ლეგიონერები

# ვიქტორის დებიუტი ტარტუ როკში

## სანიკიძის მე-13 ნომერი და ცინცაძის 15 ქულა

**გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** ესტონურმა კლუბმა, „ტარტუ როკმა“ ბალტიის ლიგაზე სეზონის სადებიუტო მატჩი ჩაატარა და ლიტვაში „შიაულიაისთან“ 68:89 დათმო.

204 სმ სიმაღლის ქართველი ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე თბილისიდან ვილნიუსში 30 სექტემბერს გაფრინდა, ლიტვაში მოვარჯიშე „ტარტუ როკს“ შეუერთდა და მეორე დღეს ბალტიის ლიგის გახსნით მატჩშიც მიიღო მონაწილეობა.

როკერთა შემადგენლობაში ვიქტორის დებიუტი შეხვედრის მე-4 წუთზე შედგა - 13-ნომრიან მაისურში გამოწყობილი სანიკიძე მოედანზე გამოცდილი **ტანოკა ბირდის** ნაცვლად შევიდა. ამ მომენტისთვის „შიაულიაის“ კალათბურთელებს თამაში გამოსწორებული ჰქონდათ და დაცვაში მტკიცედ იდგნენ. ამიტომაც სანიკიძე მხოლოდ ჩაჭრა-მოხსნებით გამოირჩეოდა. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ნამგზავრსა და უცხო გარემოში მოხვედრილს, ფსიქოლოგიურად გახსნა გაუჭირდა. ხოლო, როცა შეხვედრის ბედი „შიაულიაიმ“ თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა, სანიკიძეც ბოლომდე გაიხსნა და ბოლო წუთებზე ერთ სამქულიანს ორი ჩატენა მიაყოლა.

მოდით, გამოვიანგარიშოთ: ერთი სამიანი და ორი ორიანი ჯამში 7 ქულას უდრის, რასაც ვიქტორმა 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მიამატა. ეს ყველაფერი მან 15 წუთში მოასწრო, რაც დებიუტანტისთვის ცუდი მაჩვენებელი სულაც არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ტარტუ როკთან“ შეთამაშების შემდეგ ქართველი ფორვარდის შედეგიანობა კიდევ უფრო მოიმატებს.

მეორე ქართველი, გიორგი ცინცაძე „როკში“ მესამე სეზონს ატარებს და გუნდის ტაქტიკური სქემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს „შიაულიაიშიც“ დადასტურდა: შეხვედრის საწყის 8 წუთში ბუმ ( შეგახსენებთ, გიორგის მეტსახელია) გუნდის ლ[illegible]ბა იკისრა და ორ სამქულიანს სამი შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა მიაყოლა. ქართველის აქტიურობამ ესტონელთა ორმაგი ანგარიშით დაწინაურება გამოიწვია (12:6), თუმცა სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ მოეგნენ გონს მასპინძლები და როკერებს გამარჯვება არ დაანებეს - 89:68.

გიორგი ცინცაძეს თანაგუნდელთა შორის ყველაზე ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა. მის ანგარიშზეა 15 ქულა (5-დან სამი სამქულიანი), 8 პასი, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა. ბუს 7 შეცდომა რომ არ დაეშვა, მარგი ქმედების კოეფიციენტით საუკეთესო იქნებოდა, მაგრამ შეცდომათა სიმრავლემ იგი მეორე პოზიციაზე დასწია - „როკერი“ ტანოკა ბირდის მქკ.-მ 20-ს უწია, ცინცაძისამ კი 14 შეადგინა. თანამემამულეს ბევრით არც სანიკიძე ჩამორჩა - 8.

„ტარტუ როკი“ ბალტიის თასზე მორიგ მატჩს 5 ოქტომბერს გამართავს - „რიეტუვოს რიტასს“ უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



გიორგი ცინცაძე

დუდუ დადიანის მემორიალი

# სეზონი 7 ოქტომბერს გაიხსნება



დუდუ დადიანი

გუშინ კალათბურთის ფედერაციაში მოეწყო დუდუ დადიანის მემორიალის წილისყრა. შვიდი გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ნახევარფინალები არ გაიმართება - პირველადგილოსნები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან, მეორეები - მესამე ადგილისთვის ითამაშებენ, მესამეები - მეხუთესთვის, ხოლო უარესი მაჩვენებლის გუნდი ჯგუფური ტურნირის დასრულების შემდეგ კლასიფიცირდება მეშვიდეადგილოსნად.

მატჩები 7-10 ოქტომბერს რუსთავის „ქიმიკოსთა“ დარბაზში გაიმართება.

**A ჯგუფი:** სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, ავიამშენი, მაქაბი

**B ჯგუფი:** დინამო, ენერჯი–ინვესტი, თსუ, ნტდ თბილისი

**კალენდარი**

**7 ოქტომბერი**

13.00 ავიამშენი-მაქაბი
15.00 დინამო-ნტდ თბილისი
17.00 ენერჯი-ინვესტი — თსუ

**8 ოქტომბერი**

13.00 მაქაბი-სასოფლო
15.00 თსუ-ნტდ თბილისი
17.00 ენერჯი-დინამო

**9 ოქტომბერი**

13.00 სასოფლ-ავიამშენი
15.00 თსუ-დინამო
17.00 ენერჯი-ნტდ თბილისი

**10 ოქტომბერი**

13.00 მე-5 ადგილისთვის
15.00 მე-3 ადგილისთვის
17.00 ფინალი

დადიანის მემორიალის ყველა ფინალი

2002 დინამო 95:63 თსუ
2003 სტუ/ჯეოსელი 87:76 დინამო
2004 სტუ/ჯეოსელი 111:102 დინამო
2005 ავიამშენი 88:77 თსუ/ნიკორა
2006 ენერჯი 85:69 ავიამშენი
2007 ენერჯი 88:66 ვითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი. საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# როგორ ვაქციოთ მაჭარი ღვინოდ?



მაჭარი ჩინებული სასმელია - ტკბილი, შუშხუნა, ოდნავ მათრობელა... ამავე დროს, მის დაყენებასაც არ უნდა ბევრი წვალება - დაწურავ ყურძენს და რამდენიმე დღეში მზადაა მაჭარი. თუმცა, სულ სხვა საქმეა კარგი მაჭრისაგან კარგი ღვინის მიღება. ეს უკვე გაცილებით რთული, ხანგრძლივი და საპასუხისმგებლო საქმეა...

ასეა სპორტშიც. ნიჭიერი ბავშვის პოვნა ქვევრიდან მაჭრის ამოღებას ჰგავს, ხოლო მის „დასაღვინებლად" უზარმაზარი შრომაა საჭირო.

მეღვინეობაში გადაჭრა და ასეთი შედარება გუშინ, საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ჩემპიონატის ყურებისას ამომიტივტივდა გონებაში. შეჯიბრება ახალი დაწყებულია, რვა გუნდიდან ჯერ მხოლოდ აღმოსავლეთ ზონამ მოილია პირველი ტური, ახლავე ვიცი, რომ დასავლეთშიც აბსოლუტურად იგივე მდგომარეობაა - ყველა კლუბშია რამდენიმე საკმაოდ ნიჭიერი ბავშვი, მაგრამ კაცმა არ იცის, როგორ გაიზრდებიან ისინი და ჩამოყალიბდებიან თუ ვერა მაღალი კლასის ხელბურთელებად. ნიჭის უმოწყალოდ გაფლანგვა ხომ კარგა ხანია, რაც უკურნებელ სენად გვექცა...

ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად მხოლოდ ოთხი კლუბია და აქედანაც მინიმუმ, ორის მომავალი გაურკვეველია. საქართველოს ხელბურთის ფედერაცია კი ახალგაზრდული პირველობიდან აპირებს ეროვნულის ექვს გუნდამდე შევსებას. საკმარისია, ახალგაზრდული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპზე პირველ ან მეორე ადგილზე გახვიდე და უმაღლესი ლიგის საგზური ჯიბეში გაქვს. ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივადაა, მაგრამ...

დავიწყოთ იმით, რომ უმცროსების პირველობაზე თამაშობენ 1992-93 წლებში დაბადებული ხელბურთელები. თითოეულ კლუბს უფლება აქვს, რომ დაიმატოს 1990-91 წლებში დაბადებული 2-2 მოთამაშე. მათ არა აქვთ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება. ჰოდა, როდესაც გავლენ ეს 15-18 წლის ბიჭები უმაღლეს ლიგაში გამობრძმედილ, ჯანიან და გამოცდილ მეტოქეებთან სათამაშოდ, წინასწარვე უნდა შეეგუონ იმას, რომ გვარიანად დაიჩაგრებიან. ასეთ დროს, შესაძლოა, ახალგაზრდა ხელბურთელი ფსიქოლოგიურად გატყდეს და საერთოდ ხელიც ჩაიქნიოს ხელბურთზე. ამიტომაც საჭიროა, რომ მათ გვერდში ედგნენ გამოცდილი თანაგუნდელებიც. და მოინდომებენ კი ასეთი ხელბურთელები ჭაბუკების გვერდით, უხელფასოდ და ცარიელი ენთუზიაზმის ხარჯზე თამაშს? ამ გუნდებიდან ხომ თითქმის ყველას არც ხელფასი აქვს, არც სტანდარტული დარბაზები და მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარების ხარჯზე არსებობს. საერთოდ, ეროვნული ჩემპიონატის კლუბებს იმხელა საკადრო „გარღვევები" აქვთ, რომ ვინმეს დაუთმობენ კი არა, აქეთ მოინდომებენ ახალგაზრდული კლუბებიდან შევსებას...

არადა, ხელბურთის ფედერაციის პოზიციაც გასაგებია. ახალგაზრდების პირველობა ქართული ხელბურთის ხვალინდელ დღედ მიიჩნევა - სწორედ აქედან უნდა მიიღოს შევსება ეროვნულმა ჩემპიონატმა, საიდანაც პანტაპუნტით გარბიან ხელბურთელები ან საზღვარგარეთ ანდა სულაც არასახელბურთო, უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურში. თუმცა ახალგაზრდები მხოლოდ საქართველოს პირველობაზე, წელიწადში 15-მდე თამაშს სჯერდებიან, საერთაშორისო ტურნირებზე სიარულის ფუფუნება კი არა აქვთ. ჰოდა, როგორ გინდა, გაზარდო არასტანდარტულ, გაყინულ დარბაზებში ეს ჯეელები მხოლოდ ვარჯიშით და თითზე ჩამოსათვლელი თამაშებით? იქნებ, ეროვნულ ჩემპიონატში თამაშით მაინც აიმაღლონ ოსტატობა - ასეთია ხელბურთის ფედერაციის ჩანაფიქრი. და თუ რამდენად გაამართლებს ეს პროექტი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ კი აქედანვე ცხადზე ცხადია - ამ ახალგაზრდებს ახლა ძალიან დიდი ყურადღება და სათანადო პირობები სჭირდებათ, რათა ქართულ ხელბურთში უახლოეს წლებში ისევ არ მოხდეს თაობათა წყვეტა, რომელიც ახლა აქვს...

რაც შეეხება უშუალოდ შეჯიბრებას, იგი საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. „რუსთავმა" სამივე მატჩი მოიგო და სატურნირო ცხრილის სათავეში დაასრულა ტური. „ყვარელმა" და „ქარიშხალამ" კი შარშანდელი ჩემპიონატის აღმოჩენა, მაგრამ წლეულს უვარჯიშებელი და ფორმიდან ამოვარდნილი „გორი" დაჩაგრეს. დასკვნით ტურში, სწორედ კახელები და დედაქალაქელები შეებნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ იქამდე „ყვარელი" მთელი თამაშის განმავლობაში უგებდა „რუსთავს" 3-4 ბურთით, მაგრამ ბოლო წამებზე მოეშვა და მინიმალური სხვაობით დამარცხდა. ყვარლელებს ანალოგიური რამ დაემართათა გუშინ „ქარიშხალასთანაც". ისინი თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში 3-5 ბურთით იგებდნენ, მაგრამ ბოლო 15 წუთში უამრავი შეცდომა დაუშვეს და საბოლოოდ, მხოლოდ ფრეს გამორჩნენ. თუმცა, კახური გუნდის თავკაცობას მატჩის მიწურულს, მთელ რიგ ეპიზოდში პრეტენზიები ჰქონდა მსაჯობასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, აღმოსავლეთ ზონის პირველი ეტაპი 6 ქულით „რუსთავმა" მოიგო, 3-3 ქულით მეორე-მესამე ადგილს იყოფენ „ქარიშხალა" და „ყვარელი", გორელები კი ჯერჯერობით, უქულოდ არიან. მომდევნო კვირაში, დასავლეთ ზონის ოთხეული („სამტრედია", „ბათუმი", „ქუთაისი", „ფოთი") ქუთაისში ითამაშებს, რასაც მოჰყვება ორივე ზონის გაერთიანებული ეტაპი და საშემოდგომო ბატალიები დამთავრდება. სამი ეტაპის ჯამში 2 საუკეთესო გუნდი კი უმაღლესი ლიგის საგზურს მოიპოვებს.

დასასრულ, ოთხივე აღმოსავლური კლუბის მთავარ მწვრთნელთა კომენტარები გადაიკითხეთ, რომელიც ახალგაზრდული პირველობის კლუბებზე წარმოდგენას კიდევ უფრო ნათლად შეგიქმნით.

**ზურაბ ჭუთლაშვილი (რუსთავი)** - შარშანდელი ჩემპიონატი მეორე ადგილზე დავასრულეთ და წლეულსაც წარმატებით თამაშს ვაპირებთ. კარგად დავიწყეთ სეზონი და ვიმედოვნებ, ასე გავაგრძელებთ.

რუსთავში არასტანდარტულ დარბაზში ვვარჯიშობთ. ხელფასი მხოლოდ მწვრთნელებს გვაქვს და ისიც მიზერული თანხა - 100 ლარი. გუნდში, ძირითადად, 15-16 წლის ბიჭები გვყავს, ფინანსურადაც არ გვილხინს. ამდენად, ეროვნული ჩემპიონატის საგზური რომც მოვიპოვოთ, ჯერ არ ვიცით, შევძლებთ თუ ვერა მასში მონაწილეობას. თბილისში კიდევ მოვახერხებთ ჩამოსვლას, მაგრამ თუ თამაშები ვთქვათ, თელავში ან ქუთაისში იქნება, მაშინ გაგვიჭირდება სამგზავრო ფულის გამონახვა. ამას გარდა, ეროვნულ ჩემპიონატში თამაშისთვის კიდევ ბევრი რამაა საჭირო, რისი საშუალებაც ახლა არ გვაქვს.

**ზურაბ ხარებაშვილი (ყვარელი)** - დღეს მსაჯებმა აშკარად დაგვჩაგრეს, თორემ „ქარიშხალა' აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა. წითელ-ყვითელი ბარათებით, წამდაუწუმ ორწუთიანი გაძევებებითა და ჯარიმებით, გამარჯვების საშუალება არ მოგვცეს. ბოლო წამებზე, როდესაც დაინახეს, რომ გამარჯვების გოლი გაგვქონდა, უმალვე ჩასტვინეს და დაგვაჯარიმეს...

რაც შეეხება უშუალოდ ყვარელში არსებულ სიტუაციას, სამ ასაკში გვყავს გუნდი. ქალაქის ხელმძღვანელობა შესაძლებლობის ფარგლებში კი გვეხმარება, მაგრამ უფრო მეტია საჭირო. პრობლემაა ისიც, რომ ყვარლის დარბაზი ვიწროა და იქ ვარჯიშს მიჩვეულებს, სტანდარტულ მოედანზე თამაშის გაშლა ცოტა გვიჭირს ხოლმე.

ეროვნული ჩემპიონატი? ვერ გეტყვით, ჯერ მისი საგზურია მოსაპოვებელი და მერე ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი დაფინანსება გვექნება.

**ელზა მერებაშვილი (ქარიშხალა)** - ჩვენ ჯერ კიდევ შარშან გვინდოდა ეროვნულ ჩემპიონატში თამაში, მაგრამ ისევე როგორც ახლა, არც მაშინ გამოგვიჩნდა სპონსორი. მერე გუნდი დატოვა რამდენიმე ლიდერმა და წლეულს მათი დაბრუნების ნაცვლად, ჩვენს სკოლაში მოვარჯიშე 1992-93 წლებში დაბადებულ ჭაბუკებზე გავაკეთეთ აქცენტი. პრობლემები თავზე საყრელადაა როგორც „ქარიშხალაში", ასევე მთელ ბავშვთა ხელბურთში და ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს (ქალბატონ ელზასთან ვრცელ ინტერვიუს ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ).

**გია მამაცაშვილი (გორი):** - გორში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, ვარჯიში მხოლოდ ერთი კვირის წინ დავიწყეთ. ერთადერთი დარბაზი გვქონდა, თანაც არასტანდარტული და გორის დაბომბვის შემდეგ, ისიც დაზიანდა, რამაც დამატებითი პრობლემა შეგვიქმნა. კი იყო დაპირება, რომ გორში ახალ, სტანდარტულ დარბაზს ააშენებდნენ, მაგრამ ომმა ეს საკითხი დროებით შეაჩერა.

ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ სეზონი სუსტად დავიწყეთ. თუმცა, თუ ყველაფერი კარგად იქნება, გვაქვს საიმისო რესურსი, რომ მოვუმატოთ და მედლებისთვის ვიბრძოლოთ. ეროვნული ჩემპიონატისთვის კი ახლა არანაირად არ ვართ მზად - არც დარბაზი გვაქვს და ფინანსურადაც გვიჭირს.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი


ანა ტატიშვილი

# ორი ქართველი მერვედფინალში

საქართველოს პირველმა ჩოგანმა ქალმა **ანა ტატიშვილმა** (188) ალაბამის შტატის ქალაქ ტროის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) პირველი წრიდან მე-7 ნომრად განთესილი უკრაინელი **ტატიან ლუჟანსკა** (177) გააგდო. ანას ფავორიტის დასამარცხებლად სამი სეტი დასჭირდა – 6:2, 3:6, 6:2. ტროას ტურნირის მერვედფინალში ტატიშვილი საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ სლოვენიელ **პეტრა რამპრეს** (392) შეხვდება, რომელმაც პირველ წრეში ყოფილი მეწყვილე **კიმბერლი კაუტსი** დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ ანა ახლა ამერიკელ **მედისონ ბრენგლთან** დუეტში თამაშობს და წყვილთა თანრიგის ბადის მეოთხედფინალშიცაა გასული. ტატიშვილის და ბრენგლის მეტოქეები ამერიკელები, **ბრიტენი ოუგუსტინი** და **ჯენიფერ ელი** იქნებიან.

ესპანურ ლეს ფრანკეს დე ვალესში 10-ათასიან საერთაშორისო ტურნირში 20 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (731) თამაშობს. პირველ წრეში ჩვენებურმა იოლად დაამარცხა „უაილდ ქარდით" მოწვეული მასპინძელი **მიერია რეკასენს-ჰორტა** – 6:1, 6:2. მერვედფინალში ქვაცაბაია მე-2 ნომრად განთესილ იტალიელ **ელიზა ბალზამოს** (384) შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დევნილ ძიუდოისტებს კიმონოები დაურიგდათ




საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** ისნის რაიონის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის სპორტულ კლუბ „ოლიმპს" ეწვია და იქ მოვარჯიშე ძიუდოისტებს ახალი - თეთრი და ლურჯი კიმონოები დაურიგა.

„ოლიმპში", რომელიც ორი წელიწადია რაც ფუნქციონირებს, დღეს უკვე 100-მდე სხვადასხვა ასაკის ძიუდოისტი ვარჯიშობს. მათ შორის არიან სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან დევნილებიც, რომლებიც დღეს ყველაზე მეტად საჭიროებენ თანადგომას.

ნამგალაურმა ახალგაზრდა ძიუდოისტებსა და მათ მწვრთნელს **კარენ არუთინიანს** კიმონოები გადასცა, სპორტული წარმატებები და მშვიდ გარემოში ცხოვრება უსურვა. თავმჯდომარე ვარჯიშსაც დაესწრო.

„ჩვენი დეპარტამენტი მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს სპორტით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, დღეს გვერდში დგომა ყველაზე მეტად დევნილებს ესაჭიროებათ. როგორც კი გავიგეთ, რომ „ოლიმპში" ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ოჯახების შვილები ვარჯიშობდნენ, ძიუდოს ფედერაციასთან ერთად მათთვის კიმონოები გავამზადეთ და აი, დღეს მოვაკითხეთ კიდეც. იმედია, ყველაფერი უკეთესობისაკენ წავა,"-თქვა დავით ნამგალაურმა.

**გიორგი ჭანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ქლება შეჩერდა

1-ელ ოქტომბერს ფიდემ ახალი რეიტინგ-სიები გამოაქვეყნა. მოგეხსენებათ რეიტინგებს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია კვარტალში ერთხელ ითვლის და ეს ერთობ მნიშვნელოვანიცაა. მიზეზი ჭადრაკის მოყვარულთათვის გასაგებია - რეიტინგები ძალიან დიდ როლს თამაშობს მოჭადრაკის კარიერაში და რაც უფრო მაღალი აქვს ეს მაჩვენებელი, მით მეტი საშუალება ეძლევა მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს, ელიტის წევრი გახდეს და დიდი როდენობის თანხა გამოიმუშაოს.

ბოლო დროს ქართველები ამ კომპონენტში თავს ვერ მოვიწონებდით - ყოველ ახალ ჯერზე მასობრივად შეინიშნებოდა რეიტინგ-კლება და მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებდნენ წინსვლას... ამჯერად კი სასიამოვნო გამონაკლისთან გვაქვს საქმე და დიდმა ნაწილმა აქტივში ჩაიწერა ქულები. იმედია, ასე გაგრძელდება მომდევნო თვეებსა და წლებში. აქ ერთსაც ვიტყვით: განსაკუთრებულ ყურადღებას მოწინავე მოჭადრაკეებსა და მასთან ახლოს მყოფებზე ვამახვილებთ, თორემ რეტინგიანი იმდენი ქართველია, რომ მათი შედეგების ანალიზი ძალიან შორს წაგვიყვანს.

ვინაიდან რეიტინგი ყველასთვის მნიშვნელოვანია, მსოფლიოს ტოპ-ათეულსაც გაგაცნობთ, როგორც ქალთა ისე ვაჟთა შორის. იქამდე კი ჩვენთვის უმთავრეს მოვლენაზე მოგახსენებთ: **ნანა ძაგნიძემ** ამ ზაფხულს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში წარმატებით ითამაშა და ერთ-ერთ მათგანში ვაჟთა შორის დიდოსტატის ბალი შეასრულა. ამგვარი წარმატება რიგით მესამე იყო ძაგნიძისთვის, რაც ვაჟთა შორის დიდოსტატის ნორმის შესრულებას ნიშნავდა. თუმცა წოდება რომ მიელო, პირად რეიტინგს 2500-იან ზღვრამდე მაინც უნდა მიეღწია. შემოდგომით ძაგნიძემ ეს მოსავალიც მოიმკა და ახლა უკვე ფორმალური მხარეღა დარჩა ფიდეს მხრიდან. უახლოეს კონგრესზე ქართველ ქალბატონს უმაღლესი საჭადრაკო წოდება მიენიჭება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პატივი, უდიდესი ტრადიციებისა და წარმატებების მიუხედავად, მხოლოდ ორ ქართველ ქალბატონს ღირსებია - **ნონა გაფრინდაშვილს** და **მაია ჩიბურდანიძეს**; მსოფლიოში კი ასეთი წოდებით დღემდე სულ მხოლოდ ცამეტი ქალბატონი იწონებდა თავს... იმედია, უმაღლესი წოდება ძაგნიძეს უმაღლესი ტიტულის მოპოვებაშიც დაეხმარება...

მატებაზე როცა ვლაპარაკობთ, ძირითადად, ქალებს ვგულისხმობთ. ძაგნიძე - გარდა იმისა, რომ 2500-იან ზღვარს გადააბიჯა - შეიძლება ითქვას, რომ კიდევ ერთი ისტორიული მიღწევის ავტორია - მაია ჩიბურდანიძეს გადაასწრო და საქართველოს ნომერ პირველი მოჭადრაკე ქალი გახდა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ოლიმპზე სამ ათეულ წელიწადზე მეტი იდგა და როგორც ყველაფერს ამ ცისქვეშეთში, ამ ფენომენსაც უწია დასასრულმა... ჩიბურდანიძე ჯერჯერობით მეორე პოზიციაზეა 2489 ქულით, მაგრამ აქედან დაქვეითებაც ემუქრება - **ლელა ჯავახიშვილი** მხოლოდ 16 პუნქტით ჩამორჩება - 2473 ქულა აქვს. მეოთხეზე გადაინაცვლა **მაია ლომინეიშვილმა**, რომელმაც ამ კვარტალში 23 ქულა შეიმატა და დღეისთვის 2437 ქულა აქვს. მეხუთეა **ნინო ხურციძე** - მასაც მატება აქვს, მაგრამ იმდენი არა, რომ ლომინეიშვილს მაინც დაეწიოს - 2417. ქართულ ათეულში შემდეგ ადგილებს იკავებენ: 6. **ანა მათნაძე** - 2411; 7. **სალომე მელია** - 2410; 8. **სოფიკო ხუხაშვილი** - 2409; 9. **სოფიო გვეტაძე** - 2361; 10. **ნინო ბაციაშვილი** - 2359.

ვაჟებში ბევრით არა, მაგრამ მაინც მოიმატა **ბაადურ ჯობავამ** - 2664 ქულა აქვს, რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია. ბაადურს ბევრად მეტის მიღწევა შეუძლია და იმედია, რომ მომდევნო თვეებში, განსაკუთრებით საჭადრაკო ოლიმპიადაზე, ამას დაამტკიცებს. ბაადური, მიუხედავად მაღალი რეიტინგისა, მსოფლიოს ტოპ-ასეულში მხოლოდ 56-ეა. მის გარდა კი ასეულში არც ერთი ქართველი აღარ არის. ასეთი სურათი იშვიათია, მაგრამ მიზეზი ჭადრაკის მზარდი პოპულარობაა მსოფლიოში და შესაბამისად, ძლიერ დიდოსტატთა რაოდენობის მატებაც განაპირობებს დიდ კონკურენციას. აქამდე 2700-იანი ზღვარი ლამის მიუწვდომლად - მხოლოდ რამდენიმე გამორჩეული მოჭადრაკის ძალის შესაბამისად მიიჩნეოდა, მაგრამ დღეისთვის უკვე 33 მოჭადრაკე გადასცდა სუპერრეიტინგულ ნიშნულს და შესაძლოა, უახლოეს წლებში ასეულში შესასვლელად მხოლოდ ეს სიმაღლე გახდეს საკმარისი. ქართველ მოჭადრაკეებს იქამდე ძალიან ბევრი უკლიათ და ღმერთმა ქნას, ეს მანძილი სწრაფად დამოკლდეს. **ზურაბ აზმაიფარაშვილს** 2622 ქულა აქვს და მეორეა ქართველთა შორის. იგი ერთადერთია ჩვენებურთაგან, რომელსაც 2703 ქულისთვის შორეულ 2003 წელში მიუღწევია. სამწუხაროდ, მას შემდეგ ზურაბმა მარაგი გაანიავა და ერთი დრო 2600-იან ნიშნულსაც კი ჩასცდა... მესამეზე აღზევდა **თამაზ გელაშვილი** - მისი მაჩვენებელი 2615 -ია. ამდენივე აქვს და მეოთხეა **მიხეილ მჭედლიშვილი**. მეხუთემდე დაქვეითდა **ზვიად იზორია**, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს. როგორც ჩანს, ამერიკული ცხოვრება ზვიადს საჭადრაკო თვალსაზრისით ვერ გამოადგა - ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა და ჩვენი ქვეყნის პირველი მოჭადრაკეც კი იყო ერთხანს. იზორიას საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა ენდო, ნაკრებში მიიწვია, რაც ალბათ მისთვის კარგი მოტივაცია გახდება და ჩვეულ ადგილს და ფორმას დაიბრუნებს. ათეულში მყოფ დანარჩენთა პოზიციები ასეთია: 6. **დავით არუთინიანი** - 2584; 7. **გიორგი გიორგაძე** - 2584; 8. **ლევან ფანცულაია** - 2580; 9. **მერაბ გაგუნაშვილი** - 2576; 10. **გიორგი ყაჭეიშვილი** - 2572.

რაც შეეხება მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს, მათ რიგებშიც მნიშვნელოვანი გადაადგილებები მოხდა: პირველი საფეხური კვლავ დაიბრუნა ბულგარელმა **ვესელინ ტოპალოვმა** - მისი ქულათა მარაგი 2791-ს უდრის. მეორე პოზიციაზე აინაცვლა რუსმა **ალექსანდრე მოროზევიჩმა** - 2787; მესამეზეა უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი** - 2786. მეოთხე საფეხურზეც ახალ სახელს ვხედავთ, თუმცა ნორვეგიელი ვუნდერკინდი **მაგნუს კარლსენი** დიდი ხანია, შიშის ზარს სცემს წამყვან დიდოსტატებსაც კი. კარლსენის ქულათა მარაგი ამ ასაკისთვის (18 წლის არის) გამაოგნებელია - 2786. პირველი ადგილი დაკარგა და მეხუთემდე ჩამოქვეითდა ინდოელი **ვიშვანათან ანანდი** - 2783 ქულა აქვს. ასევე დაქვეითდა და მეექვსეზეა რუსი **ვლადიმერ კრამნიკი** - 2772. მეშვიდეა სომეხი **ლევონ არონიანი** - 2757; მერვეზეა აზერბაიჯანელი **თეიმურაზ რაჯაბოვი** - 2751; მეცხრეა უნგრელი **პეტარ ლეკო** - 2747; მეათეზე რუსი დმიტრი იაკოვენკოა - 2737. ათეულიდან გავარდა აზერბაიჯანელი **შახრიარ მამედიაროვი** და მეთოთხმეტეა. ჩვენი მეზობლების წარმატებები იმის იმედს გვაძლევს, რომ ოდესლაც ქართველებიც გავერევით ელიტაში. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს თბილისში დაბადებულ-გაზრდილი და სიყმაწვილის წლებში ჩეხეთში გადასული **სერგო მოვსესიანის** არნახული წინსვლა - 2737 ქულით მეცამეტეა მსოფლიოში. არადა, თავის დროზე ის საქართველოში სულაც არ მიიჩნეოდა მოწინავე მოჭადრაკედ...

როგორც გითხარით, ასეულში მხოლოდ ერთი ქართველია - ბაადურ ჯობავა, რომელიც 56-ე ადგილს იკავებს. ბევრად უკეთესი სურათი გვაქვს ქალთა შორის, მაგრამ ათეულში აქაც ვერ შევედით, მიუხედავად იმისა, რომ ძაგნიძეს ქალთათვის ძალიან მაღალი რეიტინგული ზღვარი გადალახული აქვს - ის 2503 ქულით მხოლოდ მეთოთხმეტეა. ქალებში პირველი უნგრელი **იუდით პოლგარია** - 2711. მეორე ადგილზე ინდოელი **ჰამპი კონერუა**, რომელმაც ოთხი ქულა დაიკლო რეტინგში - 2618 აქვს; მესამე ადგილზე კი 14 წლის ჩინელი **იფან ჰოუა** 2578 ქულით. შემდეგ მოდიან: 4. **ძიუნ სიე** (ჩინ 2574); 5. **პია კრამლინგი** (შვე. 2550); 6. **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულ. 2548); 7. **მარია სებაკი** ( საფ. 2533); 8. **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუს. 2525); 9. **სიუ ჭაო** (ჩინ. 2518); 10. **ელინა დანიელიანი** ( სომ. 2513). კიდევ ერთი „ისტორიული“ შედეგი ვიხილეთ ახალ რეიტინგში - სომეხი დიდოსტატი ქალი პირველად მოექცა ქართველის წინ. ხუმრობა იქით იყოს და, ეჭვი გვაქვს, რომ სომხები ამ ამბავს კარგად „დაასველებენ“... მაია ჩიბურდანიძე მეთვრამეტეა; ლელა ჯავახიშვილი - ოცდამეხუთე; მაია ლომინეიშვილი - ორმოცდამეერთეა ქულით; ნინო ხურციძეს მარაგი ორმოცდამეთხუთმეტე ადგილისთვის ჰყოფნის; ანა მათნაძე ორმოცდამეთექვსმეტეა; სალომე მელია ორმოცდამეთვრამეტეა; მესამოცეა სოფიკო ხუხაშვილი და ზუსტად მეასეა და ასრულებს ასეულს სოფიო გვეტაძე.

ქვეყანათა შორის რეიტინგულ ცხრილში იგივე პოზიცია შევინარჩუნეთ - საშუალო რეიტინგით-2603 საქართველო მეთოთხმეტეა. პირველი კვლავ რუსეთია - 2719 ქულით; მეორეა უკრაინა - 2690, ხოლო მესამეზე ჩინეთი აღზევდა - 2651 ქულით.



ნანა ძაგნიძე

ზვიად შათირიშვილი

ფრენბურთი. პრესკონფერენცია

# საქამ და რთველომ შეიძლება დიდი ფრენბურთის ითამაშონ

2008 წლის მიწურულს, ან 2009 წლის დასაწყისში, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები პირველად ითამაშებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. მისი კენჭისყრა იტალიის ქალაქ ტურინში 29 სექტემბერს გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეების ვინაობაც გაირკვა.

ქართველი ფრენბურთელები სამრაუნდიანი შესარჩევი ტურნირის პირველ ეტაპზე C ჯგუფში ითამაშებენ, სადაც მეტოქეებად დანიის, ესტონეთისა და მოლდოვას ეროვნული ნაკრებები ეყოლებათ. შესარჩევი ეტაპის შემდეგ, მეორე რაუნდში ასპარეზობას მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გააგრძელებს. მეორე რაუნდში გაღწევის შემთხვევაში ქართველი გოგონების მეტოქეები რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი და ალბანეთი იქნებიან.

ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ სად და როდის ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის მატჩები. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციით, პირველი რაუნდის შეხვედრები 2008 წლის 1-15 დეკემბერს, ან 2009 წლის იანვარში გაიმართება.

საქართველოს ნაკრებში სიახლეების გასაცნობად, ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** 2 ოქტომბერს სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ნინო მღებრიშვილი** და მოთამაშეები – **ნელი დათუკაშვილი, სოფო ჭეიშვილი, ნინო მუყარაშვილი** და **ნათია ბანძელაძეც** იყვნენ.

**ლევან ახვლედიანი (ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):** *“მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ქართველი გოგონები პირველად ითამაშებენ და წარმატების მისაღწევად ძალებს არ დაიშურებენ. შესარჩევ ეტაპზე სულ 214 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.*

*საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანი მაქსიმალურად ძლიერად თამაში და ღირსეული ბრძოლაა. მოთამაშეებმა უნდა გაითავისონ ის, რომ როდესაც საქართველოს სახელით თამაშობენ, ყველა ბრძოლაში ბოლომდე უნდა დაიხარჯონ და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ქალთა ფრენბურთში ძალიან კარგი ახალგაზრდები გვყავს, რომლებსაც პატარა გამოცდილება უკვე აქვთ. ჩვენმა გუნდმა ხომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უკვე ითამაშა. ასევე დიდი იმედი გვაქვს თურქეთში მოთამაშე ჩვენი ორი ლეგიონერის და მთლიანობაში საკმაოდ ძლიერი გუნდის შეკვრა შეგვიძლია. ნაკრებში შესაძლოა პლაჟის ფრენბურთელი ბრაზილიელები საქა და რთველო ვათამაშოთ, რომლებმაც ოლიმპიადაზე კიდევ უფრო მეტად გაითქვეს სახელი. შესარჩევი ეტაპი პლაჟის ფრენბურთის ტურნირ “ბანკო დე ბრაზილს” თუ არ დაემთხვა, მაშინ ქრისტინა სანტანას და ანდრესა ჩაგასს ნაკრებში ვათამაშებთ. მართალია, დიდი ფრენბურთი და პლაჟის ფრენბურთი ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ჩვენს ბრაზილელებს დიდი ფრენბურთის გამოცდილებაც აქვთ და მათი დამატება განსაკუთრებით გაგვაძლიერებს. ასე რომ, ვნახოთ, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.”*

**ნინო მღებრიშვილი (საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** *“მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი პატივია. საერთაშორისო დონეზე თამაშის მცირე გამოცდილება გვაქვს, საქართველომ ხომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშა, თუმცა ახლა გაცილებით რთული გამოცდა გველის წინ. მეტოქეებიდან მოლდოვას ნაკრებს ვიცნობთ და მათ წინააღმდეგ გვითამაშია კიდეც. ნაკრებს ნამდვილად აქვს პოტენციალი, ლეგიონერებიც გვყავს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ პირველი შესარჩევი ეტაპი გადავლახოთ, გპირდებით, რომ ამ მიზნის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლებთ.”*



ფრენბურთელები ბოლომდე ბრძოლას გვპირდებიან

გიორგი ჭანიშვილი

ხელოვნება და სპორტი

# ჩემპიონი ბრინჯაოს პრიზიორია

ხუთივე კონტინენტის 60-ზე მეტმა სკულპტორმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებულ კონკურსში „ხელოვნება და სპორტი“, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება.

2008 წლის კონკურსში მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ცნობილი ქართველი მოქანდაკის **ლევან ვარდოსანიძის** ნამუშევარმა - „ჩემპიონი“.

გრაფიკულ ნამუშევართა საკონკურსოდ საქართველოდან შეირჩა **გიორგი გაგნიძის** ნახატი „ანთებული ჩირაღდანი“, რომელიც შესულია სოკ-ის მიერ გამოცემულ სპეციალურ კატალოგში.

ლევან ვარდოსანიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სპორტულ და ოლიმპიურ თემატიკას. მისი ნამუშევრები მსოფლიოს მრავალ წამყვან გალერეაშია გამოფენილი, შეტანილია უცხოურ კატალოგებში, ალბომებში და ა.შ. ის არის მონუმენტური კომპოზიციის „ოდა ქართველ ოლიმპიელებს“ ავტორი, რომლის დადგმა თბილისში იგეგმება.

ლევან ვარდოსანიძე ერთადერთი სკულპტორია მსოფლიოში, რომელმაც სოკ-ის ანალოგიურ კონკურსში ორჯერ მიიღო მონაწილეობა და მისი ნამუშევარი ორჯერვე გამოირჩეული გახლდათ – 2002 წელს „ბეისბოლისტმა“ ვერცხლის მედალი მოიპოვა. ორივე ქანდაკებამ „ბეისბოლისტმა“ და „ჩემპიონმა“ უკვე ბინა ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმში დაიდო.

ვარდოსანიძე რამდენიმე დღე სპეციალური მიწვევით იმყოფებოდა კორეის ქალაქ ბუსანში, სადაც მსოფლიო ფორუმის „სპორტი, განათლება და კულტურა“ ფარგლებში შედგა მისი დაჯილდოება. ფორუმში მონაწილეობდა სეოკ-ის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**.

კახა ბერიძე



ჩემპიონი

კრივი

# საუბარი ღია ცის ქვეშ



6 დეკემბერს, ლას ვეგასში დიდი კრივია დანიშნული. ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **ოსკარ დე ლა ჰოია** ოთხ წონაში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ფილიპინელ **მენი პაკიაოს** შეხვდება. მომავალი დაპირისპირება უდიდეს ინტერესს იწვევს და მას წლის ბრძოლადაც კი ნათლავენ. შესაბამისად, დე ლა ჰოიასა და პაკიაოს ჩხუბს ზედმეტი რეკლამა არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ ორგანიზატორები ათასგვარ პიარაქციას იგონებენ მეტი ტელემაყურებლის მოსაზიდად. საქმე ისაა, რომ ბრძოლის ტელეტრანსლაცია ფასიან არხზე შედგება.

გუშინ, კრივის ისტორიაში პირველად, მომავალი ბრძოლისადმი მიძღვნილი სპეციალური პრესკონფერენცია ღია ცის ქვეშ გაიმართა. ბრძოლის მონაწილეები ნიუ-იოკრში, თავისუფლების ქანდაკებასთან შეხვდნენ ჟურნალისტებს და მათ კითხვებს უპასუხეს.

პაკიაომ განაცხადა, რომ 6 დეკემბერს დანიშნული ბრძოლა სამუდამოდ შევა კრივის ისტორიაში და ის ყველას დაუმტკიცებს, რომ უფრო მძიმე წონის მოკრივეებთანაც შეუძლია წარმატებით ბრძოლა: *"ბევრი ამბობს, რომ ამ ბრძოლას მხოლოდ ფულის გამო დავთანხმდი, მაგრამ ეს ასე არ არის. 6 დეკემბერს დავამტკიცებ, რომ ისინი ცდებიან. თქვენ ნანახი გაქვთ ჩემი წინა ბრძოლები და იცით, როგორ ვიბრძვი რინგზე. დე ლა ჰოიასთან ორმაგად მოტივირებულ პაიკაოს იხილავთ. არათანაბარ ბრძოლაზე ლაპარაკიც ზედმეტია".*

სპეციალისტების აზრით, გამარჯვების შემთხვევაში დე ლა ჰოია ბევრს ვერაფერს შეიძენს, მაგრამ თუ წააგებს, მნიშვნელოვნად შეელახება პრესტიჟი. მისმა მეტოქემ ხომ სულ ახლახან გადაინაცვლა მჩატე წონაში. დე ლა ჰოია კი პაკიაოზე გაცილებით მძიმე მოკრივეა, მაგრამ "ოქროს ბიჭის" სიტყვებით, სწორედ ეს ფაქტორი მატებს მას მოტივაციას. 35 წლის მოკრივეს იმის დამტკიცება სურს, რომ ჯერ კიდევ შეუძლია ახალგაზრდა და ამბიციურ მოწინაალმდეგესთან ბრძოლა: *"ბრძოლაში ვიწვევ ახალგაზრდა, ამბიციურ და სწრაფ მოკრივეს. საკუთარ თავს მინდა დავუმტკიცო, რომ ჯერ კიდევ შემიძლია გამარჯვების მოპოვება. მენი პაკიაო თავისი სიმამაცითა და გამარჯვებისკენ სწრაფვით, დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩემთვის".*

ამ ბრძოლაზე დასასწრები 16 ათასი ბილეთი ერთ დღეში გაიყიდა. ამით ორგანიზატორებმა 17 მილიონი დოლარი მოგება ნახეს. ეს ერთი მილიონით ნაკლებია აბსოლუტურ რეკორდზე, რომელიც შარშან, იმავე დე ლა ჰოიასა და **ფლოიდ მეივეზერის** ბრძოლის წინ დაფიქსირდა.

გია თვალაბეიშვილი

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| იტალიის თასი | |
|---|---|
| ჯენოა-რავენა | 2:1 |

| შვედეთი | |
|---|---|
| იურგორდენი-ნორჩოპინგი | 1:1 |

**ფინეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| კემი-ოულუ | 2:1 |

| ფინეთის თასი | |
|---|---|
| ჰიკ-ვაასა | გადაიდო |

**მინი ფეხბურთი**

| მსოფლიოს ჩემპიონატი | |
|---|---|
| ბრაზილია-სოლომონის კ-ები | 21:0 |
| პორტუგალია-პარაგვაი | 3:2 |
| იტალია-აშშ | 6:1 |
| რუსეთი-კუბა | 10:5 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ბარისი-ტორპედო | 3:0 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 5:2 |
| სივერსტალი-ვიტიაზი | 4:3 |
| სკა-ცსკა | 5:3 |

| გერმანია | |
|---|---|
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 5:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| პელიკანსი-ტაპარა | 4:1 |
| სეი პა-ჰპკ | 0:1 |
| ჰიფკ-კერპეტი | 4:2 |
| იუვიასკიულა-ესეტი | 3:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 5:5 |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 3:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| აიკ-ფერიესტადი | 3:0 |
| ლინჩოპინგი-იურგორდენი | 2:2 |
| ლულეო-ბრიუნესი | 2:4 |
| მოდო-ტიმრა | 4:3 |
| როგლე-სიოდერტალე | 4:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მეცი | |
|---|---|
| ჰანესკუ-შვანკი | 6:7, 7:6, 3:6 |
| დე ვოესტი-მანარინო | 4:6, 5:7 |
| შტეპანეკი-ლოდრა | 6:7, 6:1, 7:6 |
| ჟიკელი-მაუ | 6:3, 7:6 |
| მატიო-ჟოუანი | 6:3, 6:3 |

| ATP. ტოკიო | |
|---|---|
| ტროიცკი-ცონგა | 5:7, 2:1 უარი |
| ფერერი-სუძუკი | 4:6, 6:3, 6:2 |
| ბერდიხი-რობრედო | 7:6, 6:2 |
| შუტლერი-იუჟნი | 6:3, 6:7, 6:4 |
| გასკე-ნიშიკორი | 6:1, 6:2 |
| დელ პოტრო-ნიემინენი | 6:1, 6:3 |
| გონსალესი-დელიჩი | 6:4, 7:6 |
| როდიკი-მელცერი | 7:6, 6:2 |

| WTA. შტუტგარტი | |
|---|---|
| ზვონარევა-ბარტოლი | 6:2, 6:0 |
| პეტროვა-შნიდერი | 6:4, 6:1 |
| საფინა-პირონკოვა | 6:1, 7:6 |
| ვ. უილიამსი-ე. ბონდარენკო | 6:4, 6:2 |
| იანკოვიჩი-ა. ბონდარენკო | 6:2, 6:0 |

| WTA. ტაშკენტი | |
|---|---|
| ლარშერდ ბრიტო-პუტჩეკი | 6:4, 6:1 |
| ნიკულესკუ-შვედოვა | 6:3, 4:3 უარი |
| კრისტეა-ლაპუშჩენკოვა | 6:1, 6:4 |
| პენგი-რუსი | 6:1, 7:5 |

| WTA. ტოკიო | |
|---|---|
| ვოზნიაჩკი-მორიტა | 6:2, 6:1 |
| პავლიუჩენკოვა-ფუჯივარა | 6:2, 6:4 |
| ზაკოპალოვა-დომახოვსკა | 6:3, 6:0 |
| სტოსური-მედინა გარიგესი | 6:1, 7:5 |
| ვოზნიაკი-ფუდა | 6:1, 6:1 |

## TV სპორტი

**3 ოქტომბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
14:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
15:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფენერბაჰჩე-დინამო.
17:55 ზუსტი გათვლა.
18:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-რეალი.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-კარლსრუე (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
09:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-შალკე.
10:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. კლუჟი-ჩელსი.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ტოკიო. იაპონია.
17:40 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
18:10 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. II მატჩი. გიმარაეში-პორტსმუთი.
19:50 წლის სამყარო. ტელეჟურნალი.
20:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:00 სპორტკლუბი.
22:20 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
23:05 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. II მატჩი. უდინეზე-დორტმუნდი.
00:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-შალკე.
03:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:45 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
05:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სევილია.

**EUROSPORT**

07:45 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთის რალი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:30 სნუკერი. მასტერსი. V დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. სტანდარდი-ევერტონი.
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
15:45 სნუკერი. მასტერსი. V დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
20:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:30 სნუკერი. მასტერსი. V დღე. შანხაი. ჩინეთი.
00:00 პოკერი. გერმანია.
01:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთის რალი.
02:30 სნუკერი. მასტერსი. V დღე. შანხაი. ჩინეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
13:00 ახალი ამბები.
13:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-პარაგვაი. ბრაზილია.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩები.
16:30 სპიდვეი. პოლონეთის გრანპრი.
17:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ლიბია-ესპანეთი. ბრაზილია (LIVE).
19:00 ახალი ამბები.
19:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-ურუგვაი. ბრაზილია (LIVE).
21:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ავსტრია.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14 . VII ტური. კასტრი-ტულუზა (LIVE).
00:15 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
04:00 ახალი ამბები.

## უეფას თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**I რაუნდი. საპასუხო მატჩები**

**ვისლა (პოლონეთი)-ტოტენჰემი (ინგლისი)** 1:1 (1:2)
გოლები: 0:1 გლოვაცკი (58-საკ. კარში), 1:1 ბროეკი (83)

**რაპიდი (რუმინეთი)-ვოლფსბურგი (გერმანია)** 1:1 (0:1)
გოლები: 0:1 გრაფიტე (16), 1:1 მატფეი (70)

**კაუნასი (ლიტვა)-სამპდორია (იტალია)** 1:2 (0:5)
გოლები: 1:0 ზელმიკასი (17), 1:1 ფორნაროლი (51), 1:2 ბონაცოლი (58)

**სპარტაკი (რუსეთი)-ბანიკი (ჩეხეთი)** 1:1 (1:0)
გოლები: 1:0 ბაჟენოვი (3), 1:1 ოტეპკა (32)

**უნირეა (რუმინეთი)-ჰამბურგი (გერმანია)** 0:2 (0:0)
გოლები: 0:1 პეტრიჩი (27), 0:2 პეტრიჩი (51)

**ლეხი (პოლონეთი)-აუსტრია (ავსტრია)** 4:2 დ.დ. (1:2)
გოლები: 1:0 რენგიფო (10), 1:1 აჩიმოვიჩი (61-პენ), 2:1 პეშკო (85), 3:1 ლევანდოვსკი (98), 3:2 ჰატენბერგერი (100), 4:2 რ. მურავსკი (120)

**შალკე (გერმანია)-აპოელ (კვიპროსი)** 1:1 (4:1)
გოლები: 0:1 პინტუ (6), 1:1 პანდერი (56)

**შტუტგარტი (გერმანია)-ჩერნო მორე (ბულგარეთი)** 2:2 (2:1)
გოლები: 0:1 იურუკოვი (47), 0:2 გუსევი (79), 1:2 ჰიტცლშპერგერი (82), 2:2 გომესი (90)

**ჰონკა (ფინეთი)-რასინგი (ესპანეთი)** 0:1 (0:1)
გოლები: 0:1 ბედია (2)

**კალმარი (შვედეთი)-ფეიენოორდი (ჰოლანდია)** 1:2 (1:0)
გოლები: 0:1 ვიინალდუმი (17), 1:1 ლ. იოჰანსონი (46), 1:2 ფერი (51)

**ლევსკი (ბულგარეთი)-ჟილინა (სლოვაკეთი)** 0:1 (1:1)
გოლი: 0:1 ადაუტო (60)

**რუსენბორგი (ნორვეგია)-ბრონდბიუ (დანია)** 3:2 (2:1)
გოლები: 1:0 კონანი (15), 1:1 რასმუსენი (26), 1:2 კრისტიანსენი (36), 2:2 სკიელბრედი (74), 3:2 საპარა (85-პენ)

**გალათასარაი (თურქეთი)-ბელინცონა (შვეიცარია)** 2:1 (4:3)
გოლები: 1:0 ბაროში (24-პენ), 1:1 სერმეტერი (53-პენ), 2:1 იილდიზი (85)

**მეტალისტი (უკრაინა)-ბეშიქთაში (თურქეთი)** 4:1 (0:1)
გოლები: 1:0 კოელიუ (15), 2:0 დევიჩი (25), 3:0 კოელიუ (70), 4:0 განკარჩიკი (79), 4:1 ნობრე (90)

**პარტიზანი (სერბეთი)-პოლი ტიმიშოარა (რუმინეთი)** 1:0 (2:1)
გოლი: 1:0 სტევანოვიჩი (69)

**სტ. ეტიენი (საფრანგეთი)-ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი)** 2:1 (2:1)
გოლები: 1:0 გომისი (25), 2:0 გომისი (76), 2:1 იებოა (90)

**დინამო (რუმინეთი)-ნიიმეგენი (ჰოლანდია)** 0:0 (0:1)

**ვასლუი (რუმინეთი)-სლავია (ჩეხეთი)** 1:1 (0:0)
გოლები: 1:0 ბურდუიანი (21), 1:1 ბრაბეცი (49)

**სტანდარდი (ბელგია)-ევერტონი (ინგლისი)** 2:1 (2:2)
გოლები: 1:0 ვიტსელი (22), 1:1 იაგიელკა (67), 2:1 იოვანოვიჩი (79-პენ)

**ტვენტე (ჰოლანდია)-რენი (საფრანგეთი)** 1:0 (1:2)
გოლები: 1:0 ნ'კუფო (68)

**ჰერენვეენი (ჰოლანდია)-სეტუბალი (პორტუგალია)** 5:2 (1:1)
გოლები: 1:0 ენრიკე (6), 2:0 სიბონი (13), 3:0 სიბონი (24), 4:0 ელიუნუსი (50), 4:1 გამა (57), 4:2 შავესი (64), 5:2 ელიუნუსი (68)

**არტმედია (სლოვაკეთი)-ბრაგა (პორტუგალია)** 0:2 (0:4)
გოლები: 0:1 აგიარი (11-პენ), 0:2 აგიარი (30)

**სპარტა (ჩეხეთი)-დინამო (ხორვატია)** 3:3 (0:0)
გოლები: 0:1 მორალესი (16), 1:1 კულიჩი (19), 2:1 კლადრუბსკი (23), 2:2 ლოვრენი (30), 2:3 ბადელი (66), 3:3 კლადრუბსკი (81-პენ)

**ციურიხი (შვეიცარია)-მილანი (იტალია)** 0:1 (1:3)
გოლი: 0:1 შევჩენკო (70)

**აიაქსი (ჰოლანდია)-ბორაცი (სერბეთი)** 2:0 (4:1)
გოლები: 1:0 სარპონგი (71), 2:0 სუარესი (90)

**ზალცბურგი (ავსტრია)-სევილია (ესპანეთი)** 0:2 (0:2)
გოლები: 0:1 კანუტე (37), 0:2 კანუტე (57-პენ)

**ბრიუგე (ბელგია)-იანგ ბოიზი (შვეიცარია)** 2:0 (2:2)
გოლები: 1:0 აკპალა (17), 2:0 სონკი (29)

**კოპენჰაგენი (დანია)-მოსკოვი (რუსეთი)** 1:1 (2:1)
გოლები: 0:1 ბრაკამონტე (37), 1:1 შეშუკოვი (54-საკ. კარში)

**მანჩესტერ სიტი (ინგლისი)-ომონია (კვიპროსი)** 2:1 (2:1)
გოლები: 1:0 ელანო (48), 2:0 შ. რაიტ-ფილიპსი (55), 2:1 ალაბი (78)

**მოზერველი (ჰოლანდია)-ნანსი (საფრანგეთი)** 0:2 (0:1)
გოლები: 0:1 ფორტუნი (18), 0:2 გავანონი (23)

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ნორდსილანდი (დანია)** 5:0 (2:0)
გოლები: 1:0 ტოროსიდისი (11), 2:0 დიოგო (30), 3:0 დიოგო (43), 4:0 დ. კოვაჩევიჩი (72), 5:0 დ. კოვაჩევიჩი (80)

**უდინეზე (იტალია)-დორტმუნდი (გერმანია)** 0:2 პენ. 4:3 (2:0)
გოლები: 0:1 ჰაინალი (45), 0:2 ჰაინალი (90)

**ასტონ ვილა (ინგლისი)-ლიტექსი (ბულგარეთი)** 1:1 (3:1)
გოლები: 1:0 ჰეირვუდი (27), 1:1 ნიფლორი (53-პენ)

**დეპორტივო (ესპანეთი)-ბრანი (ნორვეგია)** 2:0 პენ. 3:2 (0:2)
გოლები: 1:0 კოლოტო (18), 2:0 კოლოტო (76)

**პსჟ (საფრანგეთი)-კაისერი (თურქეთი)** 0:0 (2:1)

**ბენფიკა (პორტუგალია)-ნაპოლი (იტალია)** 2:0 (2:3)
გოლები: 1:0 რეიესი (57), 2:0 ნუნუ გომეში (83)

**ვალენსია (ესპანეთი)-მარიტიმუ (პორტუგალია)** 2:1 (1:0)
გოლები: 0:1 მარსინიო (40), 1:1 დელ ორნო (81), 2:1 ვილია (90-პენ)

**გიმარაეში (პორტუგალია)-პორტსმუთი (ინგლისი)** 2:0, დ.დ. (0:2)
გოლები: 1:0 დუგლასი (19), 2:0 ალვეში (32)

*დამატებითი დრო გვიან დასრულდა*



მილანს შევჩენკომ მოაგებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

# ინგლისმა ჯონი დაკარგა



ნოემბრის სატესტო მატჩების წინ დიდი დანაკლისი განიცადა ინგლისის ნაკრებმა. "გლოსტერომთან" მატჩში (23:29) მუხლის ტრავმა მიიღო "ნიუკასლ ფელკონსის" ლიდერმა **ჯონი უილკინსონმა**. ახლა, ვეტერან მორაგბეს სამედიცინო გამოკვლევა ელის, რომელიც ზუსტად დაადგენს ტრავმის ხარისხს. ნებისმიერ შემთხვევაში, უილკინსონი ნოემბერში მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს.

სხვათა შორის, ჯონი ცოტა ხნის წინ მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს და "გლოსტერომთან" შეხვედრა რიგით მეოთხე იყო ამ იძულებითი პაუზის მერე.

*"უილკინსონისთვის ეს დიდი იმედგაცრუებაა. მან იმ მომენტში მიიღო ტრავმა, როცა ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში შედიოდა და მაღალი დონის რაგბის აჩვენებდა. მაგრამ მას ძლიერი ხასიათი აქვს და დარწმუნებული ვარ, მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაუბრუნდება გუნდს"*, - განაცხადა "ნიუკასლის" სპორტულმა დირექტორმა **სტივ ბეიტსმა**.

ნოემბერში ინგლისის ნაკრებს ავსტრალიასთან, სამხრეთ აფრიკასა და ახალ ზელანდიასთან უწევს თამაში.

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ იაპონიამ 2015 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობაზე შეიტანა განაცხადი. აზიელების ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ინგლისი იქნება. თუმცა ამ ქვეყნის რაგბის მამებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, რაგბის საერთაშორისო კავშირში მარტო შეიტანონ განაცხადი თუ ბრიტანეთის სხვა ქვეყნებთან ერთად. საქმე ისაა, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობა შოტლანდიას, უელსსა და ირლანდიასაც სურთ და შესაძლოა, ამ ქვეყნებმა ერთობლივად გაუწიონ ორგანიზება რაგბიში მთავარ სანაკრებო ტურნირს. IRB-ში ოფიციალური განაცხადების შეტანის ბოლო ვადა 2009 წლის მაისია.

იაპონიისა და ბრიტანელების გარდა, 2015 წელს მსოფლიოს თასის ორგანიზების სურვილს იტალია, სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია გამოთქვამენ. IRB საბოლოო არჩევანს 2009 წლის 28 ივლისს გააკეთებს.

ჩოგბურთი

# იანკოვიჩი პირველი იქნება

## უილიამსებს ჩინური გრიპი შეეყარათ

წელს ქალთა პროფესიულ ტურში (WTA) არნახული კონკურენციაა. წლის შემაჯამებელი ტურნირის რვა საგზურისთვის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული და რეიტინგის საუკეთესო ათეულის წევრები ცდილობენ, არ გამოტოვონ WTA-ის მეტ-ნაკლებად პრესტიჟული ტურნირები და საჭირო ქულები ჩაინერონ აქტივში.

გერმანიის ქალაქ შტუტგარტში თითქმის ყველა უძლიერესი ქალბატონი შეიკრიბა, რა თქმა უნდა, **მარია შარაპოვას** გარდა, რომელსაც საპატიო მიზეზი აქვს - ტრავმას მკურნალობს და ამ სეზონში საერთოდ ვერ გავა მოედანზე.

10-წლიანი პაუზის შემდეგ, შტუტგარტში დაბრუნდა **ვენუს უილიამსი**, რომელიც ამ სეზონის შედეგების მიხედვით საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის მოხვედრას ლამობს. ის მინიმალური სხვაობით უსწრებს **ვერა ზვონარევასა** და **აგნიეშკა რადვანსკას** და სულაც არ აქვს გარანტირებული წლის ბოლოს კატარის დედაქალაქ დოჰაში თამაში. ვენუსმა მეორე წრეში გერმანელი **ანა-ლენა გრონეფელდი** გაანადგურა, რადვანსკას კი **ვიქტორია აზარენკამ** მოუგო და უილიამსს კარგი სამსახურიც გაუწია. იმის გამო, რომ შარაპოვა კატარში ვერ ითამაშებს, ჩემპიონთა რბოლის რეიტინგში მეცხრე ადგილიც იძლევა წლის ბოლო ტურნირში მოხვედრის საშუალებას. ასე რომ, ვენუსს შეუძლია დროებით მაინც შვებით ამოისუნთქოს.

ვენუსის უმცროს დას - **სერენას** სულ სხვა მიზანი ჰქონდა - მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტული უნდა დაეცვა. მისმა მთავარმა კონკურენტმა, სერბმა **ელენა იანკოვიჩმა** ტურნირზე პირველი მატჩის მოგებით, ამერიკელთან ჩამორჩენა 21 ქულამდე შეამცირა.



სერენა შტუტგარტში თავდაჯერებული ჩავიდა. ჩინელ **ნა ლისთან** მატჩის 20 წუთის შემდეგ, უილიამსს ნაადრევად უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას. 6:0 - ასე მოიგო პირველი პარტია ამერიკელმა, მაგრამ იოლი დასაწყისით მოდუნებულმა მეორე სეტი, მატჩი და რეიტინგში პირველი პოზიცია დათმო.

დარჩენილ ორ სეტში ნა ლიმ თითქმის უშეცდომო ჩოგბურთი ითამაშა. ჩვეულებრივ, როცა სერენა მეტოქის მატჩ-პოინტს იგერიებს, შემდეგ მოუთვინიერებელი ხდება. ამჯერად მას ეს ნომერი არ გაუვიდა. გადამწყვეტ სეტში 3:5-ზე, უილიამსმა სამი მატჩ-პოინტი მოიგერია, მაგრამ მომდევნო გეიმში ვერაფერი მოუხერხა ლის ეისებს და პარტია 4:6 დათმო. სხვათა შორის, ჩინელი ის ჩოგბურთელია, რომელმაც პეკინის ოლიმპიადაზე მეოთხედფინალში ვენუს უილიამსი გამოთიშა ბრძოლას.

სერენას მარცხის წყალობით, ორშაბათიდან WTA-ის რეიტინგის პირველი ნომერი იანკოვიჩი გახდება. სერბი მეორედ მოექცევა კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე. აგვისტოში მან მხოლოდ ერთი კვირა ითამაშა პირველი ჩოგნის რანგში. ვნახოთ, ამჯერად რამდენ ხანს გაგრძელდება ქალთა ტურში ელენას ბატონობა.

*"საერთოდ მინდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვიყო, მაგრამ ამ სტატუსს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ტურნირების მოგებაზე მაქვს გადატანილი აქცენტი, რასაც თავისთავად მოაქვს რეიტინგში ლიდერობა. ასე რომ, ამ მარცხის გამო დიდად არ ვნაღვლობ. თუ ტურნირების მოგებას გავაგრძელებ, კლასიფიკაციაში პირველი პოზიცია ისევ მე დამრჩება"*, - განაცხადა სერენამ.

უმცროსი უილიამსი ამერიკის ღია პირველობაზე ტრიუმფის შემდეგ პირველად გავიდა კორტზე და როცა მეტოქემ ბრძოლა მოახვია თავს, სერენას აშკარად დაეტყო სათამაშო პრაქტიკის არქონა. *"მეორე სეტიდან ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვი და თავად დავთმე თამაშის სადავეები. რა თქმა უნდა, ნა ლიც ბრწყინვალედ თამაშობდა, განსაკუთრებით მესამე სეტში. დღეს მისი ჩოგბურთი თითქმის უნაკლო იყო"*, - დასძინა უილიამსმა.

ფორმულა 1

# უილიამსი არ შეიცვლება



ბრიტანულმა საჯინიბო "უილიამსმა" მომავალი სეზონისთვის პილოტთა შემადგენლობა დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, სერ **ფრენკ უილიამსს** არანაირი ცვლილება არ განუხორციელებია - 2009 წელს "უილიამსის" ბოლიდებით ისევ **კაზუკი ნაკაჯიმა** და **ნიკო როსბერგი** ირბოლებენ. გუნდის ტესტ-პილოტად კი **ნიკო ჰიულკენბერგი** დარჩება.

გუნდის ხელმძღვანელთა აზრით, ეს სტაბილურობა როსბერგს ნიჭის განვითარებაში დაეხმარება, ნაკაჯიმა კი წლევანდელ სეზონში მიღებული გამოცდილების ხარჯზე პროგრესს გააგრძელებს. რაც შეეხება F3-ის ევროსერიის პილოტ ნიკო ჰიულკენბერგს, მომდევნო სეზონში ის უფრო მეტ დროს გაატარებს ტესტებზე და ახალი მანქანის შექმნაშიც დიდ წვლილს შეიტანს.

*"მოხარული ვარ, რომ შემადგენლობის შენარჩუნება შევძელით. ეს მომავალი პროგრესის საწინდარია. ნიკო როსბერგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პილოტია, კაზუკი ყოველ რბოლაში უმატებს. ასე რომ, წარმატებები წინ გვაქვს"*, - განაცხადა ბრიტანული საჯინიბოს მეპატრონე ფრენკ უილიამსმა.

# კიმი ყველაზე სწრაფია

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ეტაპია დარჩენილი და ჩემპიონობისთვის რეალური ბრძოლა ორ პილოტს - **ფელიპე მასასა და ლუის ჰემილტონს** შორის მიდის. თუმცა ამ დუეტიდან არც ერთი არ აცხადებს პრეტენზიას ჩემპიონატის ყველაზე სწრაფი პილოტის ტიტულზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ფერარის" ფინელმა წევრმა **კიმი რაიკონენმა** წლევანდელი სეზონი ჩააგდო. საკმარისია იმის თქმა, რომ მოქმედ ჩემპიონს საფრანგეთის გრანპრის შემდეგ არ მოუგია პოული, ხოლო ბოლო დიდი პრიზი ესპანეთის ეტაპზე მოიპოვა.

სამაგიეროდ, ფინელმა სხვა მხრივ გამოიჩინა თავი: ის ცხრა ეტაპზე გახდა საუკეთესო წრის ავტორი. ამ მაჩვენებლით კიმიმ მეორედ გაიმეორა ლეგენდარული **მიხაელ შუმახერის** რეკორდი, რომელიც 2004 წელს არის დამყარებული. პირველად რაიკონენმა ეს შედეგი 2005 წელს დააფიქსირა. გამორიცხული არ არის, რომ "აისმენმა" დარჩენილ რბოლებში შუმის რეკორდიც გააუმჯობესოს, ოღონდ ეს მას დამატებით ქულებს არ მოუტანს.

შეგახსენებთ, რომ რაიკონენმა სწრაფი წრე ესპანეთის, თურქეთის, მონაკოს, კანადის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, უნგრეთის, იტალიის, ბელგიის, იტალიისა და სინგაპურის ეტაპებზე გაიარა.

# როჯერ ფედერერმა არდადეგები გაიხანგრძლივა

ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** თითქმის ერთი თვეა არ გამოჩენილა ATP-ის ტურნირებში. გუშინ, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მინიმუმ ერთი კვირით გადადო კორტზე დაბრუნება. ფედერერს ორშაბათიდან სტოკჰოლმის ღია პირველობაზე უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ტურნირიდან განაცხადი გამოიტანა. როჯერმა ამ გადაწყვეტილების მიზეზად დაღლილობა დაასახელა.

*"2008 წლის სეზონი ძალიან რთული აღმოჩნდა ჩემთვის. მით უმეტეს, წლის დასაწყისში მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე. ამიტომაც ახლა, ჩვეულებრივზე მეტი დასვენება მჭირდება იმისთვის, რომ რეიტინგის პირველ პოზიციაზე დაბრუნებისთვის ვიბრძოლო. რა თქმა უნდა, ამ სეზონში კიდევ გამოვალ კორტზე, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, როდის მოხდება ეს. აქვე ბოდიში მინდა მოვუხადო ჩოგბურთის შვედ გულშემატკივრებს, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ სტოკჰოლმში ჩემს ჩასვლას"*, - განაცხადა ფედერერმა.

# ჟუსტინის თაღლითი ძმა პყოლია

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** ძმა - **ტომას ანენი** თაღლითობასა და სხვისი ქონების არაერთხელ მითვისებაშია ეჭვმიტანილი.

ბელგიის სამართალდამცველები ჟუსტინის ძმით 2005 წლიდან დაინტერესდნენ. იმ პერიოდში ტომას ანენი ბანკში მუშაობდა. მას იმაში ადანაშაულებენ, რომ ბანკის ერთ-ერთი კლიენტის სადეპოზიტო ანგარიში გამოიყენა ავტომობილის შესაძენად, რომლის ფასიც 8 ათას ევროს შეადგენდა.

მოგვიანებით ჩატარებულმა აუდიტორიულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საეჭვო ოპერაციები ბანკის სხვა კლიენტების ფულადი სახსრების მიმართაც ხორციელდებოდა.

თავად ტომას ანენი აცხადებს, რომ არაერთხელ მიმართა პოლიციის განყოფილებას და იქ მის მიმართ განხორციელებული შანტაჟის შესახებ მოუყვა სამართალდამცველებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

